

**მარიკა ჯიქია**

**თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიაში**

**თბილისი**

**2008**

წიგნში გამოვლენილია თურქულენოვან ხალხებთან საუკუნეთა განმავლობაში პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა შედეგად ქართველურ ანთროპონიმიაში დადასტურებული თურქული წარმომავლობის ერთეულები; აღწერილია ნასესხობათა დამკვიდრების თანმხლები ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესები; გაანალიზებულია თურქულ სიტყვაფორმათა ჯგუფები. მოპიებული მასალა სემანტიკურ მიკროელებშია დაჯგუფებული; გათვალისწინებულია ონომასტიკურ პროცესთა განვითარების სხვადასხვა ეტაპები; აღმინათა სახელდების ზოგადი ტენდენციების იზომორფულობის ფონზე ფორმულირებული უნივერსალიები. ნაშრომს ერთვის ნასესხებ ანთროპონიმთა ლექსიკონი და საძიებელი.

წარმოდგენილი მონოგრაფია განკუთვნილია ონომასტიკოსებისათვის, ქართველოლოგებისა და აღმოსავლეთმცოდნეთათვის. ეფიქრობთ. იგი დაინტერესებს პუბლიცისტურ პროფილით მომუშავე სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ციხანა აბულაძე

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პაატა ცხადაია  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი  
შალვა გაბესკირია

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

კუმანიტარულ მეცნიერებათათვის მნშენელოვანი ფენომენია ანთროპონიმული სახელდება. ყოველი ენის ლექსიკურ ფონდში ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებს მნიშვნელოვანი და მეტად თავისებური ადგილი უკავიათ. არცთუ იშვიათად ისტორიულ დოკუმენტში მიგნებული ანთროპონიმითა თუ ტოპონიმით შესაძლებელი ხდება ეთნოსის რომელიმე ისტორიული ეპიზოდის შესწავლა, იმის დადგენა, თუ ვინ ცხოვრობდა ამა თუ იმ ადგილას მრავალი წლის წინ. ცნობილია, რომ ეოლგისპირელ ბულგარებს არ გააჩნდათ წერილობითი ძეგლები და მეცნიერებაში არსებული წარმოდგენა ამ ენის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ სლავურსა და უნგრულ ქრონიკებში დაცულ ონომასტიკონს ემყარება. აწ გადაშენებულ ეუბანისპირელ ბულგართა ერთ-ერთი განშტოება, კუთურგურების ტომი, მოსახლეობდა დნეპრისა და დონის მიმდებარე დაბლობ ადგილებში. მათი მონათესავე უთურგურები ცხოვრობდნენ ეუბანის ნაპირებთან<sup>1</sup>. კუთურგურები ხშირად ესხმოდნენ თავს თრაკიას. ამით შეწუხებული ბიზანტიელები ძლევითა და საჩუქრებით აქეზებდნენ უთურგურებს კუთურგურების წინააღმდეგ. ამ ბიზანტიური ცნობის კვალობაზე უთურგურების არსებობას ერთგვარად მხარს უჭერს ქართული ანთროპონიმისყული პირის სახელი უთურგა და ფშავსა და ხევში გავრცელებული გვარები: უთურგაიძე და უთურგაული. ამ თვალსაზრისით, დროულია და არა შემთხვევითი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დასაცავ სახეობებში ტოპონიმების შეტანის მოთხოვნა. ასეთსავე მოაქრობას „იმსახურებს“ ადამიანთა სახელები, რომელთა ანალიზი კუმანიტარულ მეცნიერებათათვის და, პირველ რიგში, ლინგვისტიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

ანთროპონიმთა უმეტესობამ ჩვენამდე დიდი ხნის გარდასულ ეპოქათაგან მოადწია და თითქმის ყოველი სახელი შეიცავს ინფორმაციას თავისი წარმოშობის დროსა და ადგილზე. საკუთარი სახელის გენეზისითა და ფუნქციურ-ინფორმაციული სპეციფიკით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ონომასტიკა ენათმეცნიერების ცალკე დარგად გამოიყო, რაც იშვიათად ხდება

<sup>1</sup> Гумилёв Л. Н., Древние тюрки, М., 1967, გვ. 115, 159.

ლინგვისტური სტატუსის მქონე ლოგიკური კლასის შესწავლისას. ხშირ შემთხვევაში ანთროპონიმები გვერდაუღებელი მასალაა სიტყვათა სემანტიკური ცვალებადობის, გრამატიკული აგებულებისა და ეტიმოლოგიური სათაუეების დასადგენად.

არა მხოლოდ ადამიანთა, არამედ საერთოდ სახელდებაში ყოველთვის აირეკლება სასოვადობის სოციალური ცხოვრება და კულტურა. ყოველი ერის ეპიკური ჟანრისათვის (თუკი, რა თქმა უნდა, ამ ერს ლიტერატურის ეს ჟანრი აღმოაჩინდება) დამახასიათებელია საკუთარ სახელთა წარმოჩენა. უპირველესად უნდა მოვიხმოთ მრავალგზისი ბიბლიისეული ჩამონათვალი (პირველი ნეშტა, 1-9; მათე 1, 1-16; ლუკა 3,23-38 და სხვ.). საკმარისია გაეიხსენოთ „ილიადას“ მეორე წიგნში ხომალდთა ჩამოთვლა, „ვეფხისტყაოსნის“ თავი – „წასვლა აეთანდილისაგან ფრიდონისასა“, ისლანდიურ ლიტერატურაში არსებობდა განსაკუთრებული ჟანრი – თულა, წყობილ-დექსური ნიმუში, რომელიც მხოლოდ საკუთარ სახელთაგან შედგებოდა.<sup>2</sup> თურქულენოვან ხალხთათვის „დედე ქორქუთის წიგნი“ ამ რიგში ჩადგება.

სუსხებისათვის ანთროპონიმია ყოველთვის ღია იყო და ამიტომაც ყველა ენაში ეროვნული საკუთარი სახელების გვერდით აღმოჩნდა უცხოური საკუთარი სახელები. გამონაკლისი არც ქართველური ენებია. უცხოური სახელების დამკვიდრება უკავშირდება რელიგიას, პოლიტიკურ მდგომარეობას, ლიტერატურულ გაელენას, ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობებს, ხალხთა კონტაქტებს და სხვ. ამიტომ გვხვდება ქართველურ არეალში ასე უხეად ებრაულ-ბერძნულ-რომაული სახელები, რომელთა ძირითადი ფორმის გაერცვლება ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული. ისტორიულ ურთიერთობათა შედეგია ირანული, არაბული, თურქული სახელები. შედარებით გვიანდელია – XIX-XX საუკუნეებისა – რუსული და ევროპული სახელების ფენა<sup>3</sup>.

<sup>2</sup> Стеблин-Кавенский М. Н., Древнеславянская топонимастика как материал к истории имени собственного, – Спорное в языкознании, 1-д., 1974, გვ 17.

<sup>3</sup> ა. შანიძე, თურქოპოლი სახელები ქართველურ ენებში, – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1967, გვ. 191.

რაც შეეხება ქართულ ანთროპონიმიში დამკვიდრებულ ნასესხობათა გამოვლენას: ს. ყაუხჩიშვილმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა მამაკაცთა ბერძნული სახელების გადმოცემას ქართულში<sup>4</sup>. ირანული წარმოშობის პირთა სახელები მ. ანდრონიკაშვილმა<sup>5</sup> და თ. ჩხეიძემ<sup>6</sup> შეისწავლეს არაბულიდან შეთვისებულ სახელთა ნაწილი ს. სიხარულიძემ<sup>7</sup> განიხილა, ხოლო ებრაულ საკუთარ სახელთა ისტორიას ი. გაგულაშვილმა<sup>8</sup> მიუძღვნა გამოკვლევა. უცხოური წარმომავლობის ანთროპონიმები გაანალიზებული აქვთ ნ. მარს, ე. თაყაიშვილს, იე. ჯავახიშვილს, ს. კაკაბაძეს, კ. კეკელიძეს, ი. აბულაძეს, გ.წერეთელს, ა.შანიძეს, გახელედიანს, ს.ჯიქიას, გ. მელიქიშვილს, ე. გაბაშვილს, შ. მესხიას, გ. ჟორდანიას, ალ. ლლონტს, ი. ცინცაძეს, თ. გამყრელიძეს, ჯ. გიუნაშვილს, ს. ჭუმბურიძეს და სხვ. 1973 წელს გამოქვეყნდა ჩემი სტატია ქართულში გავრცელებული თურქული წარმომავლობის ანთროპონიმების შესახებ<sup>9</sup>. ოცდაათამდე გეარის ფუძეში შემორჩენილი აღმოსავლური (უპირატესად თურქული) ლექსემა მიმოიხილა ნ.გურგენიძემ<sup>10</sup>. გამომცემლობა "მეცნიერების" საქმიანობის შეწყვეტის გამო გეგმით გათვალისწინებული ნ. გურგენიძისა და მ. ჯიქიას დასაბუტდად გამოსადებული ნაშრომის – „თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში“<sup>11</sup> – გამოცემა ვერ მოხერხდა ტიპოგრაფიულ დონესე და კომპიუტერული უზრუნველყოფის არარსებობის გამო მანქანასე გადაბეჭდილი გამოვიდა 1994 წელს.

წინამდებარე ნაშრომში გამოვლენილია ქართველურ ონომასტიკონში დადასტურებული თურქული სიტყვები – იქნება ეს დღევანდლობა თუ

<sup>4</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, „არილი“, თბ., 1925.

<sup>5</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.

<sup>6</sup> თ. ჩხეიძე, ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან, თბ., 1984.

<sup>7</sup> Сихарулидзе З., Арабско-грузинские лексические взаимоотношения (Собственные имена), Автореферат кандидатской диссертации, Тб., 1989.

<sup>8</sup> ი. გაგულაშვილი, ქართული გერები (ძირითადი ლექსიკური ფონდი), საკუთარი სახელები, ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი, ქუთაისი, 1993.

<sup>9</sup> მ. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, აღმოსავლური ფილოლოგია, III, 1973.

<sup>10</sup> ნ. გურგენიძე, თურქულიდან ნასესხებ პატრონიმთა სტრუქტურისა და სემანტიკისათვის ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1984.

<sup>11</sup> ნ. გურგენიძე, მ. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, თბ., 1994.

წარსული, მხოლოდ გეარის ფუძეში შემორჩენილი სახელი თუ საუკუნეთა განმავლობაში მნიშვნელობადაკარგული ანთროპონიმი. ქართულენოვანი წერილობითი ძეგლების მიხედვით ანატოლიურ-თურქული სახელები გვხვდება XII საუკუნიდან, განსაკუთრებით კი ვრცელდება XVI საუკუნიდან მოყოლებული. აზერბაიჯანულიდან შემოსული სახელები ფიქსირებულია XVII–XVIII საუკუნეების იურიდიულ დოკუმენტებსა და სტატისტიკურ აღწერილობებში. ჩრდილოკავკასიელ თურქ ტომთა ანთროპონიმები ხშირია სვანურსა და მთის დიალექტებში. ყარაჩაულ-ბალყარულია და ყუმუხურიდან შემოსული სახელები საუკუნეთა განმავლობაში კავკასიის თურქულენოვანი მოსახლეობისა და ჩვენი მთიელების მჭიდრო და ცხოველი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს.

თურქული მოდგმის პირველი ხსენება იაკობ ხუცესის „*შეშანიის წამებაში*“: ვარსკენი მიდის „*აონთა* ზედა საბრძოლველად“. ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალი ცდილობდა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე თურქული წარმომავლობის *პუნთა* ურდოები. ადრეულ საუკუნეებში ხაზართა და ქართველთა მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომ ხაზარული იყო ერთი იმ ექვს ენათაგანი, რომელიც „ისრახებოდა ქართლსა შინა“.<sup>12</sup>

დავით აღმაშენებლის მიერ 1118 წელს ჩამოსახლებული „*ყივიალთა* უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს“. თამარის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთან“ ქართლში მცხოვრებ *ყივიალთა* ცოცხალი მეტყველების მაგალითებიც კია დაფიქსირებული. „დიდი თურქობის“ დროს მემბტიანის ცნობით გეგონებოდა, რომ „ყოველი *თურქობა* ყოელისა ქვეყნისა“ ქართლში იყო ჩამოსახლებული.

ობიექტური ისტორიული პირობების გამო *თურქ-სელჩუკთა* სამხედრო აქტიუობა იზღუდება, ხოლო ფეოდალური საქართველო პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. მთელი რიგი ომების შემდეგ საქართველოზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ თურქული სასულთნოები არა

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 16.

მხოლოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, არამედ ირანის აზერბაიჯანშიც. მათ წარმომადგენლებს იღებდნენ ქართველთ სამეფო კარზე „პატივითა და ზარით“, იყო ხმა „მგოსანთა და მოშიარეთა“, ეწყობოდა დარბაზობა“, „ნადირობა და ბურთაობა“. ამგვარად, წყაროების ანალიზიდან გამომდინარე, ურთიერთობა ძველ თურქულენოვან სამყაროსთან მხოლოდ ომებით არ განისაზღვრებოდა და კულტურულ-ეკონომიკურ სფეროსაც მოიცავდა, რაც ენაში აისახა.

ისტორიის არენაზე მონღოლთა გამოჩენამდე, V-VIII საუკუნეებში, ცენტრალური აზიის სტეპებში ჩამოყალიბდა, განვითარდა, გაძლიერდა, დაიშალა, დაკნინდა და განადგურდა თურქულენოვანი ტომების სახელმწიფო, დიდი თურქეთის სახაკანო. მომთაბარეობის მიუხედავად, ძველ თურქებს პქონდათ დამწერლობა და თავიანთი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტებს ქვებზე ვრცელ ეპიგრაფიკად ტეიფრავენენ. მხედველობაში გვაქვს ე.წ. ორხონ-ენისეის ძეგლები. ცნობილია, რომ თუნჯაბლუხანის ლაშქარში ხაზარებიც იყვნენ. გარდა ამისა, ყარაჩაელებსა და ბალყარებში იგულისხმება ბულგარული ეთნიკური ელემენტები.

თავისი კვალი, რა თქმა უნდა, მონღოლებმაც დატოვეს. მონღოლთა შემოსევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგთაგანი იყო სწორედ თურქული ელემენტის გაზრდა-გაძლიერება მახლობელ აღმოსავლეთში<sup>13</sup>, რაც ანთროპონიმთა დამკვიდრებასაც შეუხება. ისტორიიდან ცნობილია აგრეთვე ქართველთა ურთიერთობა პაჯანიკებთან, ყიფჩალებთან, პუნებთან.

XV საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს დაუმეზობლდა ახალი თურქული წარმონაქმნი – *ოსმალეთი*. 1479 წლიდან ჭანეთი და აჭარა არაერთგზის ილაშქრება ოსმალთა მიერ. სამცხის დასავლეთ ნაწილშიც ოსმალებია. 1578 წელს კი, გამოეყო რა ახალციხის საფაშოს, ცალკე პოლიტიკურ ერთეულად შეიქმნა ჩილდირის ვილაეთი. ისლამი ამ რაიონში სწრაფად გავრცელდა. ოსმალთა და სპარსთა შორის არაერთგზისი საომარი მოქმედებების მიუხედავად ეს კუთხე ოსმალეთის სახელმწიფოს ნაწილად რჩებოდა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის

<sup>13</sup> ე. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 197.

შემდეგ ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი და სამცხე გამოვიდა ოსმალთა ზედამხედველობის ზონიდან. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი, ყარსი, არტაანი, ართვინი, არტანუჯი, ბორჩხა, შაეშეთი და ხოფის ქვემლფაშის ნაწილი რუსეთს დარჩა. გამაჰამდიანებულ მოსახლეობას მიეცა არჩევნის უფლება – მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა ან ოსმალეთში გადასახლებულიყო. მუსაჯირობის ოფიციალური ვადაც კი იქნა დაწესებული, რაც, ფაქტიურად, 1921 წლამდე გაგრძელდა.

*ყოველივე ამან განაპირობა თურქისშემების სიუსხე ქართველურ ანთროპონიმიულ არეალში.*

წინამდებარე ნაშრომში განხილული გვაქვს 400-მდე თურქული წარმომავლობის ანთროპონიმი, რაც ათასზე მეტ პირის სახელსა და გვარს დაედო საფუძველად. ეს სახელები ამოეკრიბეთ XI–XX სს. ქართული წერილობითი ძეგლებიდან. გამოვიყენეთ სტატისტიკური აღწერილობები, ანთროპონიმიოა ლექსიკონი და არქივსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ძველი საბუთების კოლექციათა საკუთარ სახელთა საძიებლები. ძირითადად მასალა მოკოვებულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (საბუთები ძველი ხანისა და XIX საუკუნის დასაწყისისა, ფონდი 226, III, ქართული ისტორიული დოკუმენტების პირთა კოლექციის 1449 აღწერილობა, წ. I, №2418, ძველი ხანისა და XIX საუკუნის საბუთების პირები, საინვენტარო აღწერა, წ. II, 2419. ძველი საბუთებისა და სასინოდო კანტორის რეგისტრები, შინაგანი აღწერა, ძველ სიგელ-გუჯართა კოლექცია და სხვ). გამოყენებულია აგრეთვე შემდეგი მასალები: „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი“, „ქართველ თავად-აზნაურთა გვარების აღწერა“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. №3729), „შემოკლებითი აღწერა ანუ ისტორია თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, („ივერია“, №№ V, VI, VII, VIII, IX, X, 1884), საქართველოს სსრ მმანის რესპუბლიკური არქივის მეტრიკის წიგნები (1886–1915), ე. თაყაიშვილის „მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII საუკუნეში“, პ. ინგოროყვას „სეანეთის საისტორიო ძეგლები“, ქრ. შარაშიძის „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები“, თ. ყორდანიას „ქრონიკები“ (ტ. I–II), ო. სოსელიას „ნარკვევები



ფეოდალური ხანის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“, პირთა ანოტირებული ლექსიკონი (I, II, III, IV), ი. ახუაშვილის „ქართული გეარ-სახელები“, ი. გაგულაშვილის „ქართული გეარები, საკუთარი სახელები“, ის. დოლიძის „ქართული სამართლის ძეგლები“ (ტ. I-VII), ი. მაისურაძის „ქართული გეარ-სახელები“, ლ. ღვინჯილიას მიერ ნაწერილი მეგრული გეარები (ხელნაწერი), ე. სუხბაიას „ქართული გეარები“ (ხელნაწერი), ალ. ღლონტის „ქართველური საკუთარი სახელები“, ზ. ჭუმბურიძის „რა გქვია შენ“, 1968 - 2007 წლების პერიოდული ლიტერატურა, და სხვ. და სხვ.

როგორც ცნობილია, ალთაურ ენათა ოჯახში აერთიანებენ თურქულ, მონღოლურ და თუნგუსურ-მანჯურულ ენებს. მოძიებულ მასალებში მხოლოდ რამდენიმე მონღოლური ანთროპონიმი, რომლებიც სხვა ენებშიცაა (მაგ., ოსურში) დადასტურებული. ჩვენი კვლევის რაკურსში იყო ის მასალა, რომელშიც შედის არა მხოლოდ ანატოლიის თურქებთან, არამედ ხასარებთან, ყივინაღებთან, ასურბაიჯანელებთან, ყუმუხებთან, ბალყარებთან, ყარაჩაელებთან სხვადასხვა სახის კონტაქტების შედეგად დამკვიდრებული ანთროპონიმები. ამ მომენტს წარმოვანიშნო იმიტომ, რომ ქართული (და არა მარტო ქართული, მაგ., გერმანული და თვით თურქულიც) ტერმინოლოგიურად არ არიეს ანატოლიურ თურქულსა და თურქულ ენათა ოჯახს, მათ დამახასიათებელ ფაქტებს, რაც კარგად სხვაედახა რუსულსა და ინგლისურში ლექსემებით: *турецкий-тюркский* – Turkish-Turkic, და ამა თუ იმ თურქული მოვლენის განხილვისას უნდა გაეთვალისწინოთ, რომ იგი მხოლოდ ჩვენი სამხრეთელი მეზობლისეულის ფარდი არ არის.

თურქული ენის ისტორიკოსები ანატოლიური თურქულის განვითარების შემდეგ ეტაპებს ასახელებენ: სელჯუკთა ენას ოღუზური ელემენტების დომინანტით XI-XIII საუკუნეებში; ძველ ოსმალურს XIII-XV საუკუნეებში, რომელიც სელჯუკთა ეპოქის თურქულსაც შეიცავს. ამ ენას ძველ ანატოლიურ თურქულსაც უწოდებენ. ძველ ოსმალურში, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, არაბულ-სპარსული სიტყვების რაოდენობა უმნიშვნელო იყო, XVI საუკუნის შემდეგ კი ეს რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. XVI-XIX საუკუნეების შუა წლებში არაბიზმებითა და სპარსიზმებით გაჯერებულ ენას

- კლასიკურ ოსმალურს - დიენის (პოეტის ანბანზე განლაგებული რითმების შემცველი ლექსების კრებული) ენასაც უწოდებენ. იგი ხდება სამწერლობო და სამეფო კარის ენა და ძლიერ შორდება სასაუბრო ენას. ახალი ოსმალური ენა ფუნქციობდა XIX საუკუნის შუა წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. იგი თანზიმათის (ეპოქა, რომელიც 1839 წლის პოლიტიკური რეფორმების გატარებასთანაა დაკავშირებული) შემდეგ წარმოქმნილი განახლებული ლიტერატურის ენაა. თანზიმათელები ცდილობდნენ ენის გაწმენდას, ხალხური ენისაკენ მიბრუნებას. განვითარების ბოლო ეტაპზე თანამედროვე თურქული ენა. ქართულთა ანთროპონიმიკონში ანატოლიური თურქულიდან შეთვისებულ სახელთა დამკვიდრება ოსმალურ პერიოდს უკავშირდება.

თურქულ ენათა ოჯახში შედის 39 ცოცხალი და 15 მკვდარი ენა. ერთმანეთთან ახლოს მდგომ თურქულ ენათა ლექსიკური ელემენტები სხვა ენაში შესვლისას თითქმის ერთნაირ რეფლექსებს იძლევა.<sup>14</sup> ეს გარემოება აძლევს წყაროების დადგენას და სიტყვის ამა თუ იმ ენისათვის მიკუთვნებას. ამ დროს ძირითად კრიტერიუმად რჩება, პირველ რიგში, ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობა და ტერიტორიული სიახლოვე. ამ თვალსაზრისით, თურქულ ანთროპონიმთა შემოსვლის წყაროდ მიგვაჩნია ძირითადად ოსმალური (თურქული), აზერბაიჯანული და ჩრდილოეთ კავკასიის თურქული ენები: ყარაჩაულ-ბალყარული და ყუმუხური. საერთოდ, ქართულში დამკვიდრებული თურქული წარმომავლობის საკუთარ სახელთა უმრავლესობა შემოსულია ენათა თურქული ოჯახის ოღუზურსა (ოსმალური, თურქული, აზერბაიჯანული) და ყივჩაღურ (ყივჩაღური, ყარაჩაული, ყუმუხური) ჯგუფებში შემავალ ენათაგან.

ამ თვალსაზრისით მოძიებული საკუთარი სახელები ზოგადად *თურქიზმებად* გვაქვს კვალიფიცირებული.

---

<sup>14</sup> Н.К. Дмитриев. О тюркских элементах русского словаря – Лексикографический сборник, т. III, М., 1958, გვ. 11.

## თურქული საკუთარი სახელები

თურქული მოდგმის ხალხთა ანთროპონიმიკონში ადვილად სხვაელება ისლამამდელი და ისლამის მიღების შემდეგდროინდელი სახელები: ისლამამდელ პერიოდში პირსახელები თითქმის ოდენ თურქულია, იმის მიუხედავად, რომ თურქები ეზიარნენ ბუდიზმს, მანიქეიზმს, სოროასტრიზმსა და ქრისტიანობას. ამ ხნის განმავლობაში მათთან სუფევდა სახელდების თურქული წეს-ჩვეულებანი და გამოიყენებოდა მხოლოდ თურქული ანთროპონიმები. ბუდისტი უიღური თურქების წმინდა წიგნებში ბევრი ინდური სახელი გვხვდება, თუმცა მათი ბავშვების სახელები თავანკარა თურქულია. უცხო რელიგიათა აღმსარებელი ხაკანები, უფლისწულები, ბეგები და მათი მეუღლეები თურქულ სახელებს ატარებდნენ.

თურქესტანის იედისუს ვილაიეთში ნესტორიანელ ქრისტიან თურქთა საფლავის ქვებზე ამოკითხული ასი სახელიდან მხოლოდ 5 იყო უცხო და სასაფლაოსე 885–1335 წლებში დაკრძალულთა სახელებად იკითხება მენგუთაში, თიგინი, ალთუნთაში, ქისტურქი, გუმუშათინი. ხოლო ასეთი მრევლის – ამ ქრისტიან თურქთა – მღვდლებსაც თურქული სახელები ერქვათ: აქბაშ მღვდელი, იულუქთულ მღვდელი და სხვ.

არაბები ირანსა და თურანის თურქებს საფუძვლიანად შეერივნენ, რასაც უკავშირდება თურქულ საკუთარ სახელთა შემდგომი ეპოქა. არაბები შეეცადნენ თურქების ეროვნული ყოფიერების მოსპობას და თავიანთი კულტურის თურქთათვის თავს მოხვევას. თურქი ისტორიკოსების კომენტარი ამ მოვლენებთან დაკავშირებით ასეთია: არაბები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მოესპოთ ძველი თურქული ყოფიერებისეული რეალიები. ირკევა, რომ ასეთი გულმოდგინებით მათ საკმაო წარმატებებს მიაღწიეს. შემდგომ ხანებში თურქულ წეს-ჩვეულებებში (და ეს ანთროპონიმულ სახელდებაშიც შეიმჩნევა) არაბინაციის ძლიერი ტენდენცია მოჭარბებულია.

მესლიმ არაბებს თურქები შეხედნენ VII საუკუნეში ხორასნის რაიონში, ირან-თურანის საზღვარზე. თურქი ენათმეცნიერის, აბდულკადირ ინანის ნაშრომთა მიხედვით, ამ დროიდან თურქულ ანთროპონიმიკონში ერთდროულად იჭრება არაბული – ისლამთან ერთად და, ამავდროულად, სამანიდების ბატონობის გამო, ირანული სახელები. თურქულმა

არისტოკრატიაში სპარსული სახელები ჯერ ტიტულებად, შემდგომ კი სახელებადაც გამოიყენა. თაბურის ისტორიაში აღნიშნულია, რომ ხორასნელი თურქი ბეგის ნიშაქ თარხანის ამისწულთაგან ერთ-ერთს ოსმანი ერქვა; თურქი მკვლევრები მიიჩნევენ, რომ თურქი, რომელმაც პირველად მიიღო არაბული სახელი, ეს ამისწულია, ხოლო თურქულ ენაში შემოსული პირველი არაბული სახელი ოსმანია.

ამ დროიდან მოყოლებული დიდებულებს ერქვათ არაბულ-სპარსული სახელები. უკანასკნელი ანატოლიელი სელჯუკები უფრო სპარსულ ონიმებს წყალობდნენ და თავიანთ შეილებს „შა-ნამეს“ გმირთა სახელებს არქმევდნენ.

მხოლოდ დიდი თურქეთის ისლამური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ შეიმჩნევა ბეილიქთა დამაარსებელი პირების, რომლებიც ხალხის წიაღიდან იყვნენ გამოსულნი, შემობრუნება თურქული სახელებისაკენ. სელჯუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდგომ პერიოდში ხორასანსა და ანატოლიაში ბეგების სახელებად გვხვდება: აითიგინი, იაღმური, ბორრა, ინალი, დემირხანი, თურგუთი, იახში, დურსუნი. სინოპში უკანასკნელი სელჯუკების 1212–1445 წლების საფლავის ქვებზე იკითხება Tuğrul, Kutlugca, Yavaş, Artuk, Ayas, İldeniz, Törehatun, Gündüz, Kaymaz...

ანატოლიის ფარგლებს გარეთ დიდი თურქეთის ისლამური იმპერიის დამაარსებლებსაც და მთაურებსაც თურქული სახელები აქვთ. ღაზნეველთა სახელმწიფოს მესვეურებს ერქვათ ალფთიგინი, სევიუქთიგინი, ბორრაჯიქი, ბეითიგინ, ბელგეთიგინი და სხვ. ყარახანიდების სახანო ჩამოაყალიბეს ყარახანმა, თოგანმა, სათიკმა, ბორრებმა., სელჯუკიდების – თულრულ ბეგმა, ჩადრი ბეგმა, ალფარსლანი. პარსემის ქვეყანა დააარსეს ადსიზმა, თეკეშმა, ილარსლანმა. ბოლო მთავარი იყო მენგუბერდი. დანიშმენიდებში ვხვდებით Gümüşigin, Yağlıbasan; დამასკოელ ათაბეგებში – Toğtigin, Görü; სომხებს განაგებდნენ Bektemir, Kutluğ, Aksunkur, Segmen; აზერბაიჯანის ათაბეგებში მმართველებად იხსენიება – İldeniz, Kızılarslan, İnanç, Özbek და სხვ.

XIII-XIV სს-ში თურქები, რომელნიც თურქულ სახელებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, იყენებენ თითქმის იმავე ან მსგავს სახელებს,

მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებულ უცხო ქვეყნებში ცხოვრობდნენ. ეგვიპტესა და ინდოეთში დაწერილი ისტორიული წიგნები საესეა იდენტური თურქული სახელებით.

არაბ მწერლებს არ გამოჰპარებიათ ის ვითარება, რომ ეგვიპტის მმართველისა და უმაღლეს ხელისუფალთა – მამლუქთა – სახელები თურქულია. ცნობილი არქეოლოგი ა. ქალქეშენდი კაიროში გამოცემულ წიგნში "Sub hul'asas" თურქული სახელების შესახებ ასეთ ცნობებს გვაწოდის: თურქები სახელდებისას უპირატესობას ანიჭებენ ცოცხალ, ძლიერ გმირთა სახელებს, უმეტესად ისეთთა, რომელთაც ხედავენ ან იცნობენ. მათ მიერ განსაკუთრებით მოწონებულ „ბუღას“ ურთავენ ან ზოოფორულ სახელს, ან ბუნების მოვლენის და ნიშან-თვისების აღმნიშვნელ სიტყვას ან ლითონის სახელწოდებას: Tayboğa – tay „კეიცი“, Yelboğa – yel „ქარი“, Benekliboğa – benekli „ხალებიანი“, Gümüşboğa – gümüş „ვერცხლი“, Altınboğa – altın „ოქრო“, Demirboğa demir „რკინა“. თურქებს გამორჩეულად უყვართ სახელი Demir, რომელიც ორმოცდაათამდე რთული სახელის პირველი ან მეორე კომპონენტია. ასევე ხშირია Arslan 'ლომი', Deniz 'სღვა' და ეგვიპტე ანთროპონიმები – რთულ სახელებში. არქეოლოგი ასე აგრძელებს თავის მსჯელობას: უნდა ვიცოდეთ, რომ თურქი ჯარისკაცის სახელად ხშირად გვხვდება Sayfeddin " რწმენის მახვილი", რადგან თურქების წარმოდგენაში ძალა და სიმაგრე მახვილთან იყო დაკავშირებული.

XIII-XIV საუკუნეებში ინდოეთში გაბატონებული თურქები იცავდნენ ანთროპონიმულ სახელდებასთან დაკავშირებულ ყველა წეს-ჩვეულებას. მათ სახელების დარქმევის ამგვარი გამოცდილება აღმოაჩნდათ: Kutlu „ბედნიერი“, Kutluk „ბედნიერება“, Aybeg İltutmuş, Boğrahan, Arslanatar, Toğrul, Kadırhan „მთვარე ბეგი“, „ქვეყანა დაუჭერია“, „ბოდრა ხანი“, „ლომი აგდებს“, „შეეარდენი“, „კადირხანი“, Alphan, Toğluk, Kūçlū და სხვ.

სახელმწიფოს დამაარსებელ თურქულ დინასტიათა შორის საკუთრივ თურქულ სახელებს ყველაზე იშვიათად მიმართავდა ოსმანთა დინასტია. თუმცა ოსმალთა პირველ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში Ertuğrul, Gündüzlü, Savacı bey-ის მსგავსი სახელები გვხვდება, ექსკლუსიური ბატონობის

განმავლობაში ამ დინასტიის არც ერთ სულთანს ორჰანის შემდეგ თურქული სახელი არ რქმევია. ამ ხნის განმავლობაში ოსმალთა დინასტიის უფლისწულთაგან მხოლოდ 6 Orhan, 2 Cengiz, 2 Korkut, 2 Savacı, 4 Ertugrul, 1 Oğuzhan-ი, სულთნებში კი 3 Selcuk და 2 Beyhan-ია. ხელისუფალთა არაბულ-სპარსული სახელებით გატაცება დივანის ლიტერატურის გავლენით აიხსნება. ეპოქის გუნება-განწყობილების გამო თურქები აღქმული იყვნენ პრიმიტიულ ხალხად და, ალბათ, ამიტომაც არ ამკვიდრებდნენ თურქულ სახელებს. ხალხმა უწყოდა, რომ ერს კუთვნილი სიმდიდრე – წინაპართაგან მიღებული სახელები – აქვს თავისი უწმინდესი სახით და ცდილობდა მის გაცოცხლებას. წინაპართაგან დარჩენილი სახელები თურქებმა წარმატებით დაიცვეს იმით, რომ შეიღებესა და შეილიშვილებს პაპებისა და ბებიებისაგან წამოსულ სახელებს არქმევდნენ, მაშინ, როცა პრესტიჟული იყო ვაჟთათვის ქვიქუბადის ან ქეიუსრევის მსგავსი სახელების დარქმევა, რაც, თავის მხრივ, დახვეწილობის გამოვლენად ითვლებოდა ძველი არაბული ანთროპონიმის ხმარება, სწორედ მაშინ თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ცოცხლობდა და ცოცხლობს ბუნებისა და სიყვარულის სურნელის მქონე ადამიანური აზრებით აღბეჭდილი თურქული პირის სახელები.<sup>15</sup>

მრავალგვარია თურქ ხალხებში ბავშვისათვის სახელის დარქმევის რიტუალი:

*ენისეისა და ალთაის თურქებს ერთ პერიოდში არც გაანდათ ანთროპონიმები. ისინი იყენებდნენ თავიანთ (მიკრო) ეთნონიმებს. საკუთარი სახელის ტარების უფლებას ის მოიპოვებდა, ვინც განსაკუთრებულ ნიჭს გამოაველენდა, ან ბრძოლაში თავს გამოიჩინდა. ენისეის ნაპირებზე მცხოვრები ბელთისისა და ქაიბოლის თურქ შამან ტომებში ბავშვის სახელდებასთან დაკავშირებული რიტუალი დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ეწყობოდა. მამა შესაძლებლობის ფარგლებში წვეულებას უმართავდა ნათესაებს, ახლობლებს, მეგობრებს. ბებიაქალიც მასპინძელი იყო. გამასპინძლების შემდეგ მამა ან ბებიაქალი სტუმართა შორის უხუცესს ბავშვისათვის სახელის დარქმევას სთხოვდა. ეს იყო ახალშობილის პირველი სახელი.*

<sup>15</sup> Kemal Zeki Gençosman, Türk isimleri sözlüğü. İstanbul, 1975. გვ. 11.

შემდეგ ბებიაკალი სტუმართაგან აგროეებდა საჩუქრებს, რომელთაც ეწოდებოდათ diḡ ‘კბილი’ და ბავშვის აკვანზე ჩამოკიდებდა. ნიშანდობლივია, რომ ანატოლიის სოგიერთ მხარეში დღესაც ცოცხლობს რამდენიმე შეცვლილი ეს ადამი: ელაზიგის რაიონში ხარშავენ ხორბალს, აყრიან ნიგოზს და ახალშობილის მოსალოცად მოსულ სტუმრებს უმასპინძლებიან ამ ხორბლით, რომლის სახელი Diḡ hediḡi-ა.

დღეს ალთაელ ბავშვს სახელს მამა აძლევს და ეს მეტწილად დაბადების შემდეგ სახელში შემოსული პირველი სტუმრის სახელია. შემდეგ ბავშვს მეორე სახელად ერქმევა მის მიერვე წარმოთქმული პირველი სიტყვა. რაც ხშირად აღმოჩნდება ხოლმე Konuk ‘სტუმარი’, Kdpek ‘ძალი’, Baltā ‘ნაჯახი’, Kılıç ‘ხმალი’ და სხვ. ძველად კი ალთაური დესტანების გმირები სახელებს იღებდნენ ღმერთისა და სულებისაგან.

*იაკუტებში* ძველი ტრადიცია მეტ-ნაკლებად შეცვლილი ფორმით გრძელდება: ბავშვს პირველ და დროებით სახელს არქმევენ დაბადებიდან სამი თვის შემდეგ. ნამდვილ სახელს კი მაშინ, როცა ბავშვი მშვილდის მოზიდვასა და ისრის სროლას შეუდგება.

*შუაზიელ თურქებს* ბავშვები მომწიფებამდე უსახელოდ დაუდიოდათ. უფრო სწორედ, ბავშვებს Adsız ‘უსახელო’ ერქვათ. სიჭაბუკის ასაკში, როცა ემაწილი თავისი მტრის დამარცხებასა და გმირობის გამოსენას შეძლებდა, მამა წვეულებას უმართაედა და ნამდვილ სახელს არქმევედა.

ძველი დროის მუსლიმი *ყირგიზები* წინასწარმეტყველთა და წმინდანთა სახელებს არქმევენენ შეილებს.

*ყაზახები* ბავშვს სახელს თხუთმეტი დღისას არქმევენენ. უმეტესწილად ეს იყო დაბადების დროს ან ცოტა ადრე მომხდარი მოვლენა, პირველად მოსული სტუმრის სახელი, მაგ. Konukgeldi ‘სტუმარი მოვიდა’, Kıpçakgeldi ‘ყივჩაღი მოვიდა’ და სხვ.

*ანატოლიაში* დღესაც ტრადიციისამებრ ახალშობილის მამა ან სასულიერო პირი ბავშვის დაბადების წელს, თვეს, დღეს, საათს და წუთსაც კი ყურანის შიდა გვერდზე წერს. ამის შემდეგ გადაშლის ყურანს ალაღბედზე და ეძებს სახელს, პირველსავე აიათში თუ რაიმე სახელია, თუ

არა და მის მომღეწოში, და მას დაბადების თარიღს აღნიშნავს. ამის გამოა ასე ხშირი თურქების სახელებად Yasin, Taha, Mükrimin თუ Yusup.

*თურქეთში* წესად იქცა სახელების შთამომავლობით გადაცემა. შეიღობილი შეიღობილი პაპებისა და ბებიების სახელთა გამგრძელებლებად გვევლინებოდნენ. არცთუ იშვიათია მამა-შვილი ერთი და იმავე სახელით. ჩვეულებრივია ბავშვისთვის იმ პირის სახელის დარქმევა, რომელმაც თავი გამოიჩინა გმირული საქციელით, ცნობილი შეიქნა ცოდნით, სამსახურით, ფილანტროპიით.

სოფლად ხოჯები და იმამები არქმევდნენ ბავშვებს სახელებს. ხოჯა სახლში მოვიდოდა, სამ სახელს დაწერდა ქალაღდსე და ერთ-ერთი ამორჩეოდა. შემდეგ ხოჯა ბავშვთან დაიხრებოდა, ხმადაბლა ესანს წაიკითხავდა და მერე ამორჩეულ სახელს წარმოთქვამდა. ამგვარად, ბავშვი ამქვეყნად მოვლინებისას პირველად ღვთის სახელს იგებდა, მერე – საკუთარს.

ძველი თურქები სახელის დარქმევას უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნევდნენ, სწამდათ სახელისა და ბედისწერას შორის ფარული კავშირის არსებობა. მათ ახალშობილის სახელდება სადღესასწაულო აღნიშვნის რანგში აქყავდათ.

უძველეს ანთროპონიმთა შორის ყველაზე ხშირია გმირობის აღმნიშვნელი სახელები. ასევე ხშირია ზოოფორული, ფიტოფორული სახელები, ტოპონიმები, მზის, მთეარის, ბუნების მოვლენათაგან – ელვის, ღრუბლის, წვიმის და მისთანათა სახელები.

თურქული სახელი უმეტესწილად თხსული ან წარმოქმნილია. კომპოზიტებში შედის უაღრესად პროდუქტიული და „პასიური“ კომპონენტები. „აქტიური“: alp „გმირი“, ak „თეთრი“, bey, bay „ბატონი“, er „მამაკაცი“. ასევე აქტიურია ზმნიდან სახელის მაწარმოებელი -Im სუფიქსი. მისი საშუალებითაა ნაწარმოები han-იდან Hanım, bal-Balım, sevi-Sevim, can-Canım და სხვ. -al-, -ağ-, -at-, -az- – ამ და სხვა (ორმოცდაათამდე) სუფიქსთა საკუთრივ თურქულ სიტყვებზე დართვით ახალი სახელი წარმოიქმნება. Ata და Bay, Gümüş და Tekin, Demir და Taş, Gün და Aydın სიტყვები უერთდება ერთმანეთს ან სხვა



ერთუფლებს და იქმნება ახალი სიტყვები. ინტენსიურად ითხზება ახალი სახელები ზმნებიდან: bilmek → ilge, hızlanmak → Hızlan, sevmek → Sevgi, inanmak → İnanç, Kurtulmak → Kurtul და სხვ.

შვილდაკარგული მშობლები ახალშობილს არქმევდნენ Dursun-ს 'დე, დარჩეს', Dumnuş-ს '(გა)დარჩენილია', Durdur-ს – '(გადა)რჩება' და სჯეროდათ, რომ იგი იცოცხლებდა. ამგვარ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული რამდენიმე ადათი. ასე, მაგალითად, ხელში აყვანილი ბავშვით ბებიაქალი გარეთ გადის და იქ თითქოს მამას მიჰყიდის შეილს. ახალშობილ გოგოს Sat -ს არქმევენ (salmak „გაყიდვა“), ვაეს – Satılmış-ს.

ბაშკირებში ამბობენ, რომ გაყიდვის საფასურად მამამ ბებიაქალს ბავშვის წონა რკინა უნდა მისცესო.

*ჩუვა შებში* ეს რიტუალი ოდნავ შეცვლილია: ბებიაქალი ბავშვს მამას კი არა, შამანს აძლევს, რომელსაც იქვე ალოდინებენ. სასულიერო პირს ბავშვი მამასთან მიჰყავს და ეუბნება: სანაგვეზე ბავშვი ვიპოვნე, უნდა გაყიდო. მამა ბავშვს ყიდულობს და შამანს აძლევს იმას, რაც მას სურს. მშობელს უკვე სჯერა, რომ იგი იცოცხლებს. ბავშვს კი, როგორც ნაგვიდან გამოხსულს, Süppm-ს უწოდებენ.

ოჯახებში, სადაც ზედიზედ იხოცებოდნენ ბავშვები, სიცოცხლის შესანარჩუნებლად ახალშობილთ Yaşar, Dursun-ის მსგავს სახელებს არქმევდნენ, იმ განსრახვით, რომ მოატყუონ სიკვდილის ანგელოზი აზრაილი. მათი რწმენით, ამ რიტუალის შესრულებით ისინი უბედურებას თავიდან იცილებდნენ და დევნიდნენ აზრაილს. ბავშვისათვის Domuz 'ღორი, italmaz 'ძაღლი არ წაიყვანს' მსგავსი ცუდი სახელების დარქმევით მშობლებს სჯერათ, რომ აზრაილი უსიამოვნო სახელის მატარებელ შეილზე უარს იტყვის და გაშორდება.

თურქის აზრით, ოჯახის შექმნის მიზეზი ბავშვის ყოლაა. დედე ქორქუთის პიქაეთებიდან ვიგებთ, რომ ხაკანიც კი არ ერიდებოდა უშვილო მამაკაცების დამცირებას. ამასთან დაკავშირებით მოვიხმობთ დედე ქორქუთის ერთ ამბავს: ხანთა ხანი ბაჰადირი წელიწადში ერთხელ ოლუსთა ბეგებს კრებდა და მათთვის დიდ წვეულებას მართავდა. წვეულების ადგილზე ხანი

რამდენიმე დღით ადრე აღგმეინებდა თეთრ, წითელ და შავ კარეებს. სტუმართაგან ვაჟთა მამებს თეთრ კარეებში აბინაებდა, ქალიშვილებისას – წითელში, ხოლო უშვილოებს – შავში. დედე ქორქუთი გვიყვება, თუ როგორ განკარგულებებს იძლევა ბაჰადური უშვილოების გამასპინძლების თაობაზე: „მოათავსეთ ასეთნი შავ კარავში, ლეიბად დაუგეთ შავი ქენა; წინ დაუდეთ შავი თხის იახნი. თუ შეჰამენ, ჭამონ, თუ არ შეჰამენ, წვაიდნენ“. ასეთი დამოკიდებულება სტუმრისადმი უკიდურესი უპატივცემლობის გამოხატება.

როცა თურქი ახალშობილისათვის სახელს არჩევს, დაბადების დღის ესა თუ ის მოვლენა მისთვის ხშირად ამოსაველი ხდება. ასე, მაგალითად, თუ იმ დღეს ბრძოლა იყო, ან მტრის მოულოდნელი თავდასხმა განიცადეს, უეცრად თავში მოუეიდოდა სახელი "Yağbastı", დილას დაბადებული ბავშვის სახელი ხშირადაა "Gündoğdu"; თუ ბავშვი ქვეყანას იმ ღამეს მოეელინა, როცა მგელი ცხერის ფარას დაესხა თავს, მისი სახელი Kurtgeldi 'მგელი მოვიდა' იქნება. დღესასწაულზე დაბადებულს Bayram-ს 'დღესასწაული' (ბაირამი) არქმევენ, ასევეა Ramazan, Şaban, გემზე დაბადებულს Deniz-ს, ხოლო ამნისტიის გამოცხადების დღეს დაბადებულს Af-ს 'პატიება' უწოდებენ.

გამოჩენილ ადამიანთა – გმირთა, ხელოვანთა, მეცნიერთა – სახელების დარქმევა ბავშვებისათვის თურქთა შორის დღესაც გავრცელებულია.

XX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით ლიტერატურისა და ხელოვნების სამყაროში, გახშირდა ორი სახელის ხმარება – ლექსს თუ რომანს ხელს აწერდნენ: Halit Ziya, Mehmet Rauf, Hüseyin Cahit, Tevfik Fikret და სხვ. ეს მოდა, სინამდვილეში, ერთი აუცილებლობიდან წარმოიშვა: პუსეინები, ოსმანები, მექმედები ერთმანეთისაგან სწორედ მეორე სახელით ირჩეოდნენ. ამ პროცესის მოსაწესრიგებელიც უნდა ყოფილიყო (და არა მხოლოდ ამ პროცესისა) 1934 წელს გამოსული ე.წ. „გვარის კანონი“. ამ კანონით ყოველ თურქს პიროვნული სახელის გარდა, გვარიც უნდა ჰქონოდა, რომელიც სახელის შემდეგ დაიწერებოდა. ქალი დაქორწინების შემდეგ მეუღლის გვარს იღებდა. ამ კანონის გამოსვლისთანავე თურქეთის რევოლუციის შემქმნელს, მუსტაფა ქემალს, კანონის მიხედვით მიეცა გვარი Atatürk „მამა თურქეთისა“.<sup>16</sup>

<sup>16</sup> Utkan Kocaturk, Atatürk, Ankara, 1987, გვ. 78.

გვარის კანონის გამოხელებისთანავე მთელს ქვეყანაში დაიწყო პიროვნულ სახელთა „მოზილიზაცია“. ცნობილ ოჯახთა სახელები გვარებად შეიტანეს სიებში. სოფმა თავისი ოჯახის სახელს „ზადე“ მოაშორა და დარჩენილი ნაწილი გვარად დაიწერა. სოფიერთი უფრო პრაქტიკულ გზას დაადგა: გაათურქულა არაბულ-სპარსული სახელები: Fikri გახდა Düşünsel-ი, Hamdullah – Tannöver, İhsan – Sungu და ა.შ. ერთმა ნაწილმა ოჯახებისა ისტორიული წიგნებიდან ამოკრებილი ძველი თურქული სახელები მიიღო.

რეესტრებში გვარებად დაფიქსირდა დაბადების ადგილის მიკროტოპონიმები – შთის, ბორცვის, მდინარის სახელები. აიკრძალა მძაპეებულ, ასევე სასაცილო სიტყვათა გვარად რეგისტრაცია.

1934 წლამდე თურქებს მხოლოდ სახელები ჰქონდათ, რაც დიდ არეულობას იწვევდა. გვარის კანონის შემოღებით მოიხსნა მხოლოდ სახელით ან ტოპონიმით რეგისტრირებულთა აღრევის პრობლემა.

პირის სახელები ლექსიკის ის ნაწილია, რომელიც მეისიერად რეაგირებს სასოგადოების სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური ცხოვრების ცვლილებებზე.

თურქული წარმომავლობის ხალხთა ანთროპონიმები მუდმივად ვითარდება, მისი სისტემატური შესწავლისას იკვეთება ანთროპონიმის ინტეგრაციული მოვლენები, რითაც ამ ხალხთა ისტორიისა და კულტურის ახალი ფურცლები იხსება.

საერთოდ კი თურქიზმები დაფიქსირებულია ოცდაათამდე ეთნოსის ანთროპონიმიაში. ადიღელები, ავღანელები, არაბები, აფხაზები, ბოშები, ერაყელები, ბულგარელები, დარგუელები, ლაკები, ლიბანელები, მაკედონიელები, მარიელები, ოსები, რუმინელები, რუსები, სერბები, სომხები, ტაჯიკები, უნგრელები, ქართველები, ყაზარდოელები, ხუნძები და სხვ. იყენებენ ძველთურქულ პირის სახელებს.

თურქიზმების დამკვიდრების ფონეტიკურ-ფონოლოგიური  
კანონზომიერებანი

უცხოურ ლექსიკურ ერთეულებს ფონემატურსა და გრამატიკულ ინვენტართან შედარებით ენა ადვილად ითავისებს და აძლევს საკუთარ ფონეტიკურ ქრეადობას. ქართველის პირის სახელად თუ გვარსახელის ფუძედ დადასტურდა არა მხოლოდ თურქული წარმომავლობის ანთროპონიმი, არამედ მრავალნაირი სიტყვაფორმა. ამით კარგი მასალა წარმოინდა სესხებისას თურქული და ქართული ენების ბგერითი სისტემების შესადარებლად. განხილულ სახელებში დაცულია ყველა ის ფონეტიკურ-ფონოლოგიური კანონზომიერება, რომელიც ახლავს თურქიზმების დამკვიდრებას ქართულ ენაში. ნასესხობათა მიხედვით თურქულის ბგერითი სისტემის გადმოცემას ქართულში მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა.<sup>17</sup> ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ბგერითი შესატყვისობების საკითხი მხოლოდ ანთროპონიმთა მაგალითზეა ილუსტრირებული.

ა) *ხმოვანთა გადმოცემა*. უკანარიგისმიერი ფართო არაბაგისმიერი /ა/ ხმოვანი ყველა პოზიციაში გადმოცემულია /ა/-თი: ალთუნა < /altun/, ბალთა < /balt/, ასლან < /aslan/.

წინარიგისმიერ ფართო არაბაგისმიერ /ე/-ს შეესაბამება ანალოგი /ე/ ხმოვანი ქართულში: ელგუჯა < /elgüç/, ბეგა < /beg/, დილენჯი < /dilençi/.

აზერბაიჯანულისა და ანატოლიურის დიალექტებისათვის დამახასიათებელ წინარიგისმიერ ფართო არაბაგისმიერ /ა/-ს ქართულში (ა) ბგერა მიესადაგა: გოზალა < /gözəl/.

წინარიგისმიერ ვიწრო არაბაგისმიერ /ი/ ხმოვანს ქართულში ეფარდება /ი/: დენიზა < /deniz/, გელდია < /geldi/.

<sup>17</sup> ს. ჯიქია, XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი – ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1954, გვ. 199–206; ვ. ჯანგიძე, საღირ-ნუნის განსხვავებული რეფლექსები თურქულსა და აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენებში, – თსუ შრომები, ტ. 116, 1965, გვ. 264–265; მ. ბელთაძე, XVIII საუკუნის თურქულენოვანი ძეგლი ქართული ტრანსკრიპციით, – თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 150–153; ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვების თურქული თარგმანები, თბ. 1968, გვ. 25–36 და სხვ.

უკანარიგისმიერი ვიწრო არაბაგისმიერი /y/ ხმოვანიც /i/-ს გეაძლევს: ყიზილა < /k'yzyl/, გვაქვს შემთხვევები, სადაც y/ ქართულში /ა/ ხმოვნად გადმოვიდა: ყულუში < /k'ylyšbe/.

უკანარიგისმიერი ფართო ბაგისმიერი /o/ და ქართული ვოკალიზმისათვის უცხო წინარიგისმიერი ფართო ბაგისმიერი /ბ/ გადმოიცემა /ო/ ხმოვნით: ოლლანი < /oylan/, ქოროღლი < /k'oroɣlɑ/. ამ უკანასკნელს სოგჯერ ქართული /ე/ შეესაბამება: k'or g'ozm → ქერქესლი.

უკანარიგისმიერი ვიწრო ბაგისმიერი /ა/ და წინარიგისმიერი /ა/, რომლის შესატყვისი ქართულში არ მოიპოვება, გადმოიცემა /ა/ ხმოვნით: უზუნა < (uzun), ქუნუკი < (k'ünük).

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, თურქული ენების ცხრა ხმოვანი (ა, ა, ე, ი, ი, ო, ბ, ა, უ) ქართულში გადმოიცემა ხუთი ხმოვნით (ა, ე, ი, ო, ა). ქართული ხმოვნებით ვერ ხერხდება თურქული ვოკალური სისტემის ადეკვატური გადმოცემა: თურქული ხმოვნებისათვის ფონოლოგიურად რელევანტური დაპირისპირება – წინარიგისმიერი – უკანარიგისმიერი – არ გადმოიცემა და ორ სხვადასხვა თურქულ ხმოვანს ეფარდება ერთი ქართული ხმოვანი: თურქ. /ა/, /ა/ > ქართ. /ა/, თურქ. /ი/, /ი/ > ქართ. /ი/, თურქ. /ა/, /ა/ > ქართ. /ა/, თურქ. /ო/, /ბ/ ქართ. /ო/.

რიგ შემთხვევებში თურქული ხმოვნის რიგისმიერობის დადგენა შეიძლება უშუალო მეზობელი გუტურალების საშუალებით, რომელთაგან, როგორც ცნობილია, /q'/, /x/ უკანარიგისმიერ ხმოვნებთან გეხედება, ხოლო /k/, /g/ – წინარიგისმიერებთან<sup>18</sup>. ასე, მაგალითად, anakiz ანთროპონიმისეული /q'/ ფონემა ქართულში გადმოვიდა /q'-ად (ანაყის), რითაც აშკარა ხდება წყაროენაში ამ ხმოვნის უკანარიგისმიერობა. თუმცა ყოველთვის მხოლოდ თანხმოვნების საშუალებით ხმოვანთა რიგისმიერობაზე დაკვირვება არ ხერხდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხმოვანთა პალატალური პარმონია (ხმოვანთა მისგავსება რიგისმიერობის მიხედვით) უმეტესად დაცულია მარტივ ფუძეებში: ყარდაშ < /q'ardaš/, თილქი < /tilki/, დემირ < /demir/ და სხვ. კომპოზიტებში კი ირღვევა: ათაბეგ < /atabeg/, ჯანბეგ < /janbeg/. ლაბიალური

<sup>18</sup> М. Ряснен, Материалы по исторической фонетике тюркских языков, М., 1955, გვ.129.

პარმონია დაცულია მარტივ სიტყვებში: დონგუსა < /donuz/, თოღლურ < /toylul/. აფიქსაციის შემთხვევებსა და თხსულ სახელებში ხმოვანთა ბაგისმიერობის მიხედვით არ არის გატარებული: /durmišan/ > დურმიშხან, /ajdolmıš/ > აიდოლმიშ, (k'afuk') > ყაიუხა და სხე.

ბ) თანხმოვანთა გადმოცემა. /h/ თანხმოვანი თურქული წარმომავლობის ანთროპონიმებში არ გვხვდება. თხსულ სახელებში, რომელთა პირველი კომპონენტები არათურქულია, h თურქულშივე იკარგება: ალავერდა < /allahverdi/, შავერდი < /šahverdi/, შაყულა < /šahq'ulul/.

ველარული ყრუ სპირანტი /x/ საკუთრივ თურქულ სიტყვათაგან მხოლოდ ორ შემთხვევაში გვხვდება: /xan/ და /xazar/. ამ თანხმოვნის შემცველი დანარჩენი ლექსემები არაბულ-სპარსულია. /x/ ხშირად გამოდის {K} არქიფონემის ალოფონად: /q'orxmaz/ ყორხმასა, /xutlubeg/ ხუთლუბეგ და სხე.

ველარული მკვრივი სპირანტი /ç/, რომელიც თანამედროვე სალიტერატურო თურქულში საერთოდ არ გვხვდება, ქართულ შესატყვისებში ყველგან ფუნქციობს /ç/ თანხმოვნის სახით: ოღლი < /oçul/, ალადაღ < /aladay/ და სხე.

არქიფონემა {K} ოსმალურ ენაში რეალიზდება /g/, /ç/, /x/, /q'/, /k/ და /k'/ ალოფონების სახით, ანთროპონიმებში დადასტურდა ამ ფონემის ქართველურ კონსონანტურ სისტემაში რეალიზებული ყველა ალოფონი:

{K} > /g/ – გაფაჩი < (gapacı); ეს სიტყვა აზერბაიჯანულიდან არის შემოსული, სადაც მოხდა /k/ ფონემის გამჟღერება:

{K} > /ç/ : სოლაღა < /solayç/;

{K} > /x/ : ხუთლუბეგ < kutlubeg /xutlubeg/;

{K} > /q'/: ყორხმას < korkmaz /k'orxmaz/;

{K} > /k'/: ყაიუხა (kaçuk), კოსუნ < (kosun).

თურქულის ანლაუტისეული /k/ ქართულში დამკვიდრებულ საკუთარ სახელებში უპირატესად /q'/ თანხმოვნადაა ფიქსირებული: ყარა < /q'ara/, ყუთლუ /q'utlu/ /k/ > ქართ. /q'/ დადასტურებულია ქართულად

ტრანსკრიბირებულ თურქულ ტექსტებსა<sup>19</sup> და აჭარული და გურული დიალექტების თურქული წარმომავლობის ლექსებში<sup>20</sup>.

გედდ (II, 190)-ში დადასტურებულ სახელ ნომეაჟი *k>q/* აუსლაუტშიც: მაშუკა ნომეაჟსჟე, თეედორე ნომეაჟსჟე. სოფ. ფია.

უკანაენისმიერი ყრუ ფუჟინიერი */k/* ქართულში გადმოდის */k/-დ*: ქოქია </kɔkɪ/, ქურქი </kürkɪ/.

უკანაენისმიერი მჟღერი ხშული */g/ > /g/*: გელდია </gɛldi/; გ თანხმოვანი წინარიგისმიერ ხმოვანთა მესობლობაში პალატალიზდება და დახურული მარცვლის ბოლოს იძლევა */j/-ს*. მაგ.: ბეგი </bɛg/ თურქულში დღეს წარმოითქმის ასე: */bɛj/*, ხოლო ქართულში იგივე სიტყვა დამკვიდრებულია ძველი ფორმით – ბეგი<sup>21</sup>.

თურქულ ენათათვის დამახასიათებელი უკანაენისმიერი ხშული ნახალი */ŋ/* თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენას აღარ შემორჩა.<sup>22</sup>

ანთორონიმების მაგალითზე ეს ბგერა უკანარიგისმიერ ხმოვნებთან მესობლობაში იძლევა */ŋy/* კომპლექსს: თანდრია </tanɔry/, სანღურ </sanɔry/.

წინარიგისმიერი ხმოვნების გარემოცვაში */ŋ/ > /ŋg/*: თენგიზ </tɛŋgiz/.

ზოგიერთ მაგალითში */ŋ/* მარტივი სახით არის წარმოდგენილი */ŋ/ > /y/*: თადრი </tady/, საღირ </sadyr/;

*/ŋ/ > /n/*: დენიზა </deniz/ დ სხე.

შუაენისმიერი მჟღერი სპირანტი */j/* ყველა პოზიციაში გადმოიცემა */j/* ხმოვნით: იარალი </jaraly/, ყაია */q'ajaj/*, იალღუზ </jalɔuz/.

<sup>19</sup> ს. ჯიქია, XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი, – ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, I, თბ., 1954, გვ. 202–203; ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვების თურქული თარგმანები,– გვ. 36.

<sup>20</sup> Н.А. Гургенідзе, Лексические элементы восточного происхождения в аджарском и гურიцком диалектах грузинского языка, Ажд, Тбилиси, 1968, გვ. 6, 18.

<sup>21</sup> ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, I – ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, III, თბ., 1960, გვ. 4.

<sup>22</sup> ე. ჯანგიძე, საღირ-ნუნის განსხვავებული რეფლექსები თურქულსა და აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენებში, – თსუ შრომები, ტ. 116, 1965, გვ. 264.

წინაენისმიერი ყრუ სპირანტი /s~/s/: სათილმიშა </satylmyš/.

წინაენისმიერი მჟღერი სპირანტი /z~/z/: უსუნა </uzun/. ყრუ შიშინა სპირანტი /ʃ~/ʃ/: ყარდაშა </q'ardaš/.

შუაენისმიერი აფრიკატები: ყრუ /č~/č/: ქუნუკი </kũčũk/;

მჟღერი /ʧ~/ʧ/: ჯანყულა </ʧan q'us/, ყარაჯა </q'araʧa/.

წინაენისმიერი ხშულები, ყრუ /l/ და მჟღერი /d/ შესაბამისად გადმოცემულია /l/ და /d/ თანხმოვნებით: ყუთლუ </q'usl/, თანღრია </tanryr/, დემურ </demur/, დაღბაშ </daybaš/. რამდენიმე სახელში თავიკიდური მკეფთრი ტ, მაგ: ტაშლიგოლი ტაიბულა, ტაგანაშვილი და სხვ. ქართულით აიხსნება.

ლაბიოდენტალური მჟღერი სპირანტი /v/ გადმოცემულია შესაბამისად /v/ თანხმოვნით: ვერმიშა </vermiš/.

წყვილბაგისმიერი ხშულები: ყრუ /p/ და მჟღერი /b/ გადმოცემულია /b/ და /p/ თანხმოვნებით: ბალთა </balta/, თოფი </topfi/.

წინაენისმიერი ნაზალი /n~/n/: ანაყიზ </ana q'yz/.

ლატერალი /l~/l/: ასლან </aslan/.

ვიბრანტი /r~/r/: ელბერდი </elberdi/. ეს თანხმოვანი თანამედროვე თურქულშივეა ამოვარდნილი ლექსემიდან aslan < ძე.თ. /arslan/. ქართულში ძველი თურქული ფორმითაც არის შემორჩენილი: აღფარსლანი, ეგარსლანი.

გ) სხეადასხვა ფონეტიკურ-ფონოლოგიური მოვლენები. ერთ მაგალითშია კონტაქტური და დისტანციური მეტათეზისი: toyrul > toyrur (> თილღური) > tolyur > თოლღური.

თანხმოვანთა ასიმილაცია სამჟღერე-სიყრუის მიხედვით გატარებულია ყველა შესაძლებელ შემთხვევაში, დარღვეულია მხოლოდ ერთგან – თემურნი </temurñi/. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანულ ენაში -CI აფიქსის მხოლოდ ყრუთანხმოვნიანი ალომორფი -çI ფუნქციობს. ამდენად სავარაუდოა, რომ სახელი აზერბაიჯანულიდან იყოს შეთვისებული.

თურქულშივე მომხდარი ევლარი /g/-ს პალატალიზაციის (არტიკულაციურად წინ წაწევის: /g/→/ç/) მაგალითია /gũmũš/ → /çũmũš/ > ჯუმუშა (შღრ. /g/→/ç/): არ. /gamal/ →/çamal/; /k/ →č:/აზ. /kiilo/ →/čiilo/ და სხვ.).



და ოღუსური ენების განმასხვავებელი ძირითადი ფონეტიკური თავისებურება – მჟღერი და ყრუ ანლაუტი. ამ თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდება თემური და დემური, თენგიზი და დენიზა, რომელთა ყრუანლაუტიანი ვარიანტები უპირატესად ყივალური ჯგუფის ენათაგან უნდა გექონდეს შეთვისებული, ხოლო მჟღერი – თურქულიდან და ასერბაიჯანულიდან.

თანამედროვე ოღუსური და ყივალური ენებისათვის დამახასიათებელია ხ~v მონაცვლეობა სიტყვის თავში. ასე, მაგალითად, ბერდია ანთროპონიმისეული *ber* – ფუძე უპირისპირდება *ver* – ფუძეს ანთროპონიმში ვერმიშა (შდრ. ოღუზ. *var* – ყიეფ. *bar*).

ოღუსური ენების მყარ /j/-ს სიტყვის ანლაუტში შეესაბამება /j-ჰ-ჰ/-ს არამდგრადობა ყივალურ ენებში. მაგ., მთაში გავრცელებული სახელი ჯურდა, ჯურხაი // ჯურხა და ქურგა (გვარში: ქურგაშვილი) უკავშირდება ყარაჩაულ-ბალყარულ-ყუმუხურ /ჯორჰ/-ს (სიტყვის თავშია /ჰ/) და /ჯურგა/-ს (სიტყვის თავშია /ჰ/); იგივე ფუძე ოღუსური ენებიდან შემოსულია ქართულში იორღა</ჯორჰ/-ს ფორმით, ოღონდ ანთროპონიმად არ იხმარება. შდრ. აგრეთვე /ქო- ჰო/ 'გ'ა', /ქიქი- ჰიქი/ 'ვაეკაცი', /ქყ- ჰყ/ 'წელი' და სხვ.

შეენერდებით თურქული ენის კიდევ ერთ ფონეტიკურ თავისებურებაზე.

ოსმალური ენის ისტორიაში აღსანიშნავია ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაში მთელ რიგ სიტყვებსა და აფიქსებში ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში ძირითადად იხმარებოდა ეიწრო ბაგისმიერი ხმოვნები u, ü ნაცვლად არაბაგისმიერი u, ü-ისა. მაგ., *altun* ნაცვლად დღევანდელი *altın*-ისა. სოციერთი მკვლევარი ამას მიიჩნევს ძველი სალიტერატურო თურქულის წარმოთქმის დამახასიათებელ ნიშნად.<sup>21</sup> ბოლოკიდურ მარცვალში ხმოვნის ლაბიალობას არა აქვს დისტინქციური ფუნქცია. ამგვარი ფორმები ხშირია დიალექტებში და ისინი განიხილებიან თურქული ენის არქაული

<sup>21</sup> Э.В. Свортян, Примечания к "Турецкому языку" Н.К. Дашприсва, М., 1964, гл. 83.

მდგომარეობის (იგულისხმება პარმონიამდელი პერიოდი) მანეკნებლად, რომლის ანალოგიებიც უხეად არის ძველ თურქულში.<sup>24</sup>

რამდენიმე თურქული სიტყვა, რომელთა თავში გეხედება *dil-*, ქართულსა და სხვა ენებში გადადის *doi-*ადეგევე მოვლენა გვაქვს ანთროპონიმში დოლენჯი < *dilenci* 'მათხოვარი'.<sup>25</sup> ეგევე სიტყვა ქართულში დასტურდება ფართო ლაბიალური ხმოვნით პირველ მარცვალში – დოლენჯი (ლაზარეს ძე) (გვდდ, 216) აღმოსავლურ ენათაგან ნასესხებ სიტყვათა ერთ ნაწილში სანლაუტისეული *d* ან *t* და მომდევნო არაღაბიალურხმოვნიათი კომპლექსი ქართულში დამკვიდრებისას იძლევა [*d/vt'* + *o*] კომპლექსს: მაგ., თურქ. *dilmeç* → რუს. *мошмак* → გერმ. *Dolmetscher* → ქართ. *თოღმაჯი*. შდრ. სპ. *dastar* > ქართ. *დოსტაქარი*, სპ. *dilarduxt* → ქართ. *დეღარდუხტი* და სხვ. ამ ბგერათშესატყვისობის შესახებ წერილში პირველ მაგალითად სწორედ თურქ. დოლენჯია მოყვანილი. ეს მოვლენა – /*di*→*do*/ – საკმაოდ ხშირია ანატოლიური თურქულის დიალექტებში. აღსანიშნავია, რომ იგი დადასტურდა ქართული ენის აჭარულ დიალექტში დამკვიდრებულ თურქულ ნასესხობებშიც. სავარაუდოა, რომ დოლენჯიც ქართულში ანატოლიური თურქულის აღმოსავლური და ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტებიდან იყოს შემოსული.

<sup>24</sup> Е.В. Гуднашвили, Фонетические особенности турецкой речи Ринзе и Трапезунда. Вопросы диалектологии тюркских языков, Баку, 1963, გვ. 118.

<sup>25</sup> ს. ჯიქია, ერთი ფონეტიკური კანონზომიერებისათვის ქართულში – თსუ შრომები, 186, აღმოსავლეთმცოდნეობა, 1978, გვ. 5–7.

თურქული სიტყვაწარმოების მორფოსინტაქსური  
ანალიზი

საკუთარ სახელთა შესაღწევად ენათა შორის მინიმალური კონტაქტი კი საკმარისია. უცხო სიტყვებს მიმღები ენა თავის შინაგან კანონსომიერებებს უმორჩილებს და სადეროვაციო საშუალებებით ნასესხობათა შემცველ ახალ სიტყვებსაც წარმოქმნის.

*მარტივი და ფლექსიური სიტყვაწარმოები*

თურქულენოვანი ლექსემების შემცველ ანთროპონიმებსა და პატრონიმთა ფუძეებში მრავლად გვხვდება: არსებითი სახელები – თანღრია < tanrı 'ღმერთი', თემურ < demir 'რკინა', თოფა < top 'იარაღი', თოფრაკი < toprak 'მიწა', ილდიზი < yıldız 'ვარსკვლავი', კუდუხა < kuduk 'წოწორი', ოღლანი < oğlan 'ბიჭი', ოღულა < oğul 'ვაჟიშვილი', ტაგანა < tağan 'ვარცლი', ფუნდუკი < funduk 'თხილი', ყაზანა < kazan 'ქვაბი', ყაია < kaya 'კლდე', ყარდაშა < kardaş 'ძმა', ყაფლან < kaplan 'ფეხვი', ყოლბი < kulp 'სახელური', ყულა < kul 'მონა', ჩომახი < çomak 'ჯიხვი', ჯილა < cığa 'ჯილა', ჯურღა < çorça 'წორთმავალი ცხენი' და სხვ.

ზედსართავი სახელები – ალუღა < alık 'სულელი', არღუნ < argun 'წმინდა', აფაკი < apak 'უთუთრესი', აჯია < acı 'მწარე', გოსალა < gûzel 'ლამაზი', დელი < deli 'გიჟი', დოგრა < doğru 'მართალი', დოლუ < dolu 'სავსე', პარლაგა < parlag 'ბრწყინვალე', გევეზა < geveze 'ებედი', სარი < sarı 'ყვითელი', სოუხ < soğuk 'ცივი', უზუნა < uzun 'გრძელი', ქუნუკი < künük 'პატარა', ყარა < kara 'შავი', ყიზილა < kızıl 'წითელი', შიშმანა < şişman 'მსუქანი', ჩირკინა < çirkin 'უშნო', თეკა < tek 'კენტი', ოზა < öz 'წმინდა', ჩოლაყი < çolak 'ცალხელა' და სხვ.

ნაცვალსახელთაგან შეგვხვდა მხოლოდ ერთი: ბაშკა < başka 'სხვა'.

საკუთარ სახელებად და პატრონიმთა ფუძეებად დადასტურდა თითო-ოროღა რიცხვითი სახელი: ბირდუ < birdu 'ერთი იყო', გვარია ყირქესალი < kırk kiselî 'ორმოციისიანი', ყირყიზული (გეარში: ყირყიზუღაისშვილი) < kırk kızıl 'ორმოცი წითელი'.

ზნისზედა: ერკენა (გეარში: ერკენაშვილი) < erken 'ადრე', იალლუსი < yalnız 'მარტო'.<sup>26</sup>

მოდალური სიტყვა ქერეკი < gerek 'უნდა', 'საჭიროა', და უარყოფითი ნაწილაკიც კი: იოხ (გეარში: იოხმუსაშვილი) < yok 'არა'.

არსებითი სახელის ფლექსიური სიტყვაფორმები იშვიათია. 'I პირის კუთვნილებითი აფიქსი სამ მაგალითში დაეაფიქსირეთ: აღიმხან < /ad-ym xan/ 'სახელი ჩემი ხანი(ა)', ბეგუმი < (beg-ım) 'ბატონი ჩემი', და ხანუმა < /xan-um/ 'ხანი ჩემი'.<sup>27</sup>

უპირატესია III პირის კუთვნილებითაფიქსიანი ფორმები: აღასი < /ayasy/ 'ბატონი მისი', გონგლია < /ğonğ/ 'გული მისი', ყულიბეგ < /q'usı beg) 'მონა მისი ბატონი', აღიბეგ < /ady beg), სახელი მისი ბეგია, ელგისი < /el q'ızı) 'ხალხის ქალიშვილი', ელგუჯა < (el ɣığ) 'ხალხის ძალა' და სხვ.

ორიოდე მაგალითში გეაქეს მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ფორმანტი -lar სახელთან: ბეგლარ < /beglar/ 'ბეგები', დაღლარა < /daylar 'მთები'.

იმ თურქულ სიტყვაფორმათაგან, რომლებიც თავის დროზე ქართველთ სახელებსა და გეარებს დასდებია საფუძელად, ყურადღებას იქცევს ზმნური ფორმების სიმრავლე. თურქულ ანთროპონიმიაში ბევრია როგორც პირიელი, ასევე უპირო ზმნური ფორმები – მიმღებები, რომლებიც სახელებად გეხდებოდა ცალკეც და სინტაგმებშიც.

რამდენიმე საკუთარი სახელი ბრძანებითი კილოს მხ. რიცხვის II პირის ფორმით დადასტურდა:

ბირახა < birak! 'დატოვე!' (ღლონტი, 1986, 90). ეს სახელი XVIII ს.-ის

სტატისტიკურ ცნობარშია დაფიქსირებული.

გელბაქ < gel bak – 'მოდი, ნახე'. ქართულ გეარში გელბაქიძე და სევანურ პატრონიში გელბახიანი საგეაროვნო ფორმანტების წინ ორი ზმნის ფუძეა – gel- და bak-, რაც ასევე ბრძანებითი კილოს

<sup>26</sup> მ. ბულთაძე, XVIII საუკუნის თურქულენოვანი ძველი ქართული ტრანსკრიპციით, თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 50.

<sup>27</sup> ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, I – საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. ენათმეცნიერების ინსტ. შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III, 1960, გვ. 9–10.

მხოლოდობითი რიცხვის II პირის ფორმებია. საგულისხმოა, რომ ქართულ ტოპონიმიაში არაერთგზის გვხვდება *მოდინახეთი* სახელდებული მთა, ციხე და სხვ.

**გობირახა** < ko, birak! 'დადე, დატოვე' გვარის ფუძეში გობირახაშვილი (ი.გ. 26). ამ სახელში ორი – komak 'დადება' და birakmak 'დატოვება' – ზმნის ბრძანებითი კილოს მხ. რიცხვის II პირის ფორმა ივარაუდება.

**კორხმა** < korkma'ნუ გეშინია' (ქსს,147). ბრძანებითი კილოს III პირის ფორმებია:

**დურსუნ** < dursun 'დაე, გადარჩეს, იყოს, იცოცხლოს'. ეს სახელი გვარის ფუძეშიც არის: დურსუნძე.

**კოსუნ** < kosun 'იყოს, დარჩეს' (ქსს,147).

(ელ)დერა < der 'ამბობს' demek 'თქმა' ზმნის აწმყო განუსაზღვრელი დროის მხ. რიცხვის III პირის ფორმა უნდა იყოს de-r სემანტიკულდერაშვილი გვარის ფუძეში: ელდერა < (el der) 'ხალხი ამბობს'.

სსაკუთარ სახელებად გამოყენებულია ნამყო-კატეგორიული დროის მხ. რიცხვის III პირის ფორმები, რომლებიც ადვილად საცნობია დროის აღმნიშვნელი -di- აფიქსი(მხ. რიცხვის III პირი ამ დროის ფორმებთან უნიშნია):

**ვერდი** < ver-di 'მომცა, მიბოძა'( გუდლ, 337) კავკასიის თურქული წარ-

მომაელობის ერებში ეს სახელი berdi-ს ფორმით არის გავრცელებული. ოღუზური და ყივჩაღური ენებისათვის დამახასიათებელია b-v მონაცვლეობის შესახებ სიტყვის თავში იხ. აქვე გე.

**ბერდი** < ber-di 'უბოძა' (ქსს, 87). გვხვდება ბერდა და ბერდო. ამ

სიტყვის შემცველი ცოცხალი გვარი სანიანია: ბერდისშვილი

(ი.ა., 740). ეგვეე სიტყვა -ა სუფიქსით სახელადაც

იხმარება – ბერდია და გვარის ფუძეშიც გვხვდება – ბერდიაშვილი.

რუსული გვარის ВЕРДЯЕВ-ის ფუძეში ეს თურქული სიტყვაფორმა

ძეეს.

გელდია < gel-di 'მოვიდა' (ქსს, 100), არის გეარის ფუძეშიც: გელდიაშიელი. სახელადაც გვაქვს და გეარის ფუძეშიც ქელდი < keldi, რომელიც ეიქნალური (ე.ი. ყრუნანლაუტიანი) ენებიდან უნდა იყო შემოსული.

გირდია < gir-di 'შე(მო)ვიდა' (პალ., I, 666). გირდია 1621 წლის საბეგარო საბუთშია დასახელებული (ქსს., III, № 91).

დონდუა < dön-dm 'დაბრუნდა'. თურქულ საკუთარ სახელთა ლექსიკონში Döndü ასეა განმარტებული: ის, ვინც სარწმუნოება გამოიცვალა (Gencosman, 1975, 80). დონდია საკუთარი სახელია (ღლ., 1967, 114), დონდუა და დუნდუა კი – გეარები. ამ ნასესხობის ორი ვარიანტი გეარის ფუძეშია დაფიქსირებული: დონდიაშიელი (ზუხბაია, I 973,29), დონდუაშიელი (ი.ა., 701). შდრ. ქართული ეტიმონური პატრონიმი დაბრუნდაშიელი.

ორ ანთროპონიმში გვაქვს ამავე დროის მრ. რიცხვის I პირის ფორმა:

ბერდიკა < ber- di- k ' მივეციტო ' გეარში: ბერდიკაშიელი (თბსც, 91).

იელბერდუე < yel berduk 'აე სულს მივეციტო' (ქსს, 134).

გეხედუბა ნამყო რეზულტატიური დროის -miş-მორფემიანი პირიელი ფორმები, როგორცაა (Ay) dolmuş, (Ay) doğmuş და სხვ. ნამყო დროის მიმღობათაგან მათ განსახელებლად პირიელ ფორმად ჩაითვადა სუბიექტდასახელებული, ჩვენს შემთხვევაში – სინტაგმური, სიტყვაფორმები.

ნამყო დროის მიმღობაა:

ბილმიშ < bil-miş 'მცოდნე' (გედდ, 373).

გირმიშა < gir-miş 'შესული' (Hd-1453). შდრ. ქართული გეარის, მოსული-შიელის, ფუძე.

დურმიშ < dur-miş 'გადარჩენილი' (1448-1087). გეარის ფუძეშიცაა – დურმიშიძე.

ელმიშა < eñ-miş 'მოხრილი', მხოლოდ გეარის ფუძეშია: ელმიშაშიელი (პალ., I, 162)

ვერმიშა < ver-miş 'ბოძებული' (ქსს, 123), ვერმიშასშიელი (Hd-5271), ვერმიშისძე (გედდ, 365).

სათილმიშა < satılmıř 'გაყიდული' (გედდ, 277).

უნდა აღინიშნოს, რომ -mız- სუფიქსიანი ფორმა მხედართმთავრის სახელად – ალფელეთში – უკვე VII საუკუნის ბოლოს ორხონის ერთ-ერთ წარწერაშია ფიქსირებული.<sup>28</sup> ამგვარი სახელდება თურმეოებითი პარადიგმიდან III პირის ფორმის საკუთარ სახელად გამოყენების ხანდასმულობაზე მეტკეველებს. იხ. აგრეთვე თქმულებაში დადასტურებული სახელი ალფამიში.<sup>29</sup>

ზმნის უპირო ფორმათაგან ხშირად გვხვდება აწმყო განუსაზღვრელი დროის უარყოფითი ასპექტის მიმდევობის რთული -maz აფიქსდართული ფორმები:

**ბათირმაზ** < batır-maz' (ის, ვინც) არ დაღუპავს (არ ჩაძირავს)' (ქსს,80),  
იგულისხმება, რომ ღვთისგან არ გაიწირება.

**დოლმაზ** < dol-maz 'აუესებელი, გაუმაძღარი' (გვედ, 442); დოლმა-  
ზას'შეილი (Hd-1777), დოლმასა'შეილი.

**დონმაზ** < dñn-mez '(ის, ვინც) არ (მო)ბრუნდება; მტკიცე, თავისი რწმენის აღმსრულებელი' (Hd-14664). შდრ. გვარი დონმასა'შეილი.

**დოღმაზ** < doğ-maz '(ის, ვინც) არ დაიბადება' (ქსს, 177).

**კორკმაზ** < kork-maz '(ის, ვისაც) არ ეშინია' (გვედ, 348). ეს სიტყვა გვარის ფუძეშიც დევს: კორხმასა'შეილი (ქსს,147).

**ურკმაზ** < ùrk-mez '(ის, ვინც) არ დაფრთხება' (ქსს, 197);  
გვარის ფუძეში აღმონდა ეს სახელიც : ურკმასა'შეილი.

**უთანმაზ** < utan-maz '(ის, ვისაც) არ რცხენია' (გვედ, 146).

**ყაითმაზ** < kayt-maz '(ის, ვინც) არ გადათქვამს, არ დაბრუნდება' (გვედ, 23). გვარის ფუძეშიცაა: ყაითმასა'შეილი.

### *წარმოქმნილი სახელები*

ნასესხობათა კორპუსში ყურადღებას იქცევს წარმოქმნილ სახელთა სიმრავლე. დერივაციულ საშუალებათა მიხედვით შეგვხვდა მორფოლოგიური (სუფიქსაცია) და სინტაქსურ-მორფოლოგიური (შეთანხმება, მართვა, მირთვა) საშუალებებით წარმოქმნილი ერთეულები.

<sup>28</sup> Гумишев Л.Н., Древние тюрки, ... გვ. 281.

<sup>29</sup> В. Жирмунский, Сказание об Алпамыше и богатырские сказки, М., 1960.

მორფოლოგიური საშუალებებით წარმოქმნილ სახელებში სტარბობს -CI და -LI-სუფიქსდართული სახელები. -CI თურქულში ერთეის ისეთ ფუძეებს, რომლებიც აღნიშნავენ ობიექტს, ან საგანს. ამ აფიქსის მეშვეობით თურქული *nomen agentis*-ის გამოყოფა ქართული ონიმებიდან არაა ძნელი. ეს სახელებია: ავჯი (av 'ნადირობა') – მონადირე, ათჯი (at 'ცხენი') – მეჯინბე, არხნი (გვარში: არხნიშვილი) > (ank 'არხი') – 'შეარხე', ბალნი (bal 'თაფლი') – მეთაფლე, გაფანი > (აზ. (gapy) 'კარი') – კარისკაცი, დემირნი < (demir 'რკინა') – მჭედელი, ელნი(ბეგ) (el) 'ხაღხი') – ელნი, კომურჯი (გვარში: კომურჯიშვილი) < (kõmür 'ნახშირი') – მენახშირე, ფაფახნი < papaklı 'მეფაფახე', ქურქნი (გვარში: ქურქნიშვილი) (kürk 'ქურქი') – მექურქე, ულარჯი < (yular 'აღვირი') – მეაღვირე, ყეინნი (გვარში: ყეინნიშვილი) < (kuyum 'საიუველირო ნაწარმი') – ოქრომჭედელი, თოფნი (გვარში: თოფნიშვილი) < (top 'ზარბაზანი') – მესაჭურელე, ყაუხნი (გვარში: ყაუხნიშვილი) < (kavuk 'ქედის სახეობა') – მექედე, თოქმაჯი (გვარში: თოქმაჯიშვილი) < (tokmak 'ხის ნაქუნი') – 'მთეგაეი', 'თითბერზე მომუშავე ხელოსანი' და სხვ. ერთ მაგალითში ზმნური ფუძეა: სახელში დილენჯი (dilen ფუძეა dilenmek 'ზმნისა 'მათხოვრობა') – მათხოვარი. არათურქული წარმომავლობის სიტყვებთან *nomen agentis*-ის ამავე აფიქსის მიერთებით წარმოქმნილ სახელთაგან რამდენიმე ქართულ გვარს დასდებია საფუძელად: მულამში (გვარში: მულამშიშვილი) < (muyam) 'მულამი' – მემულამე, მულამის შემსრულებელი, ქილარჯი (გვარში: ქილარჯიშვილი) < სპ. (kiler) 'საკუჭნაო' – 'მეკუჭნაე', ყალაიჯი (გვარში: ყალაიჯიშვილი) < (qala), კალა, მკალაეი (შდრ. იმავე შინაარსის ქართული გვარი მკალაეიშვილი), ბალარჯი (გვარში: ბალარჯიშვილი) < სპ. balar 'ყავარი' – მეყავრე, ჩინიჯი (გვარში: ჩინიჯიშვილი) < სპ. çini 'ფაიფური, ქაშანური' – მეფაიფურე, ყულეიჯიშვილი < არ. (kule) 'კოშკი' – მეკოშკე (შდრ. ამავე შინაარსის გვარი მეკოშკიშვილი), თუმცა ამ გვარის ფუძეს მხოლოდ აფიქსაცია აქვს ქართული: კოშკი < თ. kōşk 'კოშკი' და სხვ.

როცა არსებით სახელებს ერთეის ქონების -II სუფიქსი, ხშირად სადაურობა აღინიშნება: ბაღდადლი (გვარში ბაღდადლიშვილი) < Bağdadlı



'ბაღდადელი', Kirimli < ყირიმელი. იგივე ტოპონიმი სადაურობის ქართული სუფიქსითაც გვხვდება გვარის ფუძეებში: ყირმელიშვილი, ყირმელაშვილი

მიმართებითი ზედსართაეები თურქულში უპირატესად -II აფიქსით იწარმოება; რამდენიმე მათგანი ქართულ ანთროპონიმიკაშიც მოვიძიეთ: სოილ < soy ('წარმომავლობა', 'გვარი'+II 'კეთილშობილი', ბუილლი (გვარში: ბუილლიშვილი) < büyük ('ულვაში') + II 'ულვაშიანი', იარალი < yara 'ჭრილობა'+II yaralı 'დაჭრილი'. თათლა (ხან) < tat 'გემო'+II 'გემრიელი', 'ტკბილი'; უღრულუ < uğur (კარგის მომასწავებელი ნიშანი) + II 'იბლლიანი'; თოფლი < top 'იარაღი'+II, 'იარაღიანი'. თხსული სახელების – ყუთლუარსლანი, ყუთლულა/შვილი, ხუთლუბელ/აშვილი – პირველ კომპონენტშიც ეს სუფიქსია: ყუთლუ < kut 'ბედნიერება'+II 'ბედნიერი'; ქართულ გვარს ქერქულიშვილი დასდება საფუძვლად კომპოზიტი ვითარებითი kür > 'ბრმა' და მიმართებითი ზედსართაეით < გზში 'ბრმა თვალიანი'. მაგალითებიდან ორ შემთხვევაში ეს სუფიქსი დაერთო არაბულ /ისარლი< არ. (hysar) 'ციხე'+II მეციხოვნე (და სპარსულ) ყირქესალი < თ. (kyrk) 'ორმოცი'+ სპ. (kese) 'ქისა'+II ორმოცქისიანი) სიტყვებს.

თითო-ორილა მაგალითით დასტურდება: უქონლობის აფიქსი -siz : პარმასისი (გვარში: პარმასისიშვილი parmak('თითი') + -siz 'უთითო', ბურნუსუს (გვარში: ბურნუსუსაშვილი burun (ცხვირი) + -siz 'უცხვირო'.

ზედსართაეი სახელის წარმოქმნელ სუფიქსთაგან შეგვხვდა -mAn, რაიმე თვისების ინტენსიურობის მაჩვენებელი: შიშმანა < şişman 'მსუქანი', -cA აფიქსი ქართული მო-ო-ს ფარდია: ala-ca > ალაჯა 'მოჭრელო', kara-ca > ყარაჯა 'მოშავო' და სხვ.

განყენებულ სახელთა აფიქსთაგან არის: -gI (ზმნისგან სახელის მაწარმოებელი აფიქსი): საიგი < say ('ჩათელა', 'ჩარიცხვა') + gI 'პატივისცემა' და – lik სახელიდან სახელისავე მაწარმოებელი: ბეგლიკი < beg-lik 'სიმაგრე', 'სიმტკიცე', კულუს (გვარში: კულუსაძე) < kul-lik 'მონობა', ტოკლიკა (გვარში: ტოკლიკაშვილი) < tokluk 'სიმაძღრე'; ქონაკი (გვარში: ქონაკიძე) < könlük 'მამაცი', 'ყოჩაღი'. könlük შეიძლება ასოცირებდეს როგორც ზმნის könmak 'შემთხვევა', 'გადახვევა', ძირთან, ასევე არსებითთან könlük 'ყოჩი', რომელიც

შესიტყვებაში *kođ yğıu* (სიტყვასიტყვით: ყოჩი ვაყაცი) ნიშნავს 'ღამაზ, წარმოსადგე ჭაბუკს'. -*lk* სუფიქსი ფუნქციობს *kačik*-ში (*kačmak* 'გაქცევა', ზმნის ძირი + -*lk*) > კანუხა (გვარში: კანუხაშვილი) 'გაქცეული'.

### თხზული სახელები

თურქული ენის ნორმატიულ გრამატიკებში თხზვა სიტყვაწარმოქმნაშია დასახელებული, ხოლო კომპოზიტები სიტყვაწარმოების სინტაქსურ-მორფოლოგიურ საშუალებათა შედეგადაა მიჩნეული. ასე, მაგალითად, ა.ნ. კონონოვი ამ ხერხით სიტყვაწარმოქმნის თოთხმეტ ტიპს გამოყოფს.<sup>30</sup> შეკრებილი მასალის სათანადო ნაწილს ჩვენც ამ კუთხით წარმოვაჩინო.

ქართულში დამკვიდრებული თურქული საკუთარი სახელებისათვის ნიშანდობლივია რთული სახელების სიმრავლე. ანთროპონიმულ კომპოზიტებში გამოიკვეთა ორი მარტივი სტრუქტურა: I – სახელი / + აფიქსი / + სახელი / + აფიქსი /; II – სახელი / + აფიქსი / + ზმნა + აფიქსი. არცერთ თხზულ სახელში არ ფუნქციობს ორ სიტყვაფორმასე მეტი, ხოლო მორფემების რაოდენობა (ე.ი. შესიტყვების სიღრმე) ხუთ ერთეულს არ აღემატება. კომპონენტთა რაობის მიხედვით ჭარბობს არსებითი და ზედსართავი სახელები, ნაკლებია ზმნები და იშვიათი – სხვა მეტყველების ნაწილები. რაც შეეხება შერწყმის საშუალებებს: განხილულ თხზულ ანთროპონიმთა დიდი ნაწილი ერთგვარად თითქოს უფრო მოსალოდნელი ორწევრა დეტერმინატული კომპოზიტები კი არა, სახელთა უბრალო მიერთება აღმოჩნდა, რომელშიც შედის ე.წ. თურქული იზაფეტის წესით დაკავშირებული სიტყვები, ე.ი. არსებითი სახელი + არსებითი სახელი. ფაქტობრივად ეს ლექსემები მარკირებულია მირთვით. ანთროპონიმთა ტიპოლოგიური კვლევის პოზიციიდან აუცილებელი არაა თხზული სახელის კომპონენტებს შორის სემანტიკური მიმართებების წარმოჩენა. ასე,

<sup>30</sup> А. И. Кононов, Грамматика современного турецкого литературного языка, М.-Л., 1956, გვ. 124–129.

მაგალითად: გერმანული სახელი Siegfried არც 'მშვიდობის გამარჯვებაა' (Sieg des Friedens) და არც 'გამარჯვების მშვიდობა' (Frieden des Sieges). შენიშნულია, რომ კომპოზიციის წყურთა მიუსადაგებელ შინაარსს ხშირად ახლდა მისტიკური გააზრება.<sup>31</sup>

სახელეზად დამკვიდრებული და პატრონიმთა ფუძეებად გამოყენებული თურქული შესიტყვებები მორფოსინტაქსური მანევრებლების მიხედვით 7 ქვეტიპად დავაჯგუფეთ. სახელურ სისტემებში გაერთიანდა სამი, ხოლო ვერბალურში – ოთხი ქვეტიპი.

#### ა) სახელთა შემცველი კომპოზიტები

##### *კომპოზიტი I იზაფეტია:*

**ათაქიში** < (ata kişi) 'მამა აღამიანი' (პირთა სახ. საძ., 262). ს

**აიგუნე** < (aj gün) 'მთიარე მზე' (1448–2313); შდრ. პატრონიმი აიგუნაშვილი (პირთა სახ. საძ., 8–42).

**აიდემურ** < (aj demür) 'მთიარე რკინა'; აიდემურ ბებურიშვილი (1448. 1–2418), აიდემურ ეანნაძე (1449, 111).

**ალთიბეშა** < (altybeş) 'ოქროსთავა' (1448, 226; 11). ეს ანთროპონიმი წარმოადგენს შესიტყვებას altn baş 'ოქროს თავი'. Altn > ალთინში ნ-ს დაკარგვა სხვა სახელებშიც გვაქვს. დაიშვება baş > beş რაც, შესაძლოა, ქართული ბოლოკიდური ა-ს გამოა.

**ალთუმიშარ** < (altn myşar) 'ოქროს ხერხი' (საქ. სიძე, 11, 37; მ.ჯ., 216), ალთუმიშარ ამნაბაძე (ჟორდ. 111, 234).

**ანაყიზ** < (ana kyz) 'დედა ქალიშვილი' (ქსს, 72); ეს სახელი ასერბაიჯანული ონიმიის სისტემური მიმოხილვისას ასეა თარგმნილი 'девочка матери'.<sup>32</sup>

**ასლანბეგ** < (aslan beg) 'ლომი ბატონი'. ასლანბეგაანთ ასლანი (1448.226.1) ასლანბეგის დეზინტეგრირებული ფორმაა ასლანბი (ქსს, 76).

<sup>31</sup> W. Fleischer, Die Deutschen Personennamen. Berlin, 1968, გვ. 8.

<sup>32</sup> А. Садыков, Система азербайджанских личных имен. – Тюркская ономастика, Алма-Ата, 1984, გვ. 214.

**აღაბეგი** < (aya beg) 'უფროსი ძმა ბატონი', უფროსისადმი პატივმისაგები მიმართვის ფორმა (თბ., 13. 11.1980).

**დემურტაში** < (demir taş) 'რკინა ქვა' (ქსს, 112).

**ელბადურ** < თ.- მონღ. (el baadur) 'ხალხი გმირი', ელბადურ გოშიძე (ქორდ., 111, 696; 934); ელბადურიც: „ამილახორსა ელბადურის საუკუნომც, არც სახსენებელი მისი და თანამეცხედრისა მისისა ხურციძის ასულისა ნესტოსა –“ (ათაბ., 20).

**ელდემურა** < (el demir) 'ხალხი რკინა', გეარში: ელდემურასშვილი (ფარემუზ) (1769., 1548., 1–2415).

**ელდინი** < არ. (el din) 'ხალხის სარწმუნოება' (ქსს, 19).

**ფარანგოზა** < (para göz) 'ფული თვალი' (გადატანით: 'ფულის წუწკი', 'ფულის მოყვარული') ეგევე სიტყვაა ფშაეში დადასტურებული საკუთარი სახელი ფარგოზი (მაკალ., ფშ., 148) და ფალგოზიც (დლ., 1, 129).

**ფირბუდახა** < სპ.-თ. (pir budak) 'რელიგიური სექტის წინამძღოლი', 'მოძღვარი'; 'ტოტი'. ფირბუდახა ეუბადისძე (გედდ., 373).

### *კომპოზიტი II იზაფეტი*

II იზაფეტი მართვით ორგანიზებული შესიტყვებაა. მსაზღვრელი პირეული არსებითი სახელი – განუსაზღვრელობით ბრუნვაშია, მართულ მეორე არსებით სახელს (საზღვრულს) ერთვის III პირის კუთვნილებითი აფიქსი:

**დაღბაში** < (day başy) 'მთის თავი' (პირთა სახ. საძ, 2695).

**ელბეგი** < (el begi) 'ხალხის ბატონი' (გეარში: ელბეგიძე), (ქორდ. 111, 701).

**ელკიზი** < (el kyzy) 'ხალხის ქალიშვილი' (ქსს, 117).

**ელგუჯა** < (el güm) 'ხალხის ძალა' (მ.ჯ., 217). შდრ. პატრონიმი ელგუჯაური (თბ., 04.09.1973), ელგუჯაისძე. სოციურთი სახელი კონკრეტული ფაქტისაგან სახელის შექმნის პროცესს ერთგვარად ააშკარავენს. თურქული ანდაზის – el güm – sel güm 'ხალხის ძალა ნიაღვრის ძალაა' პირეული სინტაგმა el güm ჩვენში გავრცელებული სახელის ელგუჯას, წყაროა.

**თანდროყულა** < (tanrı kulu) 'ღუთის მონა' (პირთა სახ. საძ., 1611), შდრ. პატრონიმი თანდროყულაშვილი (პაღ., I, 289).

**უზბაზა** < (üz başı) 'ასისთავი'. ამავე შინაარსის ქართული ეტიმონი უნდა იყოს პატრონიმი ასისტიშვილი (ასისთავი ასისტი).<sup>33</sup>

**ურდუბეგ** (გეარში: ურდუბეგაშვილი) მონღ.-თ. (ordu begi) 'ურდოს (ჯარის) ბატონი'.

**ურდოელი** (გეარში: ურდოელაშვილი) < (ordu eli) 'ურდოს ტომი, ხალხი' (1449–1171). ქართულში **ურდო** თურქ-მონღოლთა ფეოდალური სახელმწიფოების მმართველის ადგილსამყოფელსაც გულისხმობდა.<sup>34</sup> მაგრამ ამ ანთროპონიმში ქართული სადაურობის აფიქსდართული ფორმა ხომ არა გვაქვს? ჩინელი, ინდოელი, ურდოელი? ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ რთულ სახელთა ერთ-ერთი აქტიური ელემენტი *el* > *ელ* ამ სიტყვის გარდა თხზულ ანთროპონიმებში მუდმივად პირველი კომპონენტია: ელბადური, ელბეგი, ელგუჯა, ელდერი, ელბერდი და სხვ.

**ყორჩიბაში** < (k'oruşa başı) 'მცველთა უფროსი'; 'მსახურთუხუცესი', ყორჩიბაში ციციშვილი(1450–37/160); დაიძებნა პატრონიმი ყორჩიბაშიშვილი (1739 წ. – დოკ. VII).

**ყულარაღასი** < (k'ullar aşası) 'მონების უფროსი, მონათუხუცესი' (საქ. სიძე, 11, 170) ამ სიტყვაფორმაში კუთენილებითი აფიქსისეული ბოლოკიდური ხმოვანი ქართულის სახელობითის ბრუნვის *ღ* ნიშანთანაა გაათანაბრებული და მოკეცილია. ეს სახელი ხუთი მორფემისაგან შედგება: 1) *kul* 'მონა', 2) *-lar* -ებ-, 3) *aşa* 'ბატონი', 4) *-si* (<sin) 'მათი' დაა) *-ə* – ფონეტიკურად ცარიელი მორფემა განუსაზღვრელობითი ბრუნვის ნიშანია.

**ყულოდღი** < (k'ul oylu) 'ყმის ეაჟი' (Hd – 812).

<sup>33</sup> ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 24.

<sup>34</sup> ც. აბულაძე, თურქული ლექსიკური მასალა ს.-ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონში, ფილ. მეც. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1964, გვ. 31.

II იზაფეტის სტრუქტურის მქონე მრავალი თხზული ანთროპონიმის კომპონენტებია არაბულ-სპარსული სიტყვები.

**შაჰუსული** < სპ.-თ. (šah k'usu) 'შაჰის მონა'.

**ეშიკაალასი** < (ešik ayašy) ('მანდატურთუხუცესი') ნ. ბერძ. I, 51).

**ხურდაყული** < სპ.-თ. (Huda k'usu) 'ლეთის მონა' (1450–20–28), შდრ. პატრონიმი ხურდაყულაშვილი (დოკ. 11).

**გულბუდახი** < სპ.-თ. (gūl budaxi 'ვარდის ტოტი'. გულბუდახ ჩხეტიძის ქალი (ო. სოს. I, 195). გულბუდახ ორაეჟანდას მეუღლე (ეორდ., III, 696). იხ. აგრეთვე ამილახორთა გვიანდელ მოსახსენებლებში: „ასულისა მისისა გულბუდახისა და თანამეცხედრისა მისისა ედიშერისა მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისნი აწ.“ (ქ. შარ., 161,36).

### ბეგ-ის შემცველი კომპონენტები

ბეგ-ისგან მომდინარეობს სახელები: ბეგა (პალ., I) , ბეგი (ქსს, 86), ბეგია (ქსს, 86), ბეგოია (ქსს,86), ბეგუა (პალ., I). ამ სახელთაგან გვარებია წარმოქმნილი: ბეგაია, ბეგაშვილი, ბეგაძე, ბეგიაშვილი, ბეგიშვილი (თბსც), ბეგოაშვილი (ახუაშვილი, 691), ბეგოიძე (ქსს,86), ბეგოძე (თბსც), ბეგუაშვილი (ახუაშვილი, 691).

თურქული სოციალური ტერმინი **ბეგ** ქართველთა ანთროპონიმიკონში 150-მდე რთული სახელის პირველი ან მეორე კომპონენტია (ნ.გ.მ.ჯ., 29-32). მიმართვისას ხშირი გამოყენების შედეგად იგი მრავალ პირის სახელს შეერწყა. წყაროებში მოქმედი ფონეტიკური კანონების მიხედვით თუ ქართველური ენების (მაგ. სევანურის) ფონოლოგიურ-ფონეტიკურ სისტემასთან მორგების შედეგად ეს სიტყვა 10 ალომორფის სახით გეხვედება: (ათა)ბაგი, ბა(სლოლუ), ბა(აბ), (ელ)ბა(ჩისძე), ბ(სლანი), (ელ)ბეგი, (ქელეშ)ბეი, (ხუთლუ)ბე(აშვილი), ბე(ჩმირზა) და ბ(თემირ). ბეგ-ის ეს უკანასკნელი ალომორმა ჩრდილოეთ კავკასიის თურქული ენებიდან უნდა იყოს შეთვისებული. ეს სიტყვა 15 თხზულ ანთროპონიმში პირველი კომპონენტია (მათგან რვა თურქულია):

ბაისაღურ < /bay saɣyr / ბატონი ყრუ (ქსს, 118).

ბაისოღულა < /baj soɣul/ ' ბატონი შევარდენი' (საქ. სიძე, II, 378).

ბაისოღულ ბაითარისძე (გვედ, 441); შდრ. პატრონიმები გელა ბაისოღულისძე (გვედ, 278), ბაისოღულიშვილი.

ბესლანი < /bej aslan/ 'ბატონი ღომი' (ქსს, 88). შდრ. ტოპონიმი ბესლანი. ეს სახელი, ისევე როგორც ამავე კომპონენტის შემცველი, თუმცა ფონეტიკურად განსხვავებული, ბაისლანი, სენათშია დადასტურებული რაც მოწმობს მათ შეთვისებას ყუმუხურიდან ან ყარაჩაულ-ბალყარულიდან; გვაქვს ბისლანიც (სტატ. ცნ., XVIII ს., 433).

ბექუზა < /bek yüz/ 'ბატონი სახე, ბეგის სახიანი' (ქსს, 88).

ბითემირ /bey temir/ ბატონი რკინა (ქსს, 89).

ექვს სახელში მეორე კომპონენტად არაბული ან სპარსული სიტყვების: ბაისულ < თ.-არ. /bay sulh/, (დოკ. I, 5/), ბეგალა < თ.-არ. /beg al/ (დოკ., I, 60 გვარშიც ბეგალაშვილი (თბსც)); ბეგიჯან < თ.-სპ. (begi çan) მისი ბატონის სული. ბეგნაზარი < თ.-არ. (beg nazar) 'ბატონი მინისტრი' (გვედ. 142). ბეგსოღთან < თ.-არ. (beg sulfan) 'ბატონი სულთანი' (ქსს. 86). ბეჩირზა < (bek mirza) 'ბატონი უფლისწული' (ქსს, 89). იდენტური კომპოზიტია ბიშირზა.

ასოცდაათამდე თხზულ სახელში მეორე კომპონენტი ბეგი. ამათგან ოცდახუთში პირველი კომპონენტიც თურქულია: ასლანბი ასლანბეგის დეზინტეგრირებული ფორმაა. შდრ: ბათაღბი, ბეჭირბი, სარბი და სხვ. (aslan bey) 'ლომი ბატონი/ ორივე სახელი (ასლანბეგი და ასლანბი) სენათშია დადასტურებული (ქსს, 76). შდრ. ძველ საბუთებში: ასლანბეგანთ ასლანი (1448, 226, I, 1786წ.). აღაბეგი < თ. (Ağa beg) 'უფროსი ბატონი' (თბ., 13.02. 1980) (უფროსისადმი პატივისცემით მიმართვის ფორმაცაა). დარაბეგი (გვარში დარაბეგიშვილი) < (dere begi) 'ხეის უფროსი' (მაის, 54). დულბეგი < (dul beg) 'ქერი ბატონი' (გვედ, 348). ელბეგი (გვარში ელბეგისძე) < (el begi) 'ხალხის ბატონი' (ქორდ. III, 696): გულამშარ ელბეგიძე, შელეაყის მეუღლე. ამავე შინაარსისაა ფუძე პატრონიმისა ელბაქიძე და ტოპონიმისა ელბაქიანთ

კარი. (ჟორდ. II, 386). დადასტურდა ელზაგიც. ელნიბეგა (გეარ'ში ელნიბეგაშვილი) < (elci beg) 'ელნი ბატონი' (მაის., 60). თემურბეგ < (temur beg) 'რკინა ბატონი' 19ქსს. 130). ყერბეგა (გეარ'ში იერიბეგაშვილი) < (yer begi) 'ადგილის ბატონი' (ი.ა., 362). კულბეგ (გეარის ფუძეშიც არის: კულბეგაშვილი) < (kulus beg) 'მისი ყმა ბატონი' (1448, 296, I, 1724წ.). ყაფლანბეგ < (k'aplan beg) 'ეფესხე ბატონი' (1450-1513). ყულუნბეგ < (kylyč beg) 'ხმალი ბატონი' (ქსს, 217).

აქ ჩამოვთვლით იმ თხზულ ანთროპონიმებსა თუ პატრონიმთა ფუძეებს, რომელთა პირველი ან მეორე კომპონენტი ბეგი ან მისი ფონეტიკური ვარიანტია, ხოლო სახელთა პირველი, შესაბამისად მეორე წვერი ან არაბულია, ან სპარსული, ან დაუდგენელი წარმომავლობისაა. ამ სახელების არათურქულ ნაწილებს არ ვაანალიზებთ: აღბეგა (ქსს, 71), აღბეგ (6. ბერძ., I, 33), აშაბეგ (პალ. III, 124), აშაზბეგ, ამირბეგ (პალ., III, 6), ამუთბე (ქსს, 72), ასამბეგ (ქსს, 76), ასანბეგი (შეილი (დოკ, V), ბათალბი (ქსს, 80), ბეგალი (შეილი) (თბსც, 83), ბეგიჯანა(შეილი) (თბსც, 84), ბეკირბი (ქსს, 88), გულბეგა(შეილი) (1448-5032), გურგენბეგ (პალ, I, 747), დანბეგა(შეილი) (მაის.54), დინბეგა (ქსს, 113), ვინალბეგ (Hd-5208), ზანბეგ (ქსს, 124), ზარბეგ (საქსიძე, I, 10), ზარიბეგ (ქსს, 124), ზაურბეგ (ყარაჩაული ხალხური ბალადის გმირის სახელია), ზაქუმბეგ (პალ, I, 88), ზორაბეგ (ქსს, 126), თაბეგ (ქსს, 127), თალიბე (ქსს, 128), თიარბი (ქსს, 131), თინიბეგ (ქსს, 131), იმამბეგ, იმანბეგ, მარათბი (ქსს, 155), მასარბი (ქსს, 163), მირათბი (ქსს, 163), მირზაბეგ (ქსს, 188), მურთუსალიბეგ (პალ, III, 223), მურაღბეგი (გვლდ, 27), ნარიბეგა(შეილი) (პალ, III, 270), ხალაურბეგი (1448-226.I), ხაიბეგ (6. ბერძ., I, 151), ხაინბეგა(შეილი) (1449-1627), ხალამბეგ (ქსს, 184), ხალბეგი (ქსს, 184), ხალიბე (ქსს, 184), ხალითბე (ქსს, 184), ხამადბეგა(შეილი) (თბსც. 582), ხარბეგ (გვლდ, 27), ხარბი (ქსს, 185), ხეფიყულიბეგი (პალ, III, 223), უსეინბეგი(შეილი) (Hd-81), უსუბეგი(შეილი) (Hd-1707), უსუნბეგა(შეილი) (Scd-28), უმამბეგა(შეილი) (მაის.160), ქამარბეგ (1450-15/132), ქეისბეგი (ქსს, 206), ქელესბი (ქსს, 206), ყაზბეგი (1450-15/132), ყალაბეგა(შეილი) (1450-5/42), ყამბეგა(შეილი) (თბსც, 693), ყაურბეგ (ქსს, 215), ყაფარბეგ (დოკ. I, 52), ყიასაბეგ (პალ, III, 221),



ყულუმბეგა(შეილი) (თბსც. 699) შახიბეგ(ისაშეილი), სულუმბეგა(შეილი) (თბსც. 747), ხიდირბეგა(შეილი) (თბსც. 811), ხოჯაბეგ(ასშეილი), ჯამბეგა(შეილი) (ნ. ბერძ., I, 52), ჯანბეგი (ქსს, 248), ჯანიბეგ (ქრონიკ., 17, 383), ქაჯიბეგი (ქსს, 254).

### ყულ-ის შემცველი კომპოზიტები

ქართულ სინამდვილეში დაგვიდასტურდა -ყულ-ის შემცველი ოცდაათამდე თხზული ერთეული. ამათგან პირველ კომპონენტად ყული მხოლოდ ოთხშია: ყულიბეგ < (k'ul'i beg) 'მისი მონა ბატონი'; ყულილლი < (kul oylu) 'მონის ვაეიშეილი'; ყულარალასი < (k'ullar aylasy) 'მონათუხუცესი' (საქ. სიძე, II, 170), თ.-სპ. ყულიჯან < (k'ul'i ჯი) 'მონა მისი სული(ა)', გეარია ყულიჯანაშეილი, (მაის. 186). მეორე კომპონენტად ამ სიტყვის შემცველ ანთროპონიმთაგან მხოლოდ ორი სახელია თურქულივე პირველი წევრით: თანდრიყუ(ლუ) (გეარში: თანდრიყულაშეილი) < (tandy k'ulu) 'ღვთის მონა' (პალ, I, 289) და დელიყული < (deli k'ulu) 'გიჟის მონა' (ქ. ღიალ. 16) ამ შედგენილობის დანარჩენ სახელთა პირველი კომპონენტი არაბულ-სპარსულია: ალიყული < არ.-თ. (ali k'ulu) 'ალის მონა' (დოკ. VI, 1803), ახაყულა, ბარამყულა < სპ.-თ. (bahram k'ulu) 'ბარამის მონა', ბიქრიყული < არ.-თ. (bikri k'ulu) 'უბიწოების მონა' იარყულა < სპ.-თ. (jar k'ulu) 'სატრფოს მონა', იმანყულა < არ.-თ. (iman k'ulu) 'სარწმუნოების მონა' (1451.230.5), მურსაყულა, სეფიყულა (პალ, I, 105), სულთანყული < არ.-თ. (sultan k'ulu) 'სულთნის მონა' (საქ. სიძე, II, 470), ფირყულა < სპ.-თ. (fir k'ulu) 'მოხუცის, ბერის მონა' (ქსს, 202). *აქ ცოტათი გადაუხეხვეთ ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს – საყუთრივე თურქულ სახელებს. ჩვენ არ ვიხილავთ ანთროპონიმ ფიროსმანს არათურქულობის გამო (ფიროსმანი – სპ.-არ. (fir osman) 'მოხუცი ოსმანი'). არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ეს სახელი ფარსმანიდან მომდინარედ ითვლება, რაც არ უნდა იყოს მართებული. ფიროსმანი ისეთივე თხზული სახელია, როგორცაა ფირბუდახი < სპ.-თ. (fir budak) 'მოძღვარი', ფირველი < სპ.-არ. (fir veli) 'მოხუცი ვალი (ვილაიეთის მმართველი)', ფირნაზარი < სპ.-*

არ. *pir nozar*) 'შოხუცი ზედამხედველი (მინისტრი)'; ფირმაშვილი < სპ.-არ. *pir nomed*) 'შოხუცი მამული' და სხვ. ამგვარად. ფირი არაერთგზის იხმარება რთულ სახელთა პირველ კომპონენტად და, ჩვენი აზრით, ფიროსმანიც ამ სახელთა რიგში დგას. შაყულა < სპ.-თ. (*šah k'usu*) "შაჰის მონა" (ლოკ, I, 94) შდრ. გვარი შაყულაშვილი, ხურდაყული (გვარში: ხურდაყულაშვილი) < სპ.-თ. (*xuda k'usu*) 'ღუთის მონა' (ნ.გ., 168), ჯანყული < სპ.-თ. (*ჯანი k'უსუ*) 'სულის მონა' (გვდღ, 279), შდრ. გვარი ჯანყულაშვილი. ქოშყულა < სპ.-თ. (*ხოჰ k'უსუ*) 'ქარგი მონა' (ქსს, 318) ქალის სახელია.

### ხან-ის შემცველი კომპოზიტები

ნასესხებ ანთროპონიმებში მრავლად გვხვდება ხან-ის შემცველი კომპოზიტები. მხოლოდ სენათში -ხან-ის შემცველი ორკომპონენტიანი ქალის ასი(!) სახელი არის დადასტურებული (გურგენიძე - ჯიქია, 35-38,79). ერთი ნიუანსია ხაზგასასმელი: ხანი თხზული ანთროპონიმის მუდმივად მეორე კომპონენტი. ამათგან მხოლოდ ათიოდე ანთროპონიმის პირველი წევრია თურქულივე სიტყვა: ადიშხან < (*adyu xan*) 'სახელი ჩემი ხანი(ა)' (ქსს, 225), ზაბახან < (*zaba xan*) 'შამა ხანი' (ქსს, 120), ბურდუხანი < (*burduk xan*) 'თხის ან ხარის გადამბრუნებული ტყავი, ხანი' (ღლ., I, 173), შდრ. რუსული პატრონიმები *Бурдукос, Бурдюкос*. დურმიშხან < (*durmuş xan*) 'გადარჩენილი ხანი' (ლოკ. I, 126), შდრ.: პატრონიმი დურმიშხანისშვილი, რომელიც XVIII საუკუნის (1736წ.) საარქივო დოკუმენტში შეგვხვდა. თათარხან < (*tatar xan*) 'თათარხანი' და არა 'თათარი ხანი', რადგან თათარ ძველი თურქული ანთროპონიმია, (ღლ., I, 62)<sup>35</sup> თათარყანი ყარაჩაული ხალხური ეპოსის პერსონაჟია. თათლახან < (*taily xan*) 'ტკბილი, გემრიელი ხანი' (ქსს, 274) ქალის სახელია. თემირყან < (*temir xan*) 'რკინა ხანი' (ქსს, 130), ფგითხან (გვარში: იგითხანიშვილი) < (*ijit xan*) 'ეაქყაცი ხანი' (მაის., 78) თურქთა ბატონობის დროს შერქმეული გვარსახელია. იგითხანიშვილები

1. Къарачай халк джырла. М., 1969. გვ. 68.

ნუტკერაშვილები იყვნენ. კარახან < (kara xan) 'დიდი ხანი' (ქსს, 278) ქალის სახელია. აქვეა განსახილველი ყარახანა (ყარახანა იეგანაშვილი, 1687წ., 1450-47/27) და გვარსახელი ყარახანაშვილი (1450-18/55). სალიმხან < (salim xan) 'სამხედრო ხანი' (საქ. სიძე, I, 71) და სხვ. ამ უძველესი თურქული სოციალური ტერმინის შემცველ ყველა სხვა დანარჩენ სახელში პირველი კომპონენტი თურქული არ არის: ალიხან < არ.-თ. (alı xan) 'შღრ. გვარი ალიხანიშვილი, ამირხან < არ.-თ. (amir xan) 'მბრძანებელი ხანი' გვარში: ამირხანაშვილი, დაველეთხან < არ.-თ. (devlet xan) 'ქეყანა ხანი' (დღ., I, 176), კადრიხან < არ.-თ. (kadyr xan) 'ღირსება ხანი' (დღ., I, 145), ქალის სახელია. მამაკაცის სახელებია: ბაბიყან (ქსს, 79), გორხან (ქსს, 105), გუჯმახან (ქსს, 109), დარისხან (ქსს, 111), სალიმხან (ქსს, 184), როსტოხან (ქსს, 182). ქალის რამდენიმე თურქულკომპონენტის სახელები უკვე ვახსენეთ. დანარჩენებია: აბაშხან (ქსს, 255, უშგული), ბახლახან (ქსს, 260), ბედხან (ქსს, 260), გოშაყან (ქსს, 263, მესტია), დამხან (ქსს, 265, მესტია), დარუხან (ქსს, 266), დარხანი (ქსს, 266), დიგორხან (ქსს, 267, მესტია), ღიორხან (ქსს, 267, მესტია), ღიურხან (ქსს, 268, ღახამულა), დედუშხან (ქსს, 268), დუდუხანა (ქსს, 268), დუშხან (ქსს, 268, მესტია), ეზროხან (ქსს, 269), ერქახან (ქსს, 270, მესტია), ეჯახანი (ქსს, 271), ვარახან (ქსს, 271, მულახი), ვარდახან (ქსს, 271), ზალიხან (ქსს, 272), ზელეხან (ქსს, 272), ზენახანი (ქსს, 272), ზილიხანი (საქ. სიძე, II, 287), თერმუხანი (ქსს, 275) იმახანი (ქსს, 277, მესტია), ისმახან (ქსს, 278, ხაიში), კაზეხანი (ქსს, 273), კალამხანი (ქსს, 278) კარამხანი (ქსს, 278), კესომხან (ქსს, 279, მესტია), ლადიმხან (ქსს, 281, მესტია), მელეხან (ქსს, 286, მესტია), მესისხან (ქსს, 286, მესტია), მესურხან (ქსს, 286, მულახი), მიდიხან (ქსს, 287), მისლახან (ქსს, 288, უშგული), მისრახან (ქსს, 288, მულახი), მისრიხან (ქსს, 288, მესტია), მისხან (ქსს, 288, მულახი), ორსახან (ქსს, 291, მესტია), რადიმხან (ქსს, 294, მესტია), რისიმხან (ქსს, 294, მესტია), სადიმხან (ქსს, 295, მესტია), სალდათხან (ქსს, 296, მესტია), სალემხანი (ქსს, 296), სელიმხან (ქსს, 297, მესტია), სელუმხან (ქსს, 297, ფარი), სერეხან (ქსს, 297, მესტია), სიდიხან (ქსს, 297, მესტია), სიმხან (ქსს, 297, მესტია), სირმახან (ქსს, 298, მესტია), სიხახან (ქსს, 298), სოფილხან (ქსს, 298, ბერო), სულემხან (ქსს,

298, მესტია), უსტახანი (ქსს, 300, მუჟაეა), ფერეხან (ქსს, 301, მესტია), ქაბახან (ქსს, 303, ცხუმარი), ქაშახან (ქსს, 304, მესტია), ქერემხან (ქსს, 305, მესტია), ყაზმარხან (ქსს, 306, ცხუმარი), ჩემლეთხანი (ქსს, 308, მულახი), ძალიხან (ქსს, 312), ძილიხან (ქსს, 313), ძინუხან (ქსს, 313), ხაჯიმხან (ქსს, 316), ჯაბურხან (ქსს, 317), ჯაღლხანა (ქსს, 317), ჯამარხან (ქსს, 317, მულახი), ჯამირხან (ქსს, 317, ფარი), ჯამლეთხან (ქსს, 317, მესტია), ჯარამხან (ქსს, 317), ჯარიმხანი (ქსს, 317), ჯარუმხანი (ქსს, 317, ხაიში), პამლეხან (ქსს, 318, ბეჩო).

### *მსაზღვრელ-საზღვრული*

კომპოზიტა მესამე ქვეტიპის სიტყვაფორმები ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენენ. უპირატესია ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი. სტარბოხს საზღვრულის დახასიათება ფერის მიხედვით.

ალადაღ < (ala day) 'ჭრელი მთა'. (ისტორ. საბუთ., 45; მ. ჯ., 216). დადასტურდა პატრონიმი ალადაღიშვილი (1450–28/156).

ალათემურ < (ala temir) 'ჭრელი რკინა' (მ. ჯ., 216).

აღბულა < მონღ. (ay buya) 'თეთრი ხარი' (1448–63; ქსს, 77).

აღმაუშა (გვარში: აღმაუნასშვილი) < (ay çavuş) 'თეთრი ჩაუში' (1450–59/92).

გოზალბეგა < (güzel beg) 'ლამაზი ბატონი' (1547 წ.). შდრ. პატრონიმი გოზალბეგასშვილი (1609 წ. II, 14; 1448–1891), გოზალბეგაშვილი ალექსა (1450– 53/100).

დოლუბეგ < (dolu beg) 'საესე (მდიდარი, უხვი) ბატონი' (გვდდ, 204).

სარუყაფლანი < (sary kaplan) 'ყეითელი ვეფხვი' (Hd -2358).

ულუბეგა < მონღ. თ. (ulu beg) 'დიდი ბატონი' (დოკ., I, 4), შდრ. გვარი ულუბეგაშვილი.

ულუხანი < მონღ. თ. (ulu xan) 'დიდი ხანი' (მ. ჯ., 218).

ყარაბაშ < თ. (karabaş) 'შაეი თავი ('შაეთაეა)' (გვდდ, II, 261).

ყარაბეგ < (kara beg) 'დიდი ბატონი' (გვდდ, 433).

ყარაბუდახი < (qara budax) 'ძლიერი ტოტი, შთამომავლობა' (დოკ. I, 36; ღლ. I.138). კომპოზიტის ორივე კომპონენტი თურქულია. „დოლმაზა

პაპუნამ ყარაბუდახს წერილი მოსწერა“ (1633–1658 წწ., Hd –4771). შდრ. პატრონიმი ყარაბუდახიშვილი (1448. 226. 1, 1763 წ.) .

**ყარაგოზი** < (kara göz) “შაეი თეალი” (გედდ, 117). მღვდელი მუხთარის ძე (გედდ, 277). შდრ. აქედან ნაწარმოები პატრონიმები: ყარაგეესაშვილი (თბ., 20.06.1978); გრიგოლ ყარანგოზაშვილი (1448. 226. 11). ვაქეს აგრეთვე ყარაგოზისშვილიც (ასნაური) (გეორგ. ტრაქტ., გვ. 59).

**ყარადალა** < (kara day) “შაეი მთა”, ყარადალა (1450–17/74). „მოწმე ყორღანაშვილის მიერ ფარემუს ბეჟანისშვილისათვის მიცემული ადგილის ნასყიდობის წიგნისა“ (1612 წ.).

**ყარაიგით** < (kara çyuy) “შამაცი ჯიგითი”, ‘ყოჩალი’. ყარაიგით, ძმა მისი (გედდ, 102) ყარაიგთ (საქ. სიძე. 11, 24); ყარაიგით...სძე (გედდ, 365); უსქუნდოდ ყარაიგითისძე (გედდ, 368); ყარაიგით, ძე მისი (გედდ, 418); სახელად ყარაიგით (გედდ, 366); შალიკა ყარაიგითისძე (გედდ, 161); ვარძელ ყარაიგითისძე (გედდ, 45); ყარაიგით ბაინდურისძე (გედდ, 152); ყარაიგით მახარებლისძე (გედდ, 336).

**ყარაოღლან** < (kara oylan) “შაეი ბიჭი” ( A–13076, 1684 წ.). საგეაროენო შტოს აღსანიშნავად ქართულში გამოიყენება სუფიქსი –იან→აან–, რომელსაც ნართანიანი მრავლობითის –თ-ც ერთვის. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელი გეარსახელია ამ აფიქსის – ან – სემენტადაა გაგებული ყარაოღლან სიტყვის აუსლაუტისეული –ან–, რომელსაც მრ. რიცხვის ფორმანტი ერთვის: ყარაოღლანთ ბეჟანა, გიორგა.

**ყიზარსლან** < (kyzyl arslan) ‘წითელი ღომი’ (პირთა სახ. საძ., 1146).

**ყიზელბაქი** < (kyzylbeg) ‘წითელი ბატონი’ (ქსს, 216).

**ყირყიზულა** (გეარში: ყირყიზულაისშვილი (ხუჭულია) < (k'yrk k'yzy) ‘ორმოცი წითელი’ (Hd –2270, 1570). ამ კომპოზიტის მეორე კომპონენტი გაარსებითებული ზედსართავია (აღნიშნავს ფულს).

რთულ სახელებში კეიორატულად შეიძლება ჩაითვალოს deli-ს (‘გეჟი’) შემცველი კომპოზიტები:

დელბაში (გეარში დელბაშიშვილი) < (deli baş) 'გიეთაეა' (თბ. 7.06.1980).

დელიყული < (deli kulu) 'გიეი მონა' (ქ. დიალ. 716). აქ II იზაფეტიცაა მოსალოდნელი და მაშინ თარგმანი შეიცვლება: (deli kulu) 'გიეის მონა'.

რამდენიმე თხზულ ანთროპონიმში საზღვრული არ არის თურქული:

თექთუმან < თ.-მონღ. (tek tuman) 'ერთი ათიათასი'; ან 'ერთი სამართავი რაიონი'; ან 'ერთი თუმანი' (=ირანული ფულის ერთეული), (1448, 226. 11); თექთუმან ფიცხელაური (1786 წ.); ძველ სიგელ-გუჯრებში – თევთუმანიძე (1654 წ., დოკ.V. 1732 წ., დოკ.IV), თევთუმანიძე ალიბეგ და გონა (1633 წ., 1445, 111). აქედანაა აგრეთვე გეარსახელი თექთუმანაშვილი (ლამისყანა, თბ., 22.I.1980), თექთუმანიძე (კომ. I.III.1980) და სხვ. სახელი თუმანი საუკუნეთა მიღმა უაღრესად გაერცვლებული სახელი იყო მონღოლ ხალხებში.

თექთურმან (გეარში: თექთურმანიძე) < თ.- სპ. (tek turman, türmen) თექთურმანიძე (1695წ., Qd 1670); თექთურმანიძე (1449–1191) და სხვ. ამ პატრონის საფუძველად დასდებია თურქულ-სპარსული მსაზღვრელ-საზღვრული, რომელიც ასეც შეიძლება ითარგმნოს: ერთადერთი მეწამლე. ეს გეაფიქრებინა თურმანიძეთა, ცნობილ მეწამლეთა გეარმა. კომპოზიტის II კომპონენტი < სპ. (დურმან) 'წამალი', 'საშუალება', 'გადარჩენა'. ძნელი არ უნდა იყოს თურმანიძეთა გეარის დაკავშირება წამალთან. ამ ვარაუდს მაინცდამაინც არ ეხმიანება სპარსულიდან შემოსული მკლერ-ანლაუტიანი სიტყვები, რომლებიც ინარჩუნებენ მკლერს სიტყვის თავში (სიტყვა რუსულშიცაა შესული – мураш) და ნ.კ. დმბტირეის ეჭვი არ ეპარებოდა მის თურქულიდან მომდინარეობაში.

ულუშეის < თ.-არ. (ulu şeix) 'დიდი შეიხი' (დერეიშების სამეყოფელი, თქქეს მამამთავარი).

ყარამურზა < გეაქეს პატრონიმი ყარამურზა ძლიერი უფლისწული < (CKTT, 316) < თ.-სპ. (kara myrza), რომლის რამდენიმე რედუცირებული

ფორმა დაგვიდასტურდა: ყამარსა (ისტ. დოკ. I, 59; ქსს,214),  
ყამურსა (ქსს, 214).

### ბ) ევრბალური კონტექსტის სინტაგმები

ზმნური ფორმების შემცველ სინტაგმებში შემასმენელთან შეწყობილი სახელების მიხედვით გამოიყო შემდეგი ქვეტიპები: ქვემდებარე + შემასმენელი, პირდაპირი დამატება + შემასმენელი, გარემოება + შემასმენელი. ადამიანის სახელად გვხვდება მხოლოდ შედგენილი შემასმენელი, მოდალური სიტყვები შემასმენლობითი აფიქსებით და სხვ.

წინადადებები ანთროპონიმებად არცთუ უცხოა ენათათვის. შდრ.: ქართული მსვეინარი, ღვთისაყარი, რუსული Богдан, Владимир, გერმანული Bleibimhaus 'დარჩი სახლში', Borgenicht 'ნუ დამალავ' და სხვ. თურქულენოვან ხალხთა სინამდვილეშიც ამგვარი სახელდება მრავალჯის დადასტურდა მეტნაკლებად მოტივირებული წინადადებებით, რომელთა ნაწილი ქართულ ანთროპონიმებშიც აღმოჩნდა.

### პოსესიური სტრუქტურები

პოსესიური სიტყვაშეერთების განსაკუთრებული სახეობაა აღიდემურის /ady demür/ სტრუქტურის ანთროპონიმები. ესაა ენობრივ ერთეულთა თურქულ ენათათვის დამახასიათებელი მორფოსინტაქსურ წარმონაქმნი, რომელიც ფაქტიურად სიტყვაფორმათა სპეციფიკური რიგის მქონე წინადადებაა. ამ კონსტრუქტის მოდელი ასეთია:

(არსებითი სახელი + III პირის მხ. რიცხვის კუთვნილებითი აფიქსი) = ქვემდებარე + შედგენილი შემასმენელი) = არსებითი სახელი + კოპულა, რომელიც ფონეტიკურად ცარიელი მორფემით გადმოიცემა).

მორფემათა მიმდევრობის პოსესიური ტიპისა სულ თორმეტიოდე სახელია, მათგან ოდენ თურქული ლექსემების შემცველია შვიდი ანთროპონიმი:

ადიბეგა < ad სახელი + -მისი ხეჯ -'ბატონი', - Ø არის (საქ. სიძე, II, 257),  
ადიდემურ < /ady demur/ 'მისი სახელია რკინა', ადიმხან < ჩემი  
სახელი ხანია (ქსს, 255).

ელიხან < /el-i xan/ 'ხალხი მისი ხანია' (1450-53/100).

ელიგუნ < /el-i gūn/ 'ხალხი მისი მზეა' (ქართლ. ცხ., II, 229).

ელიჯარ < /el-i čer/ 'ხალხი მისი ჯარია' (საეკლ. საბ., I, 41).

ყულიბეგ < /qul-u beg/ 'მონა მისი ბატონია'.

ამ ტიპის დანარჩენ ანთროპონიმებში თითო კომპონენტი ან  
სპარსულია, ან - არაბული:

ბეგიჯანა (გვარში: ბეგიჯანაშვილი) < თ.-სპ. /begi čan/ 'ბატონი მისი სულია';

ეგეე ლექსებშია ადგილშეცვლილი სახელში ჯანიბეგა.

დინიბეგა < /dini beg/ არ.-თ. 'რწმენა მისი ბატონია' (ქსს, 113).

ელიშახუ < თ.-სპ. < /el-i šah/ 'ხალხი მისი შაჰია' (საეკლ. საბ., I, 105).

ყულიჯან < თ.-სპ. < /quly čan/ 'მონა მისი სულია' (6. ბერძ. I, 37).

ჯანიბეგა (გვარში: ჯანიბეგაშვილი) < სპ.-თ. /čany beg/ 'სული მისი ბატონია'  
(მაის., 241).

*ქვემოთხსენებულ შემთხვევებში სახელები:*

აიდოლმიშ < /aj dolmuš/ 'მთვარე გაესებულა' (პირთა სახ. საძ., 8-42, 36-31).

აიდოლმიშ < /aj dıymuš/ 'მთვარე შობილა' (1450-10/12). ეს სახელიც გვარის  
წარმოქმნელია: აიდოლმიშასშვილი (Sd-795).

აღავერდა < /aya berdi/ 'უფროსმა (ბატონმა) მომცა'.

ბეგვერდა < /beg verdi/ 'ბატონმა მომცა'. ძველ საბუთებში გვაქვს გვარსახელი  
ბეგვერდისშვილი (1448.226, III). ბეგვერდისშვილი (1448.226).

ელალდი < /el aldi/ 'ხალხმა წაიყვანა' (გვდდ, II, 181). მგმ

ელალმაზ < /el almaz/ 'ხალხი არ წაიყვანს' (გვდდ, 135, 294, 362).

ელბერდი < /el berdi/ 'ხალხმა მოგვცა' (მომცა, მისცა). თბილისში  
დადასტურდა ელვერდი და ელვარდი (თბ., 22.10.1982; ქსს, 76). /ნ/  
თანხმოვნის დაკარგვით უნდა იყოს მიღებული ელვერდა (ქსს, 76).  
მისგან ნაწარმოები პატრონიმია ელვერდაშვილი.



ელდერა (გვარში: ელდერაშეილი) < /el der/ 'ხალხი ამბობს' (მაის. 60).

თარივერდი < /tanry verdil/ 'ღმერთმა მოგვცა' (1448.226.1). როგორც ეხედავთ, ამ შემთხვევაში სეგმენტიდან /tanry/ ამოვარდნილია ინლაუტის /v/.

ხანვერდი < /xan verdil/ 'ხანმა მომცა' (ქ. დიალ., 720).

ორფუძიან ანთროპონიმთა ურავლესობა არაბულ-სპარსული კომპოზიტებია.

ალავერდი < არ.-თ. /allah verdil/ 'ღმერთმა მოგვცა' (1448.226.1). ანთროპონიმი ალავერდა იხსენიება ჯერ კიდევ 1799 წლის ძველი საბუთების დედნების კოლექციაში (დოკ. VI). ეგვეე ანთროპონიმი, უკვე პატრონიმად ქცეული, დადასტურებულია 1799, 1756, 1758, 1743 წლებში (დოკ. V, VI). 1793 წელს მოხსენიებულია პატრონიმი ალავერდასშეილი.<sup>36</sup> ცნობილია შემდგომდროინდელი ტენდენცია უსანო ვარიანტების გაბატონებისაკენ და დღეს გვაქვს პატრონიმი ალავერდასშეილი (თბ., 19.07.1980). შდრ. ანალოგიური შინაარსის რუსული პატრონიმი Богданов 'ღმერთის მოცემული', ტოპ. Богдановска და სხვ.<sup>37</sup> ეს შესიტყვება სრული სახით დადასტურდება ანთროპონიმში ალავერდია (გვდღ, 281, 340, 367, ქ. დიალ., 715). შდრ. რუს. გვარები Алахвердов, Алахвердисв, Алавердов (Баск., 250).

ახვერდა < არ.-თ. /hak verdil/ 'სიმართლე მომცა' ან 'სამართალმა მომცა' (Hd-9660). ეს წინადადება გვარის ფუძეცაა: ფილიეე ეგნატეს ძე ახვერდიანი, დროებით მცხოვრები აზნაური სოფ. ზემო ხოდაშენში, 1913 წ. ამ გვარის სანიანი ვარიანტიც მოიძებნება: ახვერდასშეილი (Hd-1698, 1699). ეგვეე პატრონიმი დღესაცაა: ახვერდასშეილი (კომ., 21.1980). ნ. ბასკაკოვი აღნიშნავს, რომ რუსულში დადასტურებული გვარი Ахвердов, რომელიც თარიღდება 1852 წლით, წარმოდგება საუთარი სახელიდან Ахверди ← /Allax verdil/.<sup>38</sup>

ვიზიარებთ რა აკად. ს. ჯიქიას აზრს მოცემული ანთროპონიმის წარმოშობის შესახებ, ვთვლით, რომ კომპოზიტის პირველ

<sup>36</sup> ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., გვ. 19.

<sup>37</sup> Н.А. Баскаков, Русские фамилии тюркского происхождения, გვ.250.

<sup>38</sup> იქვე.

კომპონენტს წარმოადგენს არა არაბული /allah/, რომლის შემთხვევაში ქნელად თუ აიხსნება /-lla/ ბგერათკომპლექსის ამოვარდნა, არამედ არაბული სიტყვა /hak/ 'ჭეშმარიტება', 'სიმართლე', რომლის თავკიდური /h/-ს დაკარგვა ქართულშია მომხდარი.<sup>39</sup> ეს სახელი ისევე, როგორც ანალოგიური შინაარსის სხვა ანთროპონიმები, ერთგეარად ხარიზმატულია.

იმამვერდი < არ.-თ. /imam verdi/ 'იმამა მოგეცა' (1448.226.1).

იმანვერდი < არ.-თ. /iman verdi/ 'სარწმუნოებამ (რწმენამ) მომცა' (6. ბერძ., 1, 373).

შავერდა < სპ.-თ. /šah verdi/ 'შაჰა მოგეცა': არდაშელაშვილი შავერდა (1638 წ., 1448, 1–2415), შავერდა (საქ. სიძე. II, 409), შავერდი (საქ. სიძე. III, 2), მიკელეულია აქედან ნაწარმოები პატრონიმების სანიანი ფორმაც: შავერდასშვილი თადეოზ (1799 წ., 1448, 226), შავერდაშვილი (1823 წ., 1448.226.111). ეს პატრონიმი ამჟამადაც გვაქვს: შავერდაშვილი (თბ., 24.04.1980). ეგევე სიტყვებია პატრონიმში შავერზაშვილი, მაგრამ /d/ → /z/ არარეალურია და ვერდი-ს ოსმალური დაწერილობისას აღრეულია არაბული ანბანის ორი ასო, ა (დადი) და ა (ზადი), რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ წერტილით განსხვავდებიან: ა /d/ და ა /z/, ე.ი. ا د ا ز-ის (>შავერდა) ნაცელად დამახსოვრებული თუ ამოკითხული შავერზა < ا د ا ز არასწორი ჩაწერის ან უყურადღებო წაკითხვის შედეგია: ნაცელად /d/-ისა ამოკითხულია /z/.

ხუდავერდი < სპ.-თ. /xuda verdi/ 'დემერთმა მომცა'. ხუდავერდი შაჰაზისის ძე (გელდ, 477). გვარიცაა ხუდავერდასშვილი (1448.226.1).

ჯინვერდი < არ.-თ. /žin verdi/ 'ავმა სულმა (ჯინმა) მომცა' (დლ., 1,162); დასტურდება ჯინეარდიც (დლ., 1,214).

*იორდაიორი დამატება-შემოსმენელია* სახელებში:

იუზვერდი < /jüz verdi/ 'სახე მომცა, ან ასი მომცა' (გელდ, 495).

<sup>39</sup> ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, 1.- გვ. 12.

ტაშვერდა < /taʃ verdi/ 'ქვა მოგეცა' (ჩოცხათი). თურქულში აბრუპტივები არ არის, ამდენად ანლაუტის (i) ქართულში გამკვეთრდა. დამატება ხან არაბული ლექსებაა, ხან სპარსული.

აბულვერდი (აბულვარდი) (გვარში: აბულვერდიშვილი) < /abul verdi/ მისგან ნაწარმოები პატრონიმებია: აბულვარდისშვილი იასე (1449,111), აბულვერდისშვილი თომა (1801 წ., 1448. 1–2415). აბულვერდიშვილი: ეგევე პიროვნება 1785 წლის დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც აბულვარდისშვილი (1785 წ., 2448.226), რაც მოწმობს კომპოზიტური პატრონიმის მეორე ნაწილის (ვარდი, ვერდი) < /verdi/ იდენტურობას. შეგვხვდა ზაზა და ზაალ აბულვარდიშვილები (ნ. ბერძ., III,891), აბულვარდისშვილი შედანი (1448, 1–2415) აბულვერდისშვილი (1714 წ. 1448.226.1).

როგორც ეხედავთ, ხსენებული პატრონიმი საკმაოდ ყოფილა გაერცვლებული XVIII საუკუნის საქართველოში. ამჟამად ეს სახელგეგარი აღარ უნდა იყოს.

ჩვენი ვარაუდით, პატრონიმის ფუძე წარმოადგენს შესიტყვეებას, რომლის პირველი წყერი არაბული /kabul/ ('მიღება', 'დათანხმება') სიტყვაა, ხოლო მეორე ნაწილი კი თურქული vermek მიცემა ზმნის ნამყო კატეგორიული დროის III პირის ფორმაა. ეს სავარაუდო საკუთარი სახელი სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: 'თანხმობა მომცა'. მხოლოდ ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ გვარის თავდაპირველი წარმომადგენელი, ეპონიმი, დათანხმდა სარწმუნოების შეცვლას, რაც აისახა პატრონიმში.

გულვერდა (გვარში: გულვერდაშვილი) < სპ.-თ. /gül verdi/ 'ვარდი მომცა' (თბ., 10.III.1967). ერთი შეხედვით ამ სახელში სპარსულიდან მომდინარე /gül/ 'გულის' ნაცვლად შესაძლოა ვიგულისხმოთ ქართული 'გული'. ანთროპონიმი დილავერდასეული (გვდღ, 135) 'დილას' ქართულობაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ის აზრი ვარაუდის დონეზეც კი უნდა უარიყოს. ათასზე მეტ სახელსა თუ პატრონიმის ფუძეში არ დაიძებნა არც ერთი ქართული ლექსება (გრამემა-კი), რაც გვაეალებს მეტად ფრთხილი ვიყოთ ამგვარი დაშვებისას. ამ

პოზიციას ისიც ამტკიცებს, რომ ანთროპონიმი საერთოდ და, მითუმეტეს, ნასესხები შინაარსობრივად არ (ან იშვიათად) გაიზრებოდა. აქედან გამომდინარე, ნასესხებ სახელთან ქართული ლექსემის მისასადაგებლად ძნელად წარმოსადგენია. გამონაკლისად აღიქმება ციხითათრიშვილი (CKTT, 574) და თათარგიორგაშვილი (CKTT, 513).

საზვერდი < სპ.-თ. /saz verdi/ 'საზი მოგეცა' (1448, 1–2415): საზვერდი ჩოლოყა-შვილი.

ჯანვერდი < სპ.-თ. /jan verdi/ 'ხული მიბოძა' (ქსს, 249).

ჯოლბორდი (გეარია) < /jol bolda/ 'გზა იპოვა'.

#### *გარემოება-შემასმენელი*

თექთურმაზ < /tek iurmaz/ 'მარტო (კენტად) არ დადგება (დარჩება)' (მაკალ., ხევს. 168). ამ ძველ თურქულ ნასესხობას ვითარების გარემოება - შემასმენლად წარმოეჩინათ.

გირგელი < /giri geldi/ 'უკან მოვიდა (დაბრუნდა)' (პირთა სახ. საძ., 128). ამ მაგალითში კი ადგილის გარემოება - შემასმენელი უნდა იყოს.

ბირდი < /biridi/ 'ერთი იყო' (ქსს, 90) სახელად ნაწილში რიცხვითი სახელის მომცველი შედგენილი შემასმენელია.

თურქული სიტყვაფორმების შემცველი საკუთარ სახელთა სინტაქსურ-მორფოლოგიური ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას შემდეგი: განხილულ მაგალითებში მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს ფართო გაგებით (ე.ი. სუბიექტისა და პრედიკატის დამოკიდებულებასაც მოიცავს). თურქულ ენათა ეს გამჭოლი მახასიათებელი – პრეპოზიციული წყობა – ანთროპონიმულ სტრუქტურებშიც დასტურდება.

მოძიებულ ანთროპონიმთა უმრავლესობის სემანტიკა თურქული ენის თვალსაზრისით საკმაოდ გამჭვირვალეა და იფარგლება თურქული ძირის მნიშვნელობის დადგენით. ამის საფუძველზე სახელები დაიყო რამდენიმე ჯგუფად. გამოიყო ეთნონთროპონიმები, ტოპონიმები პირის სახელთა ფუნქციით; საკუთარ სახელებად შეგვხვდა თურქული ხელობა-მოსაქმობისა და სოციალური ტერმინები, ხარიზმატული თუ რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებული სახელები, ზოოფორული ანთროპონიმები და სხვ. და სხვ.

მასალის თანამიმდევრული მოწოდების თვალსაზრისით ჯერ წარმოვადგენთ პირის სახელთა ანთროპოცენტრული თემატიკით გათვალისწინებულ (human being-ის ჩათვლით, რა თქმა უნდა) სახელებს. ესაა: სხედასხვა ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სახელები, ხელობა-მოსაქმობის ტერმინები, სოციალური და წოდება-თანამდებობის ტერმინები და ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები. დანარჩენებია: ეთნონთროპონიმები, ტოპონთროპონიმები, ხარიზმატული თუ რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებული სახელები, ზოოფორული ანთროპონიმები და სხვ.

### სხვადასხვა ნიშან-თვისების აღმნიშვნელი

#### სახელები

ადამიანის ამა თუ იმ ნიშან-თვისების მიხედვით სახელდება ანთროპონიმიზაციის ადრეული ეტაპია. ფიზიკური აღნაგობის, თმის ფერის, ადამიანის მოჭარბებული თვისების, კაბიტუალური ნაკლისა თუ ღირსების აღმნიშვნელი არაერთი სიტყვა ქცეულა მეტსახელად და ამ გზით გვარის ფუძეში „ჩაბუდებულა“. თურქულ ანთროპონიმებში ხშირია მახასიათებელი ერთეულები, რომელთაც ენათა უმრავლესობაში დაეძებნება სემანტიკური შესატყვისები. შდრ. თურქული აღაჯა და ქართული ჭრელა (გვარში: ჭრელაშვილი), თურქული უზუნა და ქართული გრძელი (გვარში: გრძელიძე, გრძელიშვილი). თურქული დელი და ქართული გიჟუა, თურქული ყარა და ქართული შავი (გვარში: შავიშვილი), თურქული ყირმიზა და ქართული წითელა (გვარში: წითელაძე) და სხვ. და სხვ.

ალაჯა < (alaja) „მრავალფეროვანი, ჭრელი“ (გედდ, 497). შდრ. ქართული ეტიმო-  
ნები ჭრელი, ჭრელა, ჭრელო, ჭრელუა (ქსს, 239).

ალულა (გვარში: ალულიშვილი) < (alyk) „სულელი, მოსულელი“ (თბ., 09.03.1982;  
26.11.1980).

ბაადურ < (bahatur) „გმირი, გოლიათი“ – ბაადურ ათაბაგი ყვარყვარეს ძე (გედდ,  
286, 289, 297, 299, 320; უორდ., III). მეცნიერთა უმრავლესობის აზრით,  
ბაადური მონღოლური წარმოშობისაა. საკუთარ სახელად იგი გვხვდება  
ოსური ენის უძველეს ძეგლში, ე.წ. „ზედენიუკის წარწერაში“. უფრო  
ადრე ეს სიტყვა გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“ ოსი ბელადის  
აღსანიშნავად. შდრ. აგრეთვე საკ. სახელი Бадур.<sup>1</sup>

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ფორმები Пахатар, Багатар და Batur, Бадур პარალე-  
ლურია. ორს. (Bayatur) (bayatar čigsi) და батур (батыр)-ისა და ორხონ-ენისეის წარწე-  
რებზე ბევრად ადრე იყო ცნობილი. აღანებს მონღოლებთან ურთიერთობა ჯერ  
კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ჰქონდათ.

ე. რადლოვიც თელეუთურ нагъу-ს სპარსულიდან (bahadûr) ნასესხებად  
თვლის. ამდენად, ბაადურის სპარსული (bahadur)-იდან შესაძლო მომდინარეობას  
მხარს უჭერს აგრეთვე ოსურში არსებული ბაყათარ, ხეესურეთში  
დადასტურებული ბალათურა, ბათირა, პატრონიმები ბალათურია (ანდრ., 134, 135),  
ბადურაშვილი და სხვ.

მაგრამ საკმაოდ დამაჯერებელი ფაქტების მოხმობით მსჯელობს ე.  
სევიორთიანი ამ სიტყვის ორ ფორმაზე, багатур-სა და батур-ზე და განიხილავს  
მათ, როგორც საერთო ალთაურ ძირს, რომელიც შეიცავს თურქულსა და  
მონღოლურ ფორმებს (Сев., II, 84). თურქოლოგთა უმრავლესობა (ბ. ბანგი, გ.  
დოერფერი, ე. მენგესი, მ. რესენენი, გ. რამსტედტი) იზიარებს ამ შეხედულებას.  
მათ ნაშრომებში დასაბუთებულადაა გათვალისწინებული ამ ლექსემათა  
შემდგომი ალოფორმული ევოლუცია (Doerf., II, 817).

ბუიღლი (გვარში: ბუიღლიშვილი) (byjykly) „ულეაშიანი“ (თბსც, 118).

გევეზა < (geveze) „ეხედი, ხუმარა“ (ხულო, ქედა). ეს სიტყვა მხოლოდ ორ ენაში  
გვაქვს: თურქულსა და აზერბაიჯანულში (Сев., III, 7).

გენჯელა < (genč) „ახალგაზრდა, ბავშვი“ (ქსს, 65). თურქულის დიალექტებში  
არის ფორმა (genče) (Zenk., II, 763). უზბეკურში кенже საკუთარი

<sup>1</sup> მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134–135.

სახელია. ეს სიტყვა სპარსული წარმომავლობისადაც იყო მიჩნეული (ა. ბოროეკოვი, მ. რესენენი). ამ დროს იგი მონღოლურიდანაა შემოსული. სემასიოლოგიურად (реш) და реше-ს ძირითადი მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა: „ახალგაზრდა“, „ბავშვი“, „ყველაზე პატარა“, „უმცროსი შვილი“. თუმცა მონღოლური მნიშვნელობები აღნიშნავენ საქონელს, თურქული კი – ადამიანს. ეს მდგომარეობა რამდენადმე აძნელებს სიტყვის მონღოლურად მიჩნევას (Сев., III, 21). ქართულში ამ ძირს ემატება საკუთარი სახელების კნინობითი სუფიქსი –ელა (შდრ. კაკიტელა, ქაქუჩელა).

**გოზალ** < (gözäl) „ღამაზი“; გოზალ მურადბეგისძე (გვდღ, 27, 28), გოზალი (დოკ. I, 57; დღ., I, 68). შდრ. გავრცელებული ქართული პატრონიმი გოზალი-შვილი (1448.226, 1796 წ.). იხ. აგრეთვე გოზალიშვილი (ქორდ., III, 695). გოზალიძე გოგობა (H-140), სიტყვის გახმოვანების გამო ივარაუდება, რომ ის ან აზერბაიჯანულიდანაა შემოსული, ან ანატოლიის დიალექტებიდან, რომელთა ხმოვნის გაფართოება ახასიათებთ: (güzcl→gözel) (ნ.გ., 112). აღ. ღლონტი აღნიშნავს, რომ გოზალა შემონახულია ბეიტრიშვილის გეარის სახინჯარში: გოზალაანი (დღ., I, 204).

**დელია** < (deli) „გიჟი“ (ქსს, 176). გეხედება ორ თხზულ სახელში: დელიყარდამ (deli k'ardaš) „გიჟი ძმა“ (H-555), დელიყული (deli k'ulu) „გიჟი მონა“ (ქ. დიალ., 716). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქ ხალხებში სიტყვა deli იხმარება არა მხოლოდ 'გიჟის' არამედ 'სალოსის' მნიშვნელობითაც.

**დოგრა** (გვარში: დოგრაშვილი) < (dogru) „მართალი, ჭეშმარიტი, სწორი“ (თბ., 24.06.1965, მაიაკოვსკის რ-ნი). ეგვევ ძირია პატრონიმში დოგრაძე (მაის., 57).

**დოლუ** (გვარში: დოლუაშვილი) < (dolü) „სავესე, უხვი“ (თბსც, 228). ეს სიტყვა იხ. აგრეთვე თხზულ სახელში: დოლუბეგ < (dolü beg) 'უხვი ბატონი' (გვდღ, 264).

**თექა** < (tek) „კენტი, ერთადერთი“ (ქსს, 130). იხ. პარტ. თექაძე (თბ., 16.09.1968). ეგვევ სიტყვაა გვარების თექთუმნიძე, თექთუმნიშვილი (მაის., 74) – ფუჟებში.

იალღუზ < (jalnyz) „მარტო“ (გვდდ, 145). იალღუზ ვარძელაძე (გვდდ, 181), იალღუზ მებაღე (გვდდ, 145), იალღუსა (პ. ინგორ., 12), იალღუსა ტყემალასძე (გვდდ, 181). დაიძებნა აგრეთვე გეარში იალღუსაშვილი (1450–31/211, Hd–2124). ეს სიტყვა ბევრ თურქულ ენაშია: ჩად., თათრ. (jalguz, yalaguz), ძვ. თ. (jalnyuz, jalnyuz), (დოკ.V, 227, 229), ასევე გვაქვს თურქმენულშიც – (jalnyuz) „მარტოდმყოფი“, ოსმ. (jalnuz), ყარაიმ. (jalynyuz) (Räs., 182) და სხვ.

იანღული < (janyl) „ახალი“; გიორგი იანღულის ძე (გვდდ, 23); ჩვენი ვარაუდით, ანთროპონიმი იანღული წარმოადგენს ძველ თურქულ ძირს (janyla) „ხელახალი, ახალი“, (MK, III, 381). მ. რესენენთან გვაქვს (janil, jānil), უილფრედისთვის (jirnil), ჩად., ოიროტული (janäl) და ყველგან მსუბუქს ნიშნავს (Räs., 198).

იარალი < (jaraly) „დაჭრილი“ (1448. 226, 179), იარალი მენითე (1798 წ., 1448. 226). გეარი იარალაშვილი (1450. 67), იარალი ყორღანაშვილი (1703 წ., 1448. 226. 1), მიმცემნი: იარალი და სხვ. (1683 წ., 1448, 226), იარალის შვილი-შვილი (გვდდ, 199), იარალი (საქ. სიძე, I, 140, ღლ. I, 87), იარალი ზაქარასძე (გვდდ, 22), იარალ ბარათიანი (ჟორდ., III, 707) პატრონიმი იარალისშვილი (ჟორდ. III, 707, 713), თავადი იარალისშვილი (გეორგ. ტრაქტ., 58) და უსანო ვარიანტი, უფრო გვიანდელი, იარალიშვილი (პაპუნა) (Sd–568).

კაჩუსა (გეარში: კაჩუსაშვილი) < (kačyk), (თბ., 12780; 264). მომდინარეობს ზმნიდან kačmak „გაქცევა“, „დამალვა“ (იხ. აქვე, გვ. 20). შდრ. თ. დიალ. kač 'მორყეული, მოსულელო'.

ოზა < (öz) „საკუთარი, მშობლიური“ (წითელწყაროს რ.). აქედანვეა სოფლის სახელწოდებაც ოზაანი (მაის., 127), სადაც ოზიაშვილები და ოზაშვილები ცხოვრობენ. ოზაშვილი (გეორგ. ტრაქტ., გვ. 64).

პარმაქსიზ (გეარში: პარმაქსიზაშვილი) < (parmaksyz), „უითო“ (ახალციხე). ი. მაისურაძის ცნობით, თბილისში მცხოვრებ ამ გეარის წარმომადგენლებს გეარი შეუკვეციათ და იხსენებიათ როგორც პარმა (მაის., 131). გადმოცემით მათი ძველი გეარი ვანაძე ყოფილა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, აბატი ხარისჭირაშვილი, ტფ., 1895, გვ. 34.



სიგრძის ერთეულსაც აღნიშნავს, რასთანაც ჩვენი კონკრეტული მაგალითის მიხედვით არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ანთროპომიმისა და პატრონიმის ფუძის მნიშვნელობა.

**სონღურ ძე. თ. (sanur) „ყრუ“** (პ. ინგორ., 68). სიტყვის ძველთურქული (სადირნუნი) იყ (ბგერათა კომპლექსითაა ჩვენამდე მოღწეული) ფორმის გარდა სახელად გვხვდება ამ ცხვირისმიერი თანხმოვნის გამარტივებული ვარიანტის (ყ)-ს, შემცველელი სიტყვა საღირ (იერუსალ., 72., ქართლ. ცხ. II, 54; პ. ინგორ., 120; მაკალ. ფშ., 148). აღსანიშნავია, რომ ოსმალური (არაბული) ანბანის ერთ-ერთი ასო – ე. წ. საღირ-ნუნი, რომელიც მრავალგზის ვახსენეთ, ამ სიტყვაშია ჩვეულებრივი ნუნ-ისგან განსახსხვავებლად. მას ყრუ ნუნს უწოდებენ. პატრონიმებს საფუძვლად დაედო როგორც საღირა – საღირასშეილი (ქორდ. III, 721), საღირაშეილი<sup>1</sup> (თბ., 05.04.1966), ასევე საღირი – საღირაშეილი (კომ., 23.03.1980). შდრ. ქართული ყრუა (ქსს, 218) და გვარი ყრუაშეილი (თბილისი).

**სოილ < (sojux) „ლამაზი, წარმოსადგეი, ჯიშიანი“**, კეთილშობილი წარმოშობის (ათაბ., 76); სოილ კოპასძისა და მთელი მისი სახლის წვერთა მოსახსენებელი.

**სოულახ < (solak) „ცაცია, მემარცხენე“** (ქსს, 123); ქართულში დადასტურების მიხედვით სხვაედასოვლა სოლაღი (იხ. აქვე) „სულთნის მარცხნივ მდგარი მცველი“ და სოულახი – „ცაცია“.

**სოუხი < (soyuk) „ცივი“** (ქსს, 13). ფარნაოზ სოუხის ძე ჭკადუა (ე. ბარდ., 224). შდრ. ქართულში იმავე შინაარსის ფუძე გვარისა ცივაძე.

**ტოპლია (პატრონიმში: ტოპლიაშეილი) < (toplux) „გასუქებული“** (მაის., 155).

**უზუნა < (uzun) „გრძელი“** (გვდდ, 14). აქედან წარმომდგარი პატრონიმებია: უზნასძე, უსუნასძე (ქავთ., 162), უზუნისშეილი (ქ. შარ., საქ, უზნაძე (თბილისი), უსუნაშეილი (ანაბა), „კალმახელი სასაფლაოთა და მონასტერთა უსუნაშეილს აქვს“ (ათაბ., 35).

**ულურღუ < (uyurux) „ბედნიერი“** (გვდდ, 39): ამირმირ ულურღუსძე. სახელში ულურღუ (Hd-14679) დაკარგულია თანხმოვანი. იხ. პატრონიმი ულულახსშეილი (1450–14/13).

<sup>1</sup> ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1992, გვ. 64.

- ქესკინა < (keskin) 'შოსაზრებული, სხარტი' (დლ. I, 204, სოფ. გულიანი).
- ქურუკი < (kũñk) 'პატარა' (თბ., 25.12.1982). ქურუკ ცირაკის ძე (გედდ, 390), ქურუკ ბუდახას ძე (გედდ, 450). ეს სიტყვაცაა ქართული პატრონიმის ფუძეში: ქურუკაშვილი.<sup>1</sup> შდრ. ქართული შინაარსობრივად შესატყვისის სახელი და გვარ-სახელი: პატა, პაატა, პატარიძე. ძველი თურქების მეორე სახაყანოში არსებობდა ქურუკ-ხანის ტიტული (ჭუმბ., 64).
- ყარა < (k'ara) 'შავი; ძლიერი, დიდი' (ქსს, 138). მერაბა ყარასძე (გედდ, 202), ხარება ყარასძე (გედდ, 160), ყარა ყარას ძე (გედდ, 55) ყარა ყუბადის ძე (გედდ, 362). დასტურდება პატრონიმში ყარაშვილი. შდრ. ქართული სემანტიკური შესატყვისის მქონე გვარის ფუძე შავიშვილი. ყარა მრავლადაა თხზულ ანთროპონიმებში, რომლებშიც ნიშნავს მთავარს, დიდს, ძლიერს. ყარა იხმარება აგრეთვე ხანთა, გოლიათთა და გმირთა ეპითეტად. შდრ. ყარახანიდთა ტიტული (ქარა ხან) 'დიდი ხანი'. იმავე ძირისა უნდა იყოს ანთროპონიმი ყარაშაც; ყარაშა გამყრელიძე – ბაადურ მაჩაბლის ყმა (1666 წ., Qd-8925), „დედე ქორქუთის წიგნში“ ბერია ამ სიტყვის შემცველი ანთროპონიმი. მათგან ყარაგუნეს ეკის სახელი ყარაბუდახი ჩვენშიც არის ფიქსირებული.
- ყარაგოზა < (k'ara gōz) 'შავთვალა' (1450-II/112, Hd-14479).
- ყარაჯი < (k'arajy) „მოშავო“ (ქსს, 214). ამ ლექსემიდან უნდა იყოს გვარ-სახელი ყარაჯაშვილის ფუძე (თბ., 20.10.1982; 23.12.1967).
- ყიზილა < (k'yzył) „წითელი“ (მაკალ., ფშ., 148), არის გვარი ყიზილაშვილი (ქსს, 218).
- შიშმანა < (šišman) „მსუქანი“ (პირთა სახ. საძ. 6367), ეს ლექსემაც არის ქართულ გვარში: შიშმანაშვილი (თბ., 25.02.1982). შდრ. ამავე შინაარსის ქართული გვარი მსუქნიშვილი.
- ჩირკინა < (čirkin) 'უშნო' (გედდ, II, 189). არის გვარი ჩირკინაშვილი.
- ჩილია (გვარში: ჩილიაშვილი) < (čig) 'უმი' (თბსც, 624).
- ჩოლაყა (გვარში ჩოლოყაშვილი) < (čolak) „ცალხელა“ (მაის., 202) კახეთის ფეოდალთა ცნობილი შტო. აღსანიშნავია, რომ თურქულ სახელთა ენციკლოპედიურ ლექსიკონში ჩოლაყ ფიგურირებს (čolak). თურქულში აპელატივი (čolak) ფუნქციობს. მაშინ, როცა ქართულში ჩოლაყა დესე-

<sup>1</sup> ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1992, გვ. 64.

მანტიზირებულია. ასეთი მოტივირებული შემთხვევის გარდა, ნაკლებ საეარაუდო უნდა იყოს ამ სიტყვით სახელდება. არა და, იგი სწორედ მოქმედ სახელადაა დაფიქსირებული.<sup>1</sup>

### ხელობა-მოსაქმეობის ტერმინები

ფონემატურ და გრამატიკულ ინვენტართან შედარებით ლექსიკურ ერთეულებს ენა ადვილად სესხულობს. ამისათვის საკმარისია მინიმალური კონტაქტი ენათა შორის. ნასესხობებს ენა საკუთარ ფონეტიკურ ქდერადობას აძლევს და თავის შინაგან კანონზომიერებებს უმორჩილებს, სადერივაციო საშუალებებით ნასესხობათა შემცველ ახალ სიტყვებსაც წარმოქმნის. ხდება სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროება, რაც რიგი ფაქტორებით არის განპირობებული.

საკუთარი სახელები მსესხებულ ენაში უპირატესად მარცვალთა უბრალო შეერთებად აღიქმებიან (სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, ჩეილისათვის ათჯი-ს 'შეჯინიბე' დარქმევა). დესემანტიზირებული ხელობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ლექსემები ანთროპონიმებად მართლაც იშვიათია. სამაგიეროდ ამ შინაარსის სიტყვაფორმები არაერთი ქართველური პატრონიმის ფუქეშია დამკვიდრებული.

ამაგდარმა ონომასტიკოსმა ილია მაისურაქემ გეართა ფუქეებში "ჩაქეით-კირებული" ხელობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელ სიტყვათა მიხედვით ქართველური *nomen agentis*-ის შემცველი გეარსახელები შემდეგნაირად დააჯგუფა: 1) სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საქმიანობა; 2) ქველი სოფლის მოხელეთა თუ თანამდებობის პირთა აღმნიშვნელი სიტყვები; 3) გლებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამომხატველი ტერმინები; 4) წოდება-თანამდებობის ტერმინები; 5) შინამრეწველობის სხვადასხვა დარგში, საქალაქო ცხოვრებაში, ვაჭრობა-მრეწველობასა და ტრანსპორტის სფეროში დასაქმებულებზე პირდაპირ წარმოდგენას იძლევა საკმაოდ დიდი რაოდენობის გეართა ფუქეები; 6) ზოგიერთი მოხელე-ოსტატის გეარის ფუქე იმ საგნის დასახელებაა, რომლის მკეთებელიც ის იყო; ჩვენი კვლევის რაკურსში უპირატესად მომდევნო, მეშვიდე ქვეჯგუფში ჩამონათვალის გეარსახელები აღმოჩნდა. ამიტომ ამ დანაყოფის შესახები ტექსტი სრულად მოგვაქვს: „7) ცალკე უნდა იქნეს მითითებული ხელობა-პროფესიისა და

<sup>1</sup> K. Z. Gencosman, Türk isimler sözlüğü, Ansiklopedik, A'dan Z'ye kadar Türk adları ve soyadları, İstanbul, 1975, გვ. 72.

თანამდებობა-წოდების აღმნიშვნელი ის გეარსახელები, რომლებიც შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველ სამთავროში, ტაო-კლარჯეთსა და აჭარა-სამცხეში თურქოსმალთა ბატონობის დროს (XVI-XVIII სს.). დადასტურებულია, რომ ე. წ. გურჯისტანის ვილაიეთის (სამცხე-საათაბაგოს) მოსახლენი, უმთავრესად მოქალაქენი, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იძულებულნი ხდებოდნენ დამკვირობელთა კარნახით უკუეგდოთ ტრადიციულ-ეროვნული სახელ-გეარები და მიეღოთ არაბულ-სპარსულ-თურქული ზედწოდებანი, ეტარებინათ მეტსახელები, რომელთა შინაარსი ძირითადად მოსაქმეობის ამა თუ იმ დარგის უცხოურ ტერმინებთან ან სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან იყო დაკავშირებული” (ი.მ.,სსე,49-50).

ქართველთა სახელებად არის გამოყენებული ან/და გეართა ფუძეებში დაფიქსირებული ხელობის -CI აფიქსით წარმოქმნილი ტერმინები. აფიქსის ასეთი დაწერილობა განპირობებულია სინაპარმონიული პარალელების არსებობით. აქვე აღვნიშნავთ, რომ აზერბაიჯანულ ენაში -CI აფიქსის მხოლოდ ყრუ თანხმოვნიანი ალომორფი – CI – ფუნქციობს.

ავეჯი < avci (av 'ნადირობა' + -ci) 'მონადირე' ( თბ., 20. 08. 1982). ეგვეე სიტყვა გეარის ფუძეშიც შეგვხვდა – ავეჯიშეილი (ი.გ.,9).

ათჯი < atci (at 'ცხენი' + -ci)1. 'მეჯინიბე'; 2. 'მეცხენე' (შუახვევი).

ამბარჯი < ambarci (არ. ambar 'ბელელი, საკუჭნაო' + -ci) 'მეკუჭნავე' (გვდდ, 113, 120, 136, 267, 454).

არაბაჯი < arabaci ( araba 'ურემი' + -ci) 'მეურმე'. ეს თურქული სიტყვა ქართული გეაროვნული ფორმანტის გარეშე ფუნქციობს პატრონიზმად (ი.გ.,11). შდრ. ქართული გეარსახელი მეურმიშეილი.

არხჩი < ar(i)k (ar(i)k 'არხი' + -ci) 'არხის გამყვანი'. arik || ark საერთო თურქული სიტყვაა. მაშინდელ ქაშღარელთან არკ ფორმითაა მოცემული. სულხან-საბა ორბელიანი არხს რუს თათრულ შესატყვისად მიიჩნევს. -ს- დერივატი გეარის ფუძეში გვხვდება მანთროპონიმიკული -ა აფიქსით: არხნიაშეილი. ამ გეარის კაცი 1692 წლის თავნასყიდობის წიგნის მოწმეობას ადასტურებს (პალ., 177).

ბალარჯი < balarci (სპ. balar'ყავარი' + -ci) 'მეყავრე' გვხვდება გეარის ფუძეში ბალარჯიშეილი (თბსც, 66).

**ბალჩი** < *balçı* (*bal* 'თაფლი' + *-çi*) 'მეთაფლე' (ქსს, 82). ქართული ონომასტიკის ფუძემდებელს, ალექსანდრე დლონტს, ბალჩი მამაკაცის სახელად მესტიაში აქვს დაფიქსირებული. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოსაქმეობის ეს ტერმინი არ ფიგურირებს, თუმცა გვარის ფუძეში კი არის „მოკალათებული“ – მეთაფლიშვილი (თბსც, 451).

**დემურჩა** < *demürçi* (*demür*'რკინა' + *çi*) 'მჭედელი'. დემურჩა ყუავეილაძე – ამილახორის ყმა (1649 წ.) (პალ., II, 73). გეხედება პატრონიმის ფუძეშიც – დემურჩასშვილი ზაქუტა (1630 წ.). ძველი დოკუმენტებიდან ამოკრებილი მასალა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გვიჩვენებს ქართული გვარების ჯერ სანიან ვარიანტებს, ე.ი. როცა მსაზღვრელ წევრთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენახულია, რაც მამაშვილობას გამოხატავს და გვარის წარმოშობის პირველი საფეხურია, და მერე – უსანო ვარიანტებს. შდრ. დემურჩასშვილი და დემურჩაშვილი. ამგვარი მასალა გვართა წარმოქმნის პროცესზე უშუალო დაკვირვების საშუალებას იძლევა და ისტორიული ონომასტიკონის შესასწავლად აუცილებლად გასათვალისწინებელია. უფრო ძველი ნასესხობა იგივე ლექსემა ყრუ ანლაუტით – თემური (ქსს, 130). უნდა ითქვას, რომ თურქული წარმომავლობის ანთროპონიმებში ყოქმალური და ოღუსური ენების ძირითადი ფონოლოგიური თავისებურება – მჟღერი და ყრუ ანლაუტი საკუთარ სახელებშიც წარმონდება და ერთმანეთს ერთგვარად უპირისპირდება თემური და დემური, თენგიზი და დენიზა, რომელთა ყრუანლაუტიანი ვარიანტები უპირატესად ყოქმალური ჯგუფის ენათაგან არის შეთვისებული, ხოლო მჟღერი – თურქულ-სერბოაჯანულიდან.

**დილენჯი** < *dilenci* (*dilen-* *dilenmek* 'მათხოვრობა' ზმნის ფუძე + *-ci*) 'მათხოვარი'. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში მოხსენიებულია დილენჯი ოტიას ძე (გვდღ,386); 1679 წლის ნასყიდობის დოკუმენტში კი ეს სიტყვა უკვე გვარის ფუძეშია: დილენჯაშვილი ბერუკა, ძმა ქიტია დილენჯაშვილისა (პალ., II, 890). სიტყვა ძველი თურქულიდან მოდის. ძველ უიღურულში *tile-* ფუძეს აქვს 'თხოვნის' მნიშვნელობა. წყალობის, გამოთხოვნის შინაარსი სიტყვას დაახლოებით XIV საუკუნიდან ეძლევა.

ძველ საქართველოში პირის სახელად გეხედება აგრეთვე დოლენჯი: დოლენჯი " აწ გადმოსული მესხიღამ"(ქართლ. ცხ. IV, 1008), დოლენჯი ქუჩუკის ძე (გვდდ, 216), დოლენჯი ლაზარეს ძე (გვდდ, 225). შდრ. ქართული პერსონული სახელები ამავე მნიშვნელობის ფუძიდან: გლახა, გლახო, გლახუა, გლახუკი, გლახუნა; მეგრული: გახუ, გახუნია). პირის სახელად დოლენჯი ამჟამად არ გეხედება, თუმცა ის "ნაბუღებულია" დღემდე ცოცხალი გვარის ფუძეში: დოლენჯისშვილი არსენი (1448, I-2415, 1713წ.), დოლენჯისშვილი ქაიხოსრო (1448, I-2415, 1723წ.), დოლენჯაშვილი (თბსც, 226).

**Elci** < (el 'ხალხი' + -ci) დადასტურებულია ქართველის სახელად (ქსს, 82). ეგვევ სიტყვაა თხზული სახელის შემცველ გვარშიც არის: ელჩიბეგაშვილი (მაის., 60).

**თოფნი** < **topci** (top'იარაღი' + -ci)'მეთოფე, მეიარაღე' (ქსს, 118) გვარის ფუძეში შეგვხვდა როგორც თოფნი- (თოფნიშვილი), ასევე თოფნია –მანთრო-პონიშებელი -ა აფიქსით. თოფნიაშვილები ებრაელები არიან. მე-ე და მე-ურ- კონფიქსით გაქართულებულია მეთოფე და მეთოფური. ამათ-გან მეთოფე შეგვხვდა გვარის ფუძეში: მეთოფიშვილი (თბსც, 451).

**თოქმაჯი** < **tokmakci** (tokmak 'კეერი; ურო' + -ci) 1. 'კეერის მცემელი.

**თოქმაჯი** < **tokmakci** (tokmak 'კეერი; ურო' + -ci) 1. 'კეერის მცემელი სამკედლოში'; 2. 'ნამომსხმელი, თითბერზე (რკინეულზე) მომუშავე ხელოსანი'. გეხედება მხოლოდ გვარსახელის ფუძეში – თოქმაჯიშვილი (ი.მ., 76).

**კალაიჯი** < **kalayci** (kalay 'კალა' + -ci) 'მკალაეი' გვარებში: კალაიჯიშვილი (თბსც, 314) და ყალაიჯიშვილი (ი.მ., 182). შდრ. ამავე შინაარსის ქართული გვარებია მკალაეიშვილი და მეკალუაშვილი (თბსც, 47).

**კომურჯი** < **kömürçü** (kömür 'ნახშირი' + -cü) 'მენახშირე'. ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებია შემდეგ ქართულ გვარებში: კომურჯიშვილი (ი.მ., 90), ქიმურჯიშვილი (ი.მ., 174), კომურჯიშვილი ( თბ., 19.03.1987).

- კურახნი < kürekçi (kürek 'ნისაბი + -çi) 'მენიხბე' გვარში: კურახნიშვილი.
- მულამში < არ. mulyam 'მულამი + -çi) (გვარში: მულამშიშვილი) 'მემულამე, მულამის შემსრულებელი' (11451 - V/102).
- სოფუჯი < sopaçi (sopa 'კეტი, კომბალი' + -çi) 'შეკომბლე; მსხვილკეტიანი პატრული'. საკუთარ სახელად სოფელ საბერიოშია დადასტურებული.
- ულარჯი < yularcı ( yular 'უნაგირი' + -cı) 'მეუნაგირე' „შენახულია“ გვარ ულარჯიშვილის ფუძეში (მაის., 158).
- ფაფახნი < papakçı ( papak 'ფაფახი' + -çı) 'ფაფახის მკერავე'. ეს სიტყვაც ოდენ გვარის ფუძეშია – ფაფახიშვილი (ი.გ., 75).
- ქილარჯი < kilerci (ს.პ. kiler 'საკუჭნაო' + -cı) 'მეკუჭნავე'. ამ სიტყვას ეხედებით ორი გვარის – ქილარჯიშვილისა (მაის.,173) და კილარჯიშვილის ფუძეში.
- ქურქჩი < kürkçü ( kürk'ქურქი' + -çü)'ჭონი (ბეწვის, ტყაის მკერავე)'. ხელობის ეს ტერმინი ფიქსირებულია გვარში ქურქჩიშვილი. ვვარაუდობთ, რომ იგივე ლექსემა გვარებში ქუქჩიშვილი (ფუძეს აკლია რ თანხმოვანი) და ქურჩიშვილი (ფუძეს აკლია ქ თანხმოვანი).
- ქურქჩიბაში < kürkçübaşı 'უფროსი ჭონი'. მესხეთში საქმიანობა ისე ყოფილა სტრუქტურირებული, რომ ქურქების რიგითი მკერავის გარდა პყოლიათ უფროსი მკერავე – ქურქჩიბაში. ეს სიტყვაც გვარს დასდებია საფუძვლად: ქურქჩიბაშიშვილი (მაის., 50).
- ყაზანჯი < kazancı (kazan 'ქვაბი' + -cı)'მექვაბე' შეგვხვდა გვარის ფუძეში ყაზანჯიშვილი (მაის., 50). შდრ. ამავე შინაარსის მექვაბიშვილი.
- ყაუხნი < kavukçu (kavuk 'ერთგვარი ქული' + -çu) მექუდე; ქულის გამყიდველი' გვარში ყაუხნიშვილი. ი. მაისურაძის ცნობით ყაუხნიშვილთა წინაპრის გვარი დარდაგანიძე ყოფილა.
- ყაფიჩი < kapıcı 'მეკარე, კარისკაცი' (პირთა სახ. საძ., 785). ყაფიჩი მოხელე მეკარეა გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში, რომელიც ასრულებდა საპოლიციო-ადმინისტრაციულ ფუნქციებს (სასახლის დაცვა, სხვადასხვა დავალების, გადაწყვეტილების თუ განაჩენის სისრულეში მოყვანა). ყაფიჩი ხელჯოხიანთა უწყებას მიეკუთვნებოდა.

ყვინჩი < *kuyuncu* (*kuyun* 'საოქრომჭედლო ნაწარმი' + *-cu*) 'ოქრომჭედელი'. ხელობა-საქმიანობის ამ ტერმინს მეგრული საგეაროვნო(-ი)ა ფორმანტი ერთვის ორ გეარში: კეინჩია და ყვინჩია (მაოს., 185). შდრ. იმავე შინაარსის ფუძის შემცველი ოქრომჭედლიშვილი.

ყულუხჩი < *kullukçu* (*kulluk* 'საყარაულო პოსტი, სამსახური' + *-çi*) (1) უნტეროფიცერი; (2) მორიგე ჯარისკაცი; (3) მოსამსახურე'.

ჩინიჯი < *çinici* ( სპ. *çini* 'ფაიფური, ქაშანური' + *-ci*) 'მეფაიფურე'. შეგვხვდა გეარის ფუძეში – ჩინიჯიშვილი.

ჯარჯი < *carci* (*car* 'მოწოდება, შეძახილი' + *-ci*) 'მაუწყებელი, გამომცხადებელი'. ჯარჯი პირის სახელიც არის და გეარის ფუძეშიც დაფიქსირდა – ჯარჯიშვილი (ი.მ., 241).

ზემოთ განხილული არცერთი სახელი არ ფიგურირებს თურქულ საკუთარ სახელთა ლექსიკონებში, ხოლო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ თურქულ პირის სახელთა ე. წ. ანთროპოცენტრულ ქვეჯგუფში (*Сравнительно-историческая грамматика тюркских языков. Лексика. Антропонимия. М., 2001, გვ. 707-711*) –CI აფიქსით წარმოქმნილი ადამიანთა კოლექტივის რამდენიმე კონკრეტული რეპრეზენტანტი შეგვხვდა: *Başçı* 'მეთაური', *Borlukçı* 'მევენახე', *Elçi* 'ელჩი' და *Tamğacı* 'ღამღის მცველი'.

შემდეგი გეარების ფუძისეულ ლექსემები: ელჩიბე < *elçibeg* 'ელჩი ბატონი', ლაფაჩი < *lapacı* 'ფაფის მოყვარული', სოფუჯი < *sopacı* 'მეკომბლე, ქილარჯი < *kilerci* 'მეკუჭნავე', ყაფიჩი < *kapıcı* 'მეკარე, კარისკაცი', ყულეჯი < *kuleci* 'მეკოშე', ლაფაჩის გარდა, თანამდებობის ნათურქალი ტერმინებია და არა ხელობა-მოსაქმეობისა. ჩვენ ისინი მაინც მიმოვიხილეთ, რადგან სიტყვაფორმის აუსლაუტში -ჯი/-ჩი სეგმენტი ადასტურებს თურქულ ხელობა-მოსაქმეობის ტერმინთან მიმართებას.

### სოციალური და წოდება-თანამდებობის ტერმინები

ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის ხალხთა ანთროპონიმის თავისებურება ისაა, რომ ბევრი ტიტული ან წოდება, სოციალური მდგომარეობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა იქცა საკუთარ სახელად ან თხზული სახელის კომპონენტად. სულთანი და შაჰი, მირზა და მელიქი, ალა და ხანი, ბეგი თუ ამირა ანთროპონიმებად ქცეული წოდებებია. არაბულ-სპარსულ-ოსმალური ტიტულატურა, სამხედრო-სამოხელეო წოდებები და



სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები მრავლად გვხვდება ქართულთა საკუთარ სახელებად და გეარსახელთა ფუძეებად.

ქართველურ ანთროპონიმიაში დადასტურებულია თურქული წარმომავლობის სოციალური და წოდება-თანამდებობის ტერმინები. ესენია:

ათაბეგ < / ata beg / 'მამა ბატონი' (გვდდ , 337, 381) ათაბეგა (პალ., I, 88).

ათაბეგაშვილი (თბს(ც). სელჯუკიან თურქთა სულთნის შვილის (უფლისწულის) აღმსრდელი ხშირად ინიშნებოდა პროვინციის მმართველად და დამოუკიდებელი ხელისუფალი ხდებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში ეს წოდება "უცხოეთითგან იყო შეთვისებული" (ათაბაგის ფორმით) და პირველად მიენიჭა XII საუკუნის დასასრულს ივანე მხარგრძელს. შემდგომში "ათაბაგობა სამცხის მმართველთა საგვარეულო სამკაულად იქცა" (ჯაფახ,179); ათაბაგა (მაის., 18), ათაბაგი (თბს(ც, 17). გვარები ათეულ თაობათა განმავლობაში დამკვიდრებულ ალფორმათაგან წარმოიჩინენ დღევანდელ სიტუაციას, ხოლო ძველი დოკუმენტებიდან ამოკრებილი მასალა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გვიჩვენებს ქართული გვარების ჯერ სანიან ვარიანტებს, ე.ი. როცა მსაზღვრელ წვერთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენახულია, რაც მამაშვილობას გამოხატავს და გეარსახელის წარმოშობის პირველი საფეხურია, და მერე – უსანო ვარიანტებს. სანიანი ვარიანტები დღეისათვის არ არსებობენ. შდრ. ათაბეგისშვილი (პალ., I, 88) და ათაბეგისშვილი (ი. ა., 684).

აღა < / aya / 'ბატონი, უფროსი' გვარში: აღაშვილი (გეორგ. ტრაქტ. 64), აღა პოლისემიური ტიტული იყო. ოსმალეთში იგი ეძღვოდა როგორც უმცროსსა და საშუალო ოფიცრებს, ისე წვრილ ხელოსანთა და მოხელეთა შორის დაწინაურებულებს და თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით – ზოგიერთ უფროსს.

აღა ათიოდე თხზული სახელის პირველი ან მეორე კომპონენტია. აღაბეგ < / ayabeg / 'უფროსი ბატონი'; გვარის ფუძედ ეს სახელიც ფუნქციობს. გვაქვს როგორც სანიანი, ასევე უსანო ვარიანტები: აღაბეგასშვილი (პალ.-I, 196), აღაბეგისშვილი (ი.ა., 687); აღამირ < თ.-არ. / aya amir / 'უფროსი მბრძანებელი' გვარში აღამირაშვილი (1450-23/103). დღეს ეს გვარი აღარ ჩანს; აღაჯანა < თ.-სპ. / aya Jan / 'ბატონი სული' გვარში აღაჯანასშვილი (პალ. I) აღაჯანაშვილი (გაგულაშვილი, 19); ყუთლულა <

/kʰutlɪ aɣɑ/ 'ბედნიერი ბატონი' გეარში ყუთლუდასშეილი (1450/42), რომელიც 1675 წლის ნასყიდობის საბუთშია დადასტურებული. ამირალა < /amir aɣɑ / 'მბრძანებელი ბატონი' (პალ, I) (შდრ. შებრუნებული წყობის აღამირ გეარში: ამირადასშეილი (პალ, I), ამირადაშეილი (პალ., I, 131-132); გულალა < სპ.-თ. /gʷl aɣɑ/ 'ვარდი ბატონი' გეარში: გულადასშეილი (პალ., I, 731). გულადაშეილი (გაგულაშეილი, 29); ნადირალა < არ.-თ. /nadir aɣɑ/ 'იშიათი (უცხო) ბატონი' (გეარში ნადირადაშეილი (პალ., III, 251), ნურალა < /nur aɣɑ / 'სინათლე, სხივი ბატონი' ((პალ., III, 316), ნურალაშეილი (პალ., III, 316).

ჩვენ შევეცადეთ, განგვეხილა თურქული წარმომავლობის ის სახელები, რომლებიც ქართველებს ერქვათ. ასე, მაგალითად, აღამირა და აღაჯანა ხმარების ყველა შემთხვევაში სომხების სახელებად დასტურდება. თუმცა შეგვხვდა გეარები: აღამირაშეილი და აღაჯანაშეილი. ქართულ გეართა ფორმანტები -შეილი და -ძე ამ საქმეში ყოველთვის საიმედო დასაყრდენი არ გამოდგა. ისინი ფუნქციობდნენ არაერთი ასატურასა თუ ოსეფას თანმხლებ პატრონიში. ამიტომ ძველი დოკუმენტებისეული მასალის გამომსუურებისას სახელებს ამ მიზნითაც ვაკვირდებოდით.

**ბეგი** < / beg / 'თავადი, ფეოდალი; ბატონი; წარჩინებული; სხვადასხვა სამოქალაქო და სამხედრო დარგის მაღალი თანამდებობის მოხელე; მაღალი თანამდებობის პირთა საპატიო ტიტული - ესაა ამ ლექსემის ლექსიკონებიდან ამოკრებილი განმარტებები. ოსმალთა იმპერიაში bey (beg-ის გეიანდელი ფორმა) დაერთოდა დიპლომატიის, თარჯიმნებისა და დიდი მოხელეების სახელებს. დროთა განმავლობაში იგი მიმართვის ფორმის კომპონენტად იქცა. თანამედროვე თურქულისათვის beg ძველია ან დიალექტისეული, მაშინ როცა ქართულისათვის უპირატესია ფორმა ბეგი. ყარაჩაულსა და ბალყარულში კი bi გეაქვს (ს.ჯ., I, 6).

**ბეგთაბეგ** < (begler begi) 'ბეგების ბეგი' (დოკ. I, 1808წ.) იხ. აგრეთვე გეართა ფუძეებში: ბეგთაბეგისშეილი (დოკ. III, 1794წ.), ბეგთაბეგიშეილი (დოკ. VI, 1757წ.) ნ. ა. ბასკაკოვი თვლის, რომ რუსული გეარი Бекчибеков წარმოდგება ქართველ თავადთაგან და ჩანს 1783 წელს სრულიად რუსეთის მიერ ერეკლე II-სთან დადებულ ტრაქტატში და, როგორც გენეალოგიურ ცნობარშია ნათქვამი, წარმოადგენს თათარ (!) თავადთა ტიტულს.

საფუძვლად კი გეარს ფეოდალური ტიტული *begler begi* უდევს<sup>1</sup>. საქართველოში გავრცელებული ბეგთაბეგი ნ. ბასაკოვს მიანია *böktär begi*-დან ნაწარმოებად. ს. ჯიქიას აზრით, ბეგთაბეგ-ში-თა წარმოადგენს ქართული თანიანი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ აფიქსს და *Бектабеков* იდენტურია თურქული წარმოშობის პატრონიზისა *Беглербеков*, სადაც ინლაუტის *-лер* ქართული -თას მსგავსად მრავლობით რიცხვს აწარმოებს. პატრონიმი *Бектабеков* ქართულიდან რუსულშიშესულად უნდა მიეიწინოთ სიტყვის ქართული ფორმის გამო<sup>2</sup>.

გეაქეს აგრეთვე პატრონიმი ბეგაბეგაშვილი (1449-564, გვ. 230).

ღარაბეგი < | *dere begi* | 'ხევის ბატონი, მმართველი' გეარში: ღარაბეგაშვილი (მაის, 54). შდრ. თ. *derebey* 'ფეოდალი, მიწათმფლობელი'.→

ელჩიბეგ < / *elçibeg* / 'ელჩი ბატონი' გეარში: ელჩიბეგაშვილი (თბსც). ელჩიბეგი თანამდებობის ნათურქალი ტერმინია.

ეშიკაღა < / *eşik aya* / 'ზღურბლი ბატონი' (ნბერა., I, 51). ეს სამოხელეო სახელი ისევე, როგორც უფრო მაღალი რანგის ეშიკაღაბაში, ქართულ სამოხელეო წყობილებაში პირველად XVII საუკუნის 30-იან წლებში ჩნდება სპარსული სამოხელეო წყობილების მიბაძვით. ეახუშტის ცნობით ეშიკაღაბაშობა როსტომ მეფის დროიდან დაწესდა მანდატურთუხუცესობის მაგიერ (გაბაშვილი, 185). იგი ერთ-ერთი დიდი სახელი იყო საქართველოს მეფის კარზე – წესისა და რიგის (ცერემონიალის) გამგე; მეფის კარის დაცვის ხელმძღვანელი. 1815 წელს დასტურდება გეარის ფუძეშიც: ეშიკაღაბაშისშვილი (ნ.გ., 169) .

თარხან < / *tarxan* / თურქულ ენებში ფართოდ გავრცელებული, თუმცა საბოლოოდ დაუდგენელი წარმომავლობის სიტყვაა. მაჰმუდ ქაშდარელის ცნობილ ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია თავადად – *چا. ل ک. بروجکلمانس* თარხანი გაგებული აქვს წარმართულ საკუთარ სახელად –*Heidnischer Name* – და ხაკანის ტიტულადაც – *Titel des regierender Chakans und der Fürstin* .<sup>3</sup>

2. <sup>1</sup> Н. А. Баскахов, Русские фамилии торкского происхождения, М., 1979. გვ. 238

3. <sup>2</sup> ს. ჯიქია აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, I, – ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, III, თბ., 1960. გვ. 6

4. <sup>3</sup> C. Brockelmann, *Mittelürkischer Wortschatz*, Budapest, გვ. 204, 249.

ა. ფრემიანის აზრით თარხანს უწოდებდნენ თურქებზე დამოკიდებულ სოლდიელ ფეოდალებს.<sup>1</sup> არის აზრი, რომ ეს ტიტული მონღოლურიდან გადავიდა თურქულ ენებში. აბულ ღაზის მიხედვით, თარხანი არის ის ადამიანი, რომელიც თავისუფლად შედის ხანის კარავში და რომელსაც ეპატიება ცხრა დანაშაული. ეს უფლებები მემკვიდრეობით გადადის მეცხრე თაობამდე. მონღოლურად tarhan- ის მნიშვნელობებია: 'მჭედელი'; 'ოსტატი'; 'თავისუფალი ადამიანი'. თქმულების მიხედვით მჭედელს გამოუყვანია მონღოლები Эркене-кунь-ის უდაბნოდან და სწორედ მის საპატივცემოდ იქნა დადგენილი თარხნის წოდებაც. თარხნობა ქალებსაც ეძლეოდა (Буд.1,349). თურქულ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში დაფიქსირებულია tarhan- ის 13 (!) მნიშვნელობა, რომელთაგან ერთ-ერთი ქართულშიც არის დადასტურებული: თავისუფალი რაიმე ვალდებულების ან სულაც გადასახადისაგან. შდრ.: Freiherr (tarhan ) sein<sup>2</sup>, გათარხნებული, გათავისუფლებული, თარხნობა – თავისუფლება (1449. III, 1747 წ.). ისტორიიდან ცნობილია, რომ თავადობის მიღებასთან დაკავშირებით გიორგი სააკაძის შთამომავლებმა, მოურავი შეილებმა, ნათესავ აზნაურთაგან გასარჩევად გეარს მიუმატეს თარხანი. თარხან-მოურავი დღეს გეარის ფორმანტის გარეშე ფუნქციობს. ქართულ გეარს ეს სიტყვაც დასდებია საფუძვლად: თარხანასშეილი (პაღ.,II,290), თარხნისშეილი, თარხნიშეილი .

სოლაღა < / solak / 'სულთნის პირველი მცველი, რომელიც მისი ცხენის მარცხნივ იდგა ხოლმე (ნ.ბერძ., I, 135) .

ომის დროს სოლაღი ჯარის მარცხენა ფლანგების უფროსად იგულისხმებოდა. სულთნის კარზე 400-მდე სოლაკი ჰყავდათ (, 135).

გეორგიევსკის ტრაქტატს თავადი სოლოღაშეილიც აწერდა ხელს.

სუბეი < / subaj / 'ჯარის უფროსი, ოფიცერი' (ქსს, 190).

უზბაში < / yüz baş / 'ასისტაეი' ამ სამოხელეო ტერმინისგან ნაწარმოებია გეარი უზბაშიშეილი, რომელიც 1745 წლის საბუთშია დადასტურებული (დოკ. IV).

ქეშიკა < / keşik / 'მეფის მცველი' გეარში: ქეშიკაშეილი (მაისურაძე,173). შ. გაბესკირიას აზრით, თურქული keşik ქართულში via persica დამკვიდრდა.

5. <sup>1</sup> А.А.Фрейдман. Из истории Согдианы – Известия ЦИК СССР и ВЦИК, 30. 03.1935, №77, გვ. 4.

6. <sup>2</sup> С. Brockelmann, Mitteltürkischer Wortschatz, Budapest, გვ. 204, 249.

ყაიაბეგი < / kayabegi / 'კლდის ბატონი' გვიარის ფუძედ ქცეული წოდება-თანამდებობის სიტყვა ყაიაბეგი კლდის (კლდე სოფელია ახალციხის რაიონში) ბატონს, უფროსს ნიშნავს. მესხეთში თურქთა ბატონობის დროს ყაიაბეგი სამოხელეო ტერმინი იყო (მაის., 182).

ყალაბეგი < / kala begi / 'ციხის უფროსი' (მაის., 182). ციხის უფროსიც თურქთა ბატონობისდროინდელი თანამდებობის ტერმინია (მაის., 182).

ყორჩიბაში < / qorcu başı / 'მსახურთუხუცესი' (1450-37/160). საარქივო მასალებში ყორჩიბაში შეგვხვდა პირის სახელადაც (ყორჩიბაში ციციშვილი) და გვარსახელის ფუძედაც: ყორჩიბაშისშვილი (1710 წ., დოკ. V). ვახუშტი ბატონიშვილი ადასტურებს, რომ ყორჩიბაში ძველი მსახურთუხუცესის შეცვლილი სახელია. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ყორჩიბაშის საკითხავი იყო სასახლის შინაური მეურნეობის დაწესებულებები (ჯავახ., II, 185).

ყული < / kul / 'მონა' (1571წ., 1448, 1-9415), ყულია (პალ., I), ყულა (1793წ., 1448-226-1). ყულები საქართველოში მეფის პირადი მცველები და ზედამდგომელები იყვნენ (გაბაშვილი, 200). შეგვხვდა გვარსახელები: ყულასშვილი (1448წ., 1448, 226. III), ყულაშვილი, ყულიაშვილი, ყულაშვილი (თბსც). ყული განსაკუთრებით პროდუქტიულია კომპოზიტიური წარმოების სახელებში. მისი შემცველი ოცდაათამდე თხსული ანთროპონიმი დაგვიდასტურდა. ამათგან ყული მხოლოდ ოთხშია პირველ კომპონენტად: ყულიბეგ < / kuli beg / 'მონა მისი ბატონი', ყულოღლი < / kuloglu / 'მონის ვაჟიშვილი', ყულიჯანა < თ.-სპ / kuli jan / 'მონა მისი სულია' (ნ.ბერძ., I, 37), ყულიჯანაშვილი (მაის., 186) და ყულარაღასი /მასზე ქვეით შეგნერდებით/. მეორე კომპონენტად ამ სიტყვის შემცველ ანთროპონიმთაგან მხოლოდ ორი სახელია თურქულივე პირველ წევრით: თანდრიყუ(ღუ) < / tıny kulu / 'ღეთის მონა' გვიარში თანდრიყულაშვილი (პალ., II) და დელიყული < / deli kulu / 'გვიის მონა' (ქართ.დიალ., 16). ამგვარი შედგენილობის დანარჩენ სახელთა პირველი კომპონენტი არაბულ-სპარ-სულია, ან გაურკვეველი წარმომავლობისაა (ნ.გ.მ.ჯ., 36-38,78).

ყულარაღასი < / kullar ayasy / 'მონების უფროსი' საქ. სიძე. II, 170), ყულარაღასისშვილი (ე.ზ., 158) – მეფის მცველ მეთოფეთა უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ყულარაღასი მეფეს თავს ადგა და

ყორნიბაშთან ერთად მის პირად სამსახურს ხელმძღვანელობდა. ამასთანავე იგი სასახლის დიდი მოხელე იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეფოს მართვაში. XVIII საუკუნის II ნახევარში ყულარადასობამ დაკარგა რეალური შინაარსი და მხოლოდ ტიტულად დარჩა. ცნობილია, რომ საქართველოში როსტომ მეფემ მონათუხუცესს უწოდა ყულარადასი. ქართველი ყულარადასი ყულების, ე.ი. მეფის მცველების უფროსი იყო (გაბაშვილი, 200).

**ხანი** < / xan / 'მეფე, იმპერატორი' შდრ.: გეარები ხანიშვილი, ხანიაშვილი (თბსც). ყარახანიდების მმართველობის პერიოდში (X საუკუნიდან) ეს ტიტული მოედო ირანს, ავღანეთსა და ინდოეთს. ამ ქვეყნებში ხანი ამშვენებდა წინოვნიკებისა და მხედართმთავრების სახელებს. შუა აზიასა და ოსმალეთში ხანის ტიტული ეძლეოდა მხოლოდ სულთანს, ტახტის მფლობელს, ფადიშაჰს. ამავე დროს ხელისუფალთა პარემების ქალებს თავიანთ პატრონთა სახელზე *ხანის* დართვით იხსენიებდნენ. უმაღლესი ფენის წარმომადგენელთა ცოლებისადმი მიმართვის ეს ფორმა თანდათან გავრცელდა და ნაკლებად წარჩინებული ქალების სახელებსაც დაერთო. თურქულენოვანი ხალხების ქალთა სახელებში ხანის სიხშირე ჯერ კიდევ ერთდლოეს აქვს შენიშნული<sup>1</sup>. /xan/ დღესაც არის ტაჯიკ და უზბეკ ქალთა სახელების პროდუქტიული კომპონენტი. აღმოსავლურ თხზულ სახელთა ასეთი სიცოცხლისუნარიანი და რაოდენობრივად შთამბეჭდავი ფენა დღევანდელ სვანეთში იმიერკავკასიელ თურქულენოვან ხალხებთან მრავალსაუკუნოვანსა და მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს.

**ჯიბლა** < / jablu / 'მეფისნაცვალი, მოადგილე, სახაკანოში ღირსებით მეომარი' – უმაღლესი სამხედრო ტიტულია დიდი თურქეთის სახაკანოში. ხანის შემდეგ პირველი კაცი იყო ჯაბლუ (ან იაბლუ). ქართულ წერილობით ძეგლთაგან ეს ტიტული "ქართლის ცხოვრებაშია" დადასტურებული ხაზართა ამიერკავკასიაში ლაშქრობის ამბებთან დაკავშირებით<sup>2</sup>. ქართულ საისტორიო ლიტერატურაში იაბლუ//ჯაბლუ "ხაზართა ხაკანად" მიიჩნეოდა. ვ. გოილაძემ გაარკვია, რომ ჯუანშერისეული ჯიბლა თურქთა ერისთავი, თურქთა დასავლეთ კავანატის მმართველი აშინას დინასტიის უფლისწულია<sup>1</sup>. yabghu ენისეისა და ორხონის წარწერებშიც

<sup>1</sup> В.В.Радлов. Опыт словаря тюркских наречий, т. II, Санкт-Петербург, 1893, 13, 1663.

<sup>2</sup> მ. ბელთაძე, ხაზარული და საკუთარი სახელები ტიტულები "ქართლის ცხოვრებაში" (ხელნაწერი).

გვხედება. დაუდგენელი წარმომავლობის ეს სიტყვა თურქულ ენებში ფართოდაა გავრცელებული. ქართულში *yabğ-u-s* ა დავიწროვდა და ი-შ გადავიდა, რადგან მახვილიანი მარცვლის წინ იდგა. სიტყვის ანლაუტში /*ქ-ჭ-ყ*-ს შესაბამისობის შესახებ იხ აქვე, გვ.??

### ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები

ანთროპონიმის ისტორიაში ნათესაობის ტერმინები ერთ-ერთი უძველესი ფენაა. ოჯახის წევრთა სახელების ონმად გადაქცევა ტაბუისტური ჩანაცვლების გადმონაშთი უნდა იყოს. თურქულ ანთროპონიმიაში ადამიანის საკუთარ სახელად ფუნქციობს მამა, დედა, ქალიშვილი და ვაჟიშვილი, ბაბუა და ბებია, ბიძა და რძალი და სხვა. ამათგან ქართულ სინამდვილეში შემდეგი სიტყვები დადასტურდა:

**აბაღა** < (*abaya*) “ბიძა, მამის ძმა” (ქართლ. ცხ., II, 234). სახელი მონღოლური წარმოშობისაა, იხმარებოდა ძველ თურქულში, ჩალათურში, უიღურულში, ალთაურში, ხაკასურსა და იაკუტურში (Zenk). ამ ენებში აბაღა ნიშნავს მამის უფროს ან უმცროს ძმას, ბაბუას, მოხუცს და უფროსსადმი პატივისცემით მიმართვისას იხმარება. სახელი თხზულია, I კომპონენტია აბა < (*aba*) “მამა”, II – აღა (*aya*) “ბატონი”. ა. კონონოვისა და ლ. პოკროვსკაიას აზრით, აბაღა მიღებულია (*aba*)-ზე კინობითობის მაწარმოებელი (-*ya*) აფიქსის მიერთებით (Сев., I, 665). აბაღა საკუთარ სახელად გვხვდება “ქართლის ცხოვრებაში”. შდრ. გვარი ანბაღაშვილი (Hd-1886) . ნარი ქართულ ნიდაღზეა ბ-ს წინ “გაჩენილი”.

**ათა** < (*ata*) “ბაბუა, წინაპარი, მამა” (ქსს, 69), ათაია (ქსს, 69). გაქართულებულია -ია სუფიქსით. ეს სიტყვა გვხვდება თხზული სახელების პირველ კომპონენტადაც.

<sup>1</sup> ვ. გოილაძე, ჯუანშურის თხზულებაში მოხსენიებული “თურქთა მეფე საბა” და “ჯიბლა ერისთავი”, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1977, №2.

**ათაქიში** < (ata kiši) “მამა ადამიანი” (პირთა სახ. სამ., 2621). აქაც ისევე, როგორც წინა მაგალითში, I იზაფეტის წესით მიერთებული სიტყვებია.

**ათამა** < (ataman) “მეთაური, უფროსი” (ქ. დიალ., 715). -man აფიქსი თურქულში nomens agentis-ის მაწარმოებელია (აფიქსი უფროსი ბოლოკიდური თანხმოვანი ქართულში მოიკეცა). აქ კი მას მელიორატული ფუნქციაც შეუთვისებია: ata-man “დიდი მამა”. ყირიმელ მწყემსთა უძველეს ერთობაში, იაილაში, უფროს მწყემს ადამანს ეძახდნენ (aya-man) < (ata man) ატამანებმა კახაკთა სინამდვილეში თავი ომებში გამოიჩინეს. ნ. დმიტრიევის აზრით, ეგევე სიტყვა თურქმენულში – атаман “მეომარი”, “მამაცი, უშიშარი” – ataman-ისა და atmak ზმნის კონტამინაციას წარმოადგენს.<sup>1</sup>

**ბაბა** < (baba) “მამა” (საქ. სიძე, II, 83). როგორც ვხედავთ, სემანტემა მამა თურქულ ანთროპონიმებში სრულადაა წარმოდგენილი. ეს სიტყვა ქართულ გეარსაც დასდებია საფუძვლად: ბაბაშვილი (მაის., 26). იგი დადასტურდა თხზულ ანთროპონიმებში ბაბაგული თ.–სპ. (baba გუმ) “მამის ვარდი” და “ბაბაჯანა” (გეარში: ბაბაკანაშვილი) < თ.–სპ. (baba žany) “მამის სული” – ორივე შემთხვევაში ორწევრა სახელის კომპონენტები II იზაფეტის წესით ერთდებიან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული სიტყვა უცხოური ლექსების შემცველ თხზულ ანთროპონიმში არ გვხვდება (იხ. აქვე, გვ. ), ამიტომ გამოერიცხეთ ბაბას ქართველური წარმომავლობა (მეგრულად ბაბა ნიშნავს მამას).

**ანაყიზ** < (annaqyz) “დედა ქალიშვილი” (ისტორ. საბუთ., 86). ამ კომპოზიტიში სიტყვაშეერთების I იზაფეტის წესია (იხ. აქვე, გვ. ).

**ყიზია** < (kyzy) “ქალიშვილი” (ქსს, 215), ყიზია ჩვენში მამაკაცის სახელად არის დადასტურებული. ქართულში ამ სახელის ფარდად შეიძლება ჩაეთვალოთ გოგონა (ქსს, 263).

**ებე** < (ebe) “დედა, ბებია, მოხუცი ქალი; ბებიაქალი” (ქსს, 116). ამ სიტყვით თურქულ ენებში აღინიშნება ასაკობრივი სიდიდე, ე.ი. უფროსი და, უფროსი ბიცოლა, დედის უფროსი და და სხვ. ნათესაურ ტერმინოლოგიაში ებეს დართვით ქალი ნათესაეები ემიჯნებიან მამაკაცებს (Сев., III, 221).

<sup>1</sup> Н.К. Дмитриев, Строй тюркских языков, გვ. 524.



**ეკიზა** < (ikiz) “ტიუპი” (ქსს, 120), შდრ. პატრონიმი ეკიზაშვილი, ეკიზაშვილი (მაის., 62). სემანტემა “ტიუპის” მიჩნევა ნათესაობის ტერმინად საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

**ეშა** < (eš) “მეუღლე” (ცოლქმრული წვეილის ერთ-ერთი წვერი), (ქსს, 120, 270). მამაკაცსაც ჰქვია და ქალის სახელიცაა. – ხანდართული სახელები კი – ეშხან, ეშახან, ეშეხან – (ქსს, 270) ქალებს ჰქვიათ. ამის შესახებ იხ. აქვე გვ.

**ეენე** < (יעე) “რძალი” (ძმის ან ბიძის ცოლი), (დღ., 1.184) ქალის სახელია.

**ოლლი** (გვარში: ოლლიშვილი, ოლლიაშვილი) < (ოყს) “მისი ვაჟები” (CKTT, 423); პოსესივის აფიქსდართული ფორმა კუთვნილების სუბიექტის გარეშეა მოცემული. თურქულ ენათათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური რელაციის შედეგად ოლლი < oğlı ნიშნავს “მის ვაჟს”, თუმცა ნაცვალსახელი **მისი** არაა ფონეტიკურად რეალიზებული. ასეთ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია კუთვნილების სუბიექტად ღმერთის ჩათვლა.<sup>1</sup>

**ოლულა** < (ოყს) “ვაჟიშვილი” (გვდღ. 224), ოლულა ხუციშვილი (1450–1/67, 1450–16/165. ამ სახელის ქართული ეტიმონია ვაჟა, ვაჟია, ვაჟიკა, ქსს, 121).

**ყარდაშ** < (qardaş) “ძმა” (Hd-10413). თუ გაეითვალისწინებთ ლექსემის – ძმა – მომდინარეობას ძამა-საგან, ამ ანთროპონიმის საეარაუდო ქართულ შესატყვისად შეიძლება დავასახელოთ **ძაძა** (გვარში: ძამაშვილი).

### ეტიმოლოგიური კვლევა

ენა ეთნიკური კულტურის ყველაზე მდგრადი, ამასთანავე საოცრად მოძრავი და ცვალებადი ნაწილია. სწორედ ამიტომ, რომ ექსტრემალურ პირობებში საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებანი, სულიერი და ნივთიერი კულტურის სიახლენი პირველად ენაში აისახება. ეთნოსი და მისი ენა, ამავდროულად, არამარტო სოციალური კატეგორიაა, არამედ ერთგვარად ბიოლოგიურიც. ამიტომ უცხო ლექსიკური ელემენტების მოჭარბება ენაში ჯერ კიდევ ვერ ცვლის მის ხასიათს.

<sup>1</sup> А. Гафуров, Имя и история, М., 1987, გვ. 36.

ამ ქვეთავეში გამოუქვნილია ქართველურ ანთროპონიმიში დადასტურებული თურქული წარმომავლობის ეთნონიმები.

სიტყვები საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა ენებში „მოგზაურობისას“ კარგავენ კავშირს პირუანდელ მნიშვნელობასთან და იცვლებიან მიმღები ენის ნორმების მიხედვით. ქართული გვარების, ოზბეგაშვილისა და ოზგეგაშვილის, ფუჟეში ძველი თურქული ეთნონის – უზბეკის – ფარდი სიტყვაა ჩაკირული (ოზგეგ- ფუჟეში ხ-გ-ს მეტათეზისით). ზოგჯერ სახელი ისეა სახეშეცვლილი, რომ მისი წყარონის დადგენისას მხოლოდ საეარაუდო მსჯელობაა შესაძლებელი. ეს განსაკუთრებით საკუთარ სახელებს შეეხება, რომელთაც ისედაც იშვიათად ახასიათებთ ასოციაციები და მსესხებულ ენაში ძირითადად მარცვალთა უბრალო შეერთებად აღიქმებიან. ადამიანის საკუთარ სახელთა სიმრავლიდან არ ხდება მხოლოდ ეთნოანთროპონიმთა დესემანტიზაცია.

ადამიანს არქმევდნენ ტომის სახელს და პირუკუ – ტომთა, თემთა, გვართა გაერთიანებებს ეძლეოდა ადამიანის საკუთარი სახელი. ამ უკანასკნელის მაგალითია *ოსმალთა*. სულთანთა დინასტიის დამაარსებლის, ოსმან I-ის სახელი ეწოდა ანატოლიაში დაწინაურებული თურქული ტომების გაერთიანებას (XIII ს.), *ოსმალთა* <*Osmanlu* (-LI წარმომავლობის აფიქსია). ინტერდენტალური ყრუ სპირანტის /θ/-ს შემცველი არაბული საკუთარი სახელი ორი დომინანტური ფორმით გაერცვლდა ამ ბგერის არმქონე ენებში, მაგალითად, თურქულსა და ქართულში ამ თანხმოვნის პირობითად „მეორე კომპონენტით“ – /s/-ით დამკვიდრდა: თურქ. Osman – ქართ. ოსმანი, თურქ. Osmanlu ქართ. ოსმალთა (ქართულის ნიადაგზე ორი სონორიდან ერთი - /n / - დაიკარგა). ხოლო ევროპულ ენებში დომინირებს „პირველი კომპონენტის“ /u/-ს გემინირებული რეფლექსი: გერმ. ottomanisch ‘ოსმალური’, რუს. Оттоманская империя, ფრანგ. Ottomans ‘ოსმალეები’, ინგლ. Ottoman Porte ‘მადალი პორტა, სულთნის კარი’. ინგლისურში ეს თანხმოვანი არის, მაგრამ სახელი შუაღობითი ნასესხობაა. შდრ. აგრეთვე ფრანგ. ottoman და რუს. оттоманка ‘თურქული დივანი’, რაც რუსულ-ქართულ ლექსიკონში ოტომანად, შესაბამისი მკვეთრი ხშულით, არის გადმოტანილი, თუმცაღა დგამის ამ სახეობას საუბრისას ატამანკად იხსენიებენ. მ აპიკალური სპირანტი ქართულში ორგზის გადმოიცა ფშვინიერით: (1) ოსმალური მონეტების აღსანიშნავად XV-XVI საუკუნეების ალაპებში გამოყენებულია *ოთმანური* (=თეთრს ანუ ახნას და ფლურს ანუ ალთუნს); (2) ოთომანიზმი – პოლიტიკური

დოქტრინა ოსმალეთის იმპერიაში. მაშინ ისიც უნდა აღინიშნოს რომ, გერმანულსა და ინგლისურშიც გვაქვს ალტერნატიული, ნაკლებადხმარებული ფორმები: გერმ. *der Osmane* 'ოსმალო', *osmanisch* 'ოსმალური'; ინგლ. *Osmanli* 'ოსმალური'.

მასალის მიხედვით უოგ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეთნონიმური სახელები მიეცემოდათ ანთროპონიმში დასახელებულ ტომთა წარმომადგენლებს.

**არღუნ** < /aryun/. (პ. ინგორ., 147; ქრონიკ., II, 234; ქსს, 75): „დიდი ნონის, ბუღა ჩინგიზ ხანის მომხრეებმა აჰმადა ყაენი საბლით მოაშთეს და ყაენის ტახტზე არღუნი დასვეს“ (ქართლის ცხოვრება, I, 210). არღუნი ეწოდა მონღოლურ-ყირგიზული ურდოს ერთ-ერთ ტომს (Padd., 19, 301). შერვაშიძე არღუნა (ქრონიკ., III, 688, 728); არღუნ კორძიანი (პ. ინგორ., 147). ერთგან სახელი შეგვხვდა არღონ ფორმიტაც (პ. ინგორ., 14). ამ სახელისაგან ნაწარმოებია გვარი არღუნაშვილი (საქ. სიძე, I, 251), რომელიც დღესაც ცოცხალია.

**ბაინდურ** < /bajyndur/. 'ბაინდურის ტომი' (ქრონიკ., III, 702 ; საქ. სიძე, II, 128, 1730 წ.) ერისთავი ბაინდურ (1626-1650 წწ.); ბაინდურა ჯიმითელი თავისი სახელით ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1601 წ.). ეს ეთნონიმი გვაქვს აგრეთვე პატრონიმ ბაინდურაშვილის ფუძეში, რომელიც დღეს მრავალრიცხოვანი გვარია.

ა. სამოილოვიჩი თვლიდა, რომ სიტყვა ეტიმოლოგიურად მონათესავეა ნაჰ, ნაპ-ნაპ, მონღ-მანჯურ. ბაჯან ტომის სახელწოდებისა (bajandur) და ნიშნავს მდიდარს (Cam., 35; Серб., II, 28).

XI საუკუნეში მცირე აზიაში აღმოსავლეთიდან დაიძრა თურქული ტომების ძლიერი ტალღა. ესენი იყვნენ თურქი სელჩუკები, რომელთა ძირითად მასას წარმოადგენდნენ ოღუზები (24 ტომი) და თურქმენები. ამათგან ერთ-ერთი იყო ბაინდურის ტომი. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ბევრი ტომის სახელი შერჩენია გეოგრაფიულ პუნქტებს, სოფლებს, ქალაქის კვარტლებს. მაგალითად, იზმირის ვილაიეთში არის სადაბო ცენტრი ბაინდირი. სელჩუკთა ქრონიკებში იხსენიებიან ბეგები ბაინდურთა ტომიდან. ტომობრივი სახელები ოღუზებსა და თურქმენებს ძალიან ხშირად ანთროპონიმებად აქვთ გამოყენებული. მაგალითად, „დედე ქორქუთში“ არის საკუთარი

სახელები: ავშარ ბეგი (ავშარი ირანში მცხოვრები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი თურქული ეთნოსის სახელია), ბაინდურ ხანი. ყველა ეს ანთროპონიმი ასე თუ ისე დაკავშირებულია ოღუზურ ტომობრივ გაერთიანებათა სახელებთან<sup>1</sup>.

როგორც დამოწმებულ მასალაში ვნახეთ, ქართულში ანთროპონიმად ბაინდური ძირითადად ძველ ქრონიკებში გვხვდება. სავარაუდოა, რომ ბგერათა უმადგენლობის მსგავსების გამო იგი გაიგივებულ იქნა ანთროპონიმ ბალათურ//ბადურ-თან.

ბაშკირი, ბაშკირა < /baškyrt/. ბაშკირი ანთროპონიმად დასტურდება სვანეთში (ღლ. I,84, 55). ამ ეთნონიმის რამდენიმე ეტიმოლოგიური ახსნა არსებობს: ბაშკირი, ბაშკირა < /baškyrt/. ბაშკირი ანთროპონიმად დასტურდება სვანეთში (ქსს, 55, 84). ამ ეთნონიმის რამდენიმე ეტიმოლოგიური ახსნა არსებობს:

1. baš 'თავი'+kurt 'მგელი', baš qurt 'მეთაური მგელი', 'წინამძღოლი', როგორც ბაშკირთა ტოტემი;
2. baš 'თავი, მთავარი' + qurt 'ფუტკარი' > bas qurt 'დედა ფუტკარი'.
3. baš 'თავი; მთავარი' + qurt 'უხუცესი, ტომის მთავარი, აკსაკალი'.
4. baš 'თავი'+ქურტ 'ტომი' > baš qurt 'მთავარი ტომი'.

გარდა ამისა, არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, ოდესღაც ბუხარელი მისიონერები წამოსულან ისლამის გასავერცელებლად. ისინი ორჭოფობდნენ, საით წასულიყვნენ, ვინაიდან ყველგან ურწმუნონი ეგულებოდათ. აქ მოველინათ მათ მგელი და წაიყვანა ისინი ურალის მთებში, სადაც ცხოვრობდნენ ბაშკირთა წარმართი წინაპრები. აქედან მიიღეს მათ სახელწოდება Башкырт ე.ი. მგლის თავი (შდრ. რუსული გვარები Башкиров და Башкирца (Башк., 122).

თათარ < /tatar/. (ქრონიკ. II, 250). თათარ კოჭაერიძე; თათარი ჯალაბაური (ქ. დიალ. 717). ამავე ძირისაა პატრონიმი თათარაძე. გადმოცემით, თათარაძეების ადრინდელი გვარი ქავთარაძე ყოფილა. ერთ-ერთი ქავთარაძე თათრებს მთიულეთიდან გაუტაცინათ. დიდი ხნის შემდეგ ტყვეობიდან თავი დაუხსნია და მცხეთაში დასახლებულა. მის ჩამომავლობას ამის გამო თათარაშვილობა მიუღია (მაის., 71).

<sup>1</sup> Е. Еремеев, Этногенез турок, М., 1971, გვ. 86 -88.

ეთნონიმი თათარი პოლისემიურია. იგი დაუმკვიდრდა იმ თურქული წარმომავლობის ხალხებს, რომლებიც შემდეგ აღწერილად სახელდებოდნენ: ყაზანელი თათრები, ციმბირის თათრები, ასტრახანელი თათრები, ყირიმის თათრები, ლიტვის, პოლონელი, დობრუჯინელი, ბულგარეთის, ნოღაეთის თათრები. ახლახანს გავიცანი ფინელი თათარი. სულ 33(!) მსაზღვრელი ახლავს ამ ეთნონიმის შემცველ სინტაგმებს.

თათარ თურქული ტომის სახელად ჯერ კიდევ VIII საუკუნეშია მოხსენიებული ორხონის წარწერებში.

შესაძლოა, რომ საკუთარი სახელი თათარ სემანტიკურად დაკავშირებული იყოს თურქულ სიტყვასთან *tatar* 'შიკრიკი', 'ელჩი'. ნ. ბასკაკოვი მიუთითებს, რომ რაშიდ ად-დინის მატთანა კრებულში გვხვდება საკუთარი სახელი თათარი; ასე რქმევია ჩინგიზ ხანთან მისულ უიღურელ ელჩს. შესაძლებელია, აღნიშნავს მკვლევარი, რაშიდ ად-დინმა საზოგადო სახელი *tatar* საკუთარ სახელად მიიჩნია.

ნ. ბასკაკოვის მიხედვით, ეთნონიმის შესაძლო ეტიმოლოგიაა: *tat* 'სხვა ტომის წარმომადგენელი' + მრ. რიცხვის აფიქსი: *tat* /<lar/ > *tat* (t)ar.

ეს ეთნონიმი 22(!) ალონიმის სახით დაეაფიქსირეთ ქართველთა სახელად თუ გეართა ფუძეებში : თათარ, თათარა, თათარაი, თათარაიძე, თათარასშვილი, თათარაშვილი, თათარაძე, თათარგიორგის-შვილი, თათარიშვილი, თათარიძე, თათარსაბაშვილი, თათარყანი, თათარხანი, თათარახანი, თათარაყანი, თათარიაშვილი, თათარიშვილი, თათარულაიძე, ნათათარალაშვილი, ნათათარიშვილი, ციხეთარიშვილი, ციხითათარიშვილი...

თურქა < /türk/. (მ. ჯ., 217; მაკალ., ფშ., 147). ამ ეთნონიმიდან ნაწარმოები გეარებია: თურქაძე, თურქია, თურქოშვილი, თურქიშვილი, თურქანაისძე (ღ-1563).

ეტიმოლოგიური პიპოთეზები türk-ის შესახებ მრავლადაა. ერთ-ერთი მათგანია ამ ეთნონიმის წარმოშობა მონღ. *ᠲᠠᠲᠤ* 'გათხოვილი ქალი', ბურიატ. *ᠲᠠᠲᠤ*, მრ.რ. *Türxemuüd* 'ცოლის ნათესავები', 'მზახლები'. აქედან სახელწოდება ხალხისა, რომელიც მონღოლთათვის იყო ახლობელი, მაგრამ არა სისხლით ნათესავი

ტომი, რომელთა წარმომადგენლებთან მონღოლებს უკონდათ ნათესაობა მოყვრის, მძახლის დონეზე (Бак., 75).

თურქი მთელ აღმოსავლეთში გამოიყენებოდა ხასარების, პაჭანიკების, ყიფჩალების აღსანიშნავად ან ამ მომთაბარე ტომების კრებით სახელად და მხოლოდ VII-VIII საუკუნეებიდან შეიძლება გავრცელებულიყო ჩვენში არაბების მეშვეობით.

**თუქლამ** </tuklam/. (სოს., II, 30) „ციხისთაეობა თუქლამ ჭილაძეს უკონდა“. თუქლამ ერთ-ერთი მცირერიცხოვანი თურქული ტომის სახელია ირანში (Бзд. I, 369).

**იურუკი** </juruk/. ‘უეხოსანი’, ‘იანიჩარი’, ‘სწრაფმავალი’. შეგეხვდა გვარში იურუკიძე. თურქულენოვანი ნახევრადმომთაბარე ტომის სახელია.

**ნოლაი** </noyaj/. ქართულ გვარში ნოლაიდელი უნდა იყოს ამ თურქული ტომის სახელი წარმოდგენილი. ჩვენი ცხვარი ნოლაეთის საძოვრებზე ზამთრობდა.

**ოზბუკი, უზბუგი** </özbek/. ოზბუკ იდაძე, შვილი ექვთიმე იდაძისა (XVI ს.), „(ო)ზბუგნი ხუარასანს წამოეჩინდეს“ (ათაბ., 61, 56, 176); ოზბუგის შვილი – იყიდა დუშია ოზბუგის შვილისგან სამი დღის მიწა (1622 წ., დ-6782); ოზბუგა შვილი. იხ. აგრეთვე უზბუკი (პ. ინგორ., 14); უზბუკი იოსელიანი (ქსს., 17); უზბუგი ეთნონიმად გადაიქცა ჩინგის ხანის შვილთა შვილის (მენგი-თემურის შვილი შვილის, რომელიც იყო ბათუს შვილი შვილი, ბათუ კი იყო მეორე შვილი ჯუჩისა და ჩინგის ხანის შვილი შვილი) სახელის მიხედვით. ასეთი ეთნონიმები ტომთა ბელადების სახელების მიხედვით ოქროს ურდოს დაშლის პერიოდში მრავლად წარმოიშვა.

**ოლუზა** </oluz/. გვარში ოლუზა შვილი. IX საუკუნის შუა წლებში ოლუზები შეერივნენ პაჭანიკებს, დაიპყრეს სირ-დარიის შუა წელის მიმდებარე მიწები და არაღისპირეთი. სოგი წყაროს მიხედვით ოლუზები მოდებული იყვნენ დიდ ტერიტორიაზე (სტეპებზე) ვოლგიდან ირტიშამდე, კასპიის ზღვიდან მავერანნაჰრამდე. დღეს ეს თანამედროვე ყაზახეთისა და ყარაყალფაკეთის ტერიტორიაა. უკვე XI საუკუნის შუა წლებში, ორი საუკუნის შემდეგ, ოლუზთა კავშირი დაიშალა ჩრდილოელ მესობელ ყიფჩაღთა შემოტევების შედეგად. აი, ამ წიაღში და არა თურქულ გარემოში იშვა ეთნონიმი თურქმენი, რაც

გვევლინება ზოგადად მუსლიმი თურქის (тюрк) აღმნიშვნელად, შემდეგ იგი მომთაბარე ოღუზებს გულისხმობდა. ბოლოს ოღუზი XII საუკუნის წყაროებშია დაფიქსირებული. სხვა მკვლევართა აზრით ოღუზთა ტომმა სახელი ოღუზ ხანიდან მიიღო. ოღუზები X საუკუნეში მაჰმადიანობის მიღების შემდეგ თურქმენების სახელით ანატოლიაში დასახლდნენ. სელჩუკთა სახელმწიფოს, ოსმალთა იმპერიასა და თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელნი ოღუზთა შთამომავალნი არიან. რაც შეეხება ეპონიმს, ოღუზის მამა იყო ულუთურქი, დედა – გენეი ხათუნი. თქმულების მიხედვით, ახალდაბადებული ოღუზი დედამ დილით კლდეზე დასუა, მისი ამოსვლას დაელოდა. დედამ მზეს შესთხოვა, სახელი მიეც ჩემს ვაჟსო. სამი დღის ბავშვმა Adım Oğuz 'ჩემი სახელი ოღუზიაო', წამოიძახა. რომ გაიზარდა, დიდად ღირსეული ვაჟკაცი შეიქნა, ციდან მოვლენილ ორ ქალიშვილზე დაქორწინდა, მათგან ექვსი ვაჟი მიეცა, რომელთა სახელებია: Gün 'მზე', Ay 'მთვარე', Yıldız 'ვარსკვლავი', Gök 'ცა', Dağ 'მთა', Deniz 'ზღვა'. იგი ოღუზთა ხაკანი გახდა.

უთურგაული, უთურგა, /uturgur/. უთურგური ეთნონიმი, უთურგა – პირის სახელი. ხოლო უთურგა, უთურგაიძე, უთურგაული ფშავსა და ხევში გავრცელებული პატრონიმებია. აუსლაუტში /რ/ /ლ/ ქართულ ნიადაგზეა. ამ ტომის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მწირი ცნობებია. ცნობილია, რომ ძველ ყუბანისპირელ ბულგართა ერთ-ერთი განშტოება, კუთურგურების ტომი, მოსახლეობდა დნეპრისა და დონის დაბლობ ადგილებში. მათი მონათესავე უთურგურები ცხოვრობდნენ ყუბანის განაპირას. კუთურგურები ხშირად ესხმოდნენ თავს თრაკიას. ამით შეწუხებული ბიზანტიელები ძველნი და საჩუქრით აქეზებდნენ უთურგურებს კუთურგურების წინააღმდეგ (Гуь., 115).

ურდო /urd/ (ქსს, 173), რამდენიმე მომთაბარე ტომის კავშირი, ოქროს ურდო. რუს. орда ნიშნავს ხანის კარავს (Гуь., 159). ქართულში ურდო თურქ-მონღოლთა ფეოდალური სახელმწიფოების მმართველის

ადგოლსამყოფელსაც გულისხმობდა.<sup>1</sup> ორღუ ყაზახურში, აზერბაიჯანულსა და ჩალათაურში არმიას აღნიშნავს, მონღოლურსა და უიღურულში - ხანის კარავს. თანამედროვე თურქულში ordu 'ჯარი, არმია'. ამ ეთნონიმის შემცველია პირის სახელები ურდბეგი, ურდუბეგა და გეარები ურდუბეგაშვილი, ურდუბეგისშვილი.

**ურდოელი** < (ordu eli) 'ურდოს ტომი, ხალხი'(გვარში: ურდოელაშვილი) (1449–1171). გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრისეული „ორდული“ შესაძლოა, ურდოდან მოსულს, ურდოელს აღნიშნავდეს. გასათვალისწინებელია აგრეთვე ქალაქ ორდუდან (თურქეთი) წარმომავლობა, მაგრამ ამ ანთროპონიმში ქართული სადაურობის აფიქსდართული ფორმა ხომ არა გვაქვს? ჩინელი, ინდოელი, ურდოელი? ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ რთულ სახელთა ერთ-ერთი აქტიური ელემენტი el 'ტომი, ხალხი' ამ სიტყვის გარდა თხზულ ანთროპონიმებში მუდმივად პირველი კომპონენტია: ელბადური, ელბეგი, ელგუჯა, ელდერი, ელბერი და სხვ.

**ურუმა** < /urum/ 'ბერძენი; რომაელი'. შეგვხვდა გვარში ურუმაშვილი (მაის, 159). ამ წარმომავლობისავე უნდა იყოს კოლხეთში დადასტურებული საკუთარი სახელები : ურუმია და პურუმია (ქსს, 197, 254). ეს ეთნონიმი დადასტურდა თხზულ ანთროპონიმში ურუმბეგ 'ბერძენი ბატონი'.

**ურუმელა** < /urum eli/ 'ბერძენი ხალხი; ბერძნის ტომი'. აქედან წარმოებულა გეარსახელი ურუმელაშვილი.

**ყაზახა** < /k'azax/. (საქ. სიძე. II, 497). ამ სიტყვის ზუსტი წარმოშობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. ყუმუხურში казах ნიშნავს სამხედრო მოსამსახურეს. ქართულში ეს ეთნონიმიც გეარის წარმომქმნელია: ყაზახაშვილი.

<sup>1</sup> ც. აბულაძე, თურქული ლექსიკური მასალა ს.-ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონში, ფილ. მეც. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1964, გვ. 31.



**ყაჯარი** < / k'ajar/. გვარში: ყაჯარიშვილი. თურქული ტომია ირანში. ყაჯართა დინასტიის დამაარსებელია აღა-მამად ხანი. ამ თურქული წარმომავლობის დინასტიამ 1925 წლამდე იარსება.

**ყიფჩაყი** < / k'yɣɕak/. გვარში: ყიფჩაყიძე. (საეკლ. საბ. 33). XIV საუკუნეში ამ გვარსახელის დადასტურება მოულოდნელი არ იქნება, თუ გაეთვალისწინებთ, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებულ ყიფჩადთა 40 000 ოჯახი არსად არ გაბრუნებულა, დარჩა „გაწვევის“ ადგილას.

**ყუმახა** < / k'umyk/. გვარში ყუმახაშვილი (Sd-748). ყუმუხები დაღესტანში მცხოვრები თურქულენოვანი ხალხია, მათი მცირე ნაწილი სახლობს ჩრდილო ოსეთში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში.

**ხაზარა** < /xazar/. ხაზარი უძველესი თურქული ეთნონიმი. ხაზარების წინარე საცხოვრისი კასპიისპირა სტეპები იყო. დღესდღეობით აღნიშნავენ მათ გენეტიკურ კავშირს ჩუვაშებთან.

ეს ეთნონიმი ქართველურ ანთროპონიმიკონში ხუთგზის გამოჩნდა: პირსახელად ხაზარა (ქსს, 241) და გვარებში: ხაზარაშვილი (გაგულ., 95), ხაზარაძე (მაის., 224), ხაზარბეგიშვილი, ხაზარია (მაის., 224).

**ჯაღათა** < /ǰayata/. ჩაღათა საკუთარი სახელია (ქართლ. ცხ., IV, 1099). გვარში **ჯაღათაშვილი** (ნ.ბერძ., 44). პატრონიმის თურქულ ფუძეს ასეთი ისტორია აქვს: ჩაღათა ერქვა ჩინგიზ ხანის მეორე ვაჟს, რომლის საუფლისწულო მამულსაც კასპიის ზღვიდან აღთაის მთებამდე შუა აზიის ჩართვით მისი სახელი ეწოდა – ჩაღათას ულუსი. ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ენა – ჩაღათური – შუა აზიის სალიტერატურო თურქული ენა იყო (ალიშერ ნავოი ამ ენაზე წერდა). ეს ეთნონიმიც ანთროპონიმიდან იშვა.

აეტოენონიმ ქართველისაგან განსხვავებით, რომელსაც რამდენიმე ალოეთნონიმი მოეპოვება – რუსული გრუზინ, სომხური ვრაც, სპარსული გორჯ, არაბული ქურჯ, გერმანული გეორგიერ, ინგლისური ჯორჯიენ, ფრანგული ჟორჟიენ, ბერძნული იბერიკოს და სხვ., აეტოენონიმ თურქს და სხვა თურქული წარმომავლობის ეთნონიმებს იშვიათად ეძებნებათ ალოფორმები: თურქი, ბაშკირი, თათარი, ყაზახი, უზბეკი თუ ყირგიზი სხვადასხვა ენებზე ასევე გამოითქმის.

ქართველურ ანთროპონიმიკონში დამკვიდრებულ თურქიზმებში შეგვხვდა როგორც მაკროეთნონიმები – თურქი, ოღუზი, ყივჩაყი, უზბეგი, თათარი, ყაზახი, ასევე მიკროეთნონიმები – უთურგური, ხაზარი, იურუკი, თუქლამი, ყაჯარი და სხვ.

20 თურქული ეთნონიმის შემცველი აღმონდა 60 ონიმი. ამ გეარსახელთა რაოდენობა გაზრდილია აღმონიმების ხარჯზე.

თურქიზმების ნაწილი გვხვდება როგორც პირის სახელად, ასევე გვარის ფუძეშიც: არღუნ – არღუნაშვილი, ბაინდურ – ბაინდურაშვილი, თათარ – თათარაშვილი, თურქა – თურქაძე, ოზბეგ – ოზბეგაშვილი, უთურგა – უთურგაძე, ხაზარა – ხაზარაძე.

თუქლამ და ბაშკირა მხოლოდ პირთა სახელებად შეგვხვდა.

ხოლო დანარჩენი – იურუკი, ნოლაი, ორდუელი, ოღუზა, ურუმა, ურუმელა, ყაზახა, ყაჯარი, ყივჩაყი, ყუმახა და ჯალათა – ქართველთა გვარებიდან ადვილად „რეკონსტრუირებადი“ თურქული ეთნონიმებია.

#### ტოპონიმოლოგიები

ცნობილია, რომ ანთროპონიმია მჭიდროდაა დაკავშირებული ტოპონიმიასთან. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბევრი ანთროპონიმი ტოპონიმთაგან არის წარმოქმნილი და პირიქით. ეს მოვლენა დადასტურებულია ჩვენს შემთხვევაშიც:

არღუნი < (arun) 'მონღოლთა ტომი' (Pam., 1, 302). (პ. ინგორ. 147). სახელთა ამ ჯგუფში არღუნს ეიხილაეთ მის ქართულ სინამდვილეში მდინარის სახელად დადასტურების გამო. არღუნი გვხვდება პიდრონიმად: მდ. არღუნი ხეესურეთში. ეთნონიმ არღუნზე იხილეთ აქვე, გვ.52; არ არის გამორიცხული ამ პიდრონიმის კავკასიურ ენათაგან წარმოშელობა.

ბესლან < (bej aslan) 'ბატონი ღომი' (ქსს, 88). აქედან გავრცელებული საკუთარი სახელი და ტოპონიმი ოსეთში.

დანგიზი < (teyiz) 'სღვა'. ტოპონიმად გვხვდება სიტყვის ძველი ფორმა „დანგიზი“. ასე ჰქვია იორისა და ალაზნის შესართავთან მდებარე სოფელს.

- ეხისკა** (გვარში: ეხისკელაშვილი) < ( ) ahisxa,<sup>1</sup> „ახალციხე“. ამ პატრონიმის ფუძე ქართული სადაურობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსდართული ოიკონიმ ახალციხის თურქულში დამკვიდრებული ფორმაა.
- იზმირელი** < (izmirli) იზმირში მცხოვრები (ი. მაის. 79) ი. მაისურაძე აღნიშნავს, რომ გეარადქვეული ეს სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა მოდის თურქეთის ქალაქ იზმირის სახელწოდებიდან. დავამატებთ, რომ ამ ქალაქს ერქვა სმირნა. მისი თურქული წარმოთქმის ტრანსფორმია იზმირი (თურქული ენა ვერ გუობს სიტყვის ან მარცვლის თაეში ორ თანხმოვანს და მათ თიშავს (ეკენტეხა) ვიწრო ხმოვნით (i), ან წაუძღვარებს ამ ხმოვანს სიტყვას ან მარცვალს და ახალი მარცვლის წარმოქმნით თავიდან იცილებს თანხმოვანთა შეყრას (პროთეხა). ამ შემთხვევაში სწორედ პროტეული i ხმოვნით გაითიშა (sm), გამკლერდა ანლაუტისეული (s).
- ყარაყუმა** < (k'ara qum) 'შავი ქვიშა'. სახელი სოფელ მულახშია დადასტურებული (ქსს, 139).
- ყიზლარ** < (k'yzlar) ტოპ. ყიზლარი. ქალაქი დაღესტანში, თერგის დელტასთან (Hd-6558). ამ ტოპონიმისაგან ნაწარმოები გეარიც დადასტურდა: ყიზლარაშვილი (Hd-6558, 1739 წ.)
- ყირიმ** < (k'yrym) 'ღრმული', 'თხრილი' (ქსს, 216). ყირიმ დაღესტელიანი (სოს., 194), ყირიმ (ღღ. I, 140). ეს სახელიც სვანეთშია ფიქსირებული (მეტტია). გეარად იქცა სადაურობის აფიქსდართული სიტყვა: ყირიმელი (მაის. 185), აგრეთვე ყირმელაშვილი (მაის. 185), ყირიმელაშვილი (CKTT, 282). შღრ. რუს. პატრონიმი Крымов.
- ჯაღათა** (გვარში: ჯაღათაშვილი) < (џағата) 'საკუთარი სახელი ჩაღათა' (ქართ. ცხ. IV, 1099). პატრონიმის თურქულ ფუძეს ასეთი ისტორია აქვს: ჩაღათა ერქვა ჩინგიზ ხანის მეორე ვაჟს, რომლის საუფლისწულო მამულსაც მისი სახელი ეწოდა (ჩაღათას ულუსი). შუასაუკუნეებში ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ენა - ჩაღათური - შუა აზიის სალიტერატურო თურქული ენა იყო (ალიშერ ნაეოი ან ენაზე წერდა) როდესაც გეხედება ტოპონიმი ადამიანის სახელად, ძნელი დასადგენია, ტოპონიმია ნაანთროპონიმალი, თუ პირიქით, სახელია ნატოპონიმარი. ქართულში

<sup>1</sup> Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, I, Санкт-Петербург, 1871, გვ.18.

სახელად ქცეულ ტოპონიმს სადაურობის სუფიქსი ერთვის, რომლითაც ანთროპონიმი ადვილად ამოსაცნობი ხდება: გორელიშვილი, კახელიშვილი და სხვა. პირიქითი მოვლენაა კაიშაურთა, სეთურები. ჩვენს მასალაში ერთი პიდრონიმი გამოვრია. დანარჩენი სახელების იდენტიფიკაცია ტოპონიმებთან ძნელი არ აღმოჩნდა.

### ხარიზმატული და თეოზორული სახელები

ქველ დროში ადამიანებს სწამდათ, რომ სახელს შეეძლო კეთილი სულების მფარველობის მოპოება და ბოროტ სულთა მოქმედებისაგან მათი დაცვა. ქართველი ტომები ადრიდანვე არქმევდნენ ბაეშეებს სულთა სახელებს. მთაში ახლაც არის შემორჩენილი სახელის დარქმევის უძველესი წესების ნაშთები.<sup>1</sup> ქრისტიანობის გავრცელებამ გამოიწვია კალენდარული სახელების დამკვიდრება, რის შედეგადაც წარმართული სახელები აქა-იქ თუ ამოტიუტივდებოდა. ასევე მოხდა თურქ ტომებში: ისლამის მიღების შემდეგ ბაეშეებს უმეტესად არქმევდნენ მამადიანურ რელიგიასთან დაკავშირებულ სახელებს (წინასწარმეტყველის, მისი ნათესაების, წმინდა დღის ან თვის და სხვა). საკუთრივ თურქული სახელები დაეიწეებას მიეცა. ფრიად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დღემდე შემორჩენილი გადახრები მამადიანური ონომასტიკონიდან ძირითადად ხარიზმატული შინაარსისაა. ამგვარ სახელთა უმრავლესობა დღეს თურქულ ენებში ნაკლებად იხმარება. ისინი შემოგვინახა (აღბათ არა მარტო) ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა, ძველმა დოკუმენტებმა. წყაროებში ამ სახელებმა მუსლიმანურ კანონიკურ სახელებს ვერ გაუწიეს მეტოქეობა.

ხარიზმატულ, ე.ი. ბოროტ სულთაგან დასაცავ, სახელებს მიმართავენ მამადიანურ, როდესაც ოჯახს თავს ატყუებოდა რაიმე უბედურება. ასეთ დროს მუსლიმანის ასრი ინსტინქტურად მიემართებოდა წარსულში და ბედთან ბრძოლაში მხარდაჭერას ისლამამდელ რწმენაში ეძებდა.<sup>2</sup> ეს განსაკუთრებით შესამჩნევია სახელის შერჩევისას იმ ოჯახებში, სადაც ბაეშეები ზედიზედ იხოცებოდნენ. სიცოცხლის შესანარჩუნებლად ახალშობილთ ასეთ სახელებს არქმევდნენ:

გირმიშა < (girmiş) "შე(მო)სულა" შდრ. ქართული გვარის, მოსულიშვილის, ფუჟე (H-1453).

<sup>1</sup> აღ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 26.

<sup>2</sup> Самойлович А.Н., К вопросу о наречении имени у тюркских племен, – "Живая старина", выпуск II, 1911, Санкт-Петербург. გვ. 299.

დურმიში < (durmuş) 'გადარჩენილია' (1148–1087, 1450–5/38). შდრ. აქედან ნაწარმოები პატრონიმი დურმიშიძე (CKTT, 209), ეს ზმნური ანთროპონიმი ორფუჰიან სახელშიც ფუნქციობს: დურმიშხანი (Sd–2298, ქსს, 115) ძველ საბუთებში შეგვხვდება ანთრ. დურმიშაც: დურმიშა გალუაშვილი – მოწმე (1450–5/38, 1619 წ.). დურმიშა დაუთაშვილი (1448–1087).

დურსუნ < (dursun) 'დაე, გადარჩეს, იყოს, იცოცხლოს' (ს. აჭ., 2.10.80), ყაზახურშია Tursun. თურქმენეთში დურსუნს გოგონას არქმევენ, უზბეკებიც არ ერიდებიან ამ სახელს.

კოსუნ < (kosun) 'იყოს', 'დარჩეს' (ქსს, 147).

ბირახა < (birak) 'დატოვე' (სტატ. ცნ., 419).

სათილმიშა < (satılmış) 'გაყიდული' (გედდ, 277); სათილმიშა დოღმაზაშვილი (–763, 764). ამ სახელში ბავშვის ფიქტიური გაყიდვა იგულისხმება, ე.ი. ახალშობილი სხვა პირის კუთვნილება და ბოროტ სულს მასზე ძალა ეკარგება<sup>1</sup> (შდრ. ქართული ნასყიდა), პატრონიმი ნასყიდაშვილი.

გობირუხა (გვარში: გობირუხაშვილი) < (ko birak) 'დადევი, დატოვე'.

სახელთა ამგვარ ხარიზმას ყველა თურქ ხალხთან ეხედებით.

გელდი < (geldi) 'მოვიდა' (გ. ლეონ., ლლ., I, 133). ამ სახელის დარქმევისას მშობლები თითქოს ადასტურებდნენ სასურველი ვაჟის ამ ქვეყნად მოსვლას. თურქმენეთში ვაჟის სიკვდილის შემდეგ ან რამდენიმე ქალიშვილის შექენის შემდეგ შექენილ ბიჭს არქმევენ გელდის.<sup>2</sup>

ეს სახელი გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გვაქვს მისგან ნაწარმოები პატრონიმი გელდიაშვილი. ამავე პირის რუსულში დადასტურებულ პატრონიმს ეხმიანება სვანურში ანთროპონიმად დაფიქსირებული ქელდიშ (პ. ინგორ. 16) თავიკდური (k) თანხმონით. ვფიქრობთ ამ სიტყვაში სარწმუნოებაში მოსულიც იგულისხმება. ნ. ბასაკაოვის მიხედვით<sup>3</sup> ფუძეს keldi ემატება კინობითობის -ჭ- > keldiჭ. ლიტველ თათართა მეტყველებაში keldiჭ – kildiჭ-ს აქვს ასეთი მნიშვნელობა: ის, ვინც მოვიდა საპატარძლოს სახლში.

<sup>1</sup> В.А. Горулевский, К личной ономастике у османцев, – Избранные сочинения, т. IV, გვ. 132.

<sup>2</sup> Туркменский язык, ч. I, Учебник для русских вузов ТССР, Туркмениздат, 1964, გვ. 110–111.

<sup>3</sup> Н.А. Баскаков, Фамилии тюркского происхождения... გვ. 110–111.

**ბათირმაზ** < (batırmaz) 'არ ჩაძირავს' – ნაგულისხმევია, რომ ღმერთი არ გაგწირავს (ქსს, 80).

**დოლმაზ** < (dolmaz) 'აუესებელი, გაუმაძღარი' (გვდდ, 442); გ. ლეონ.; დოლმაზ შანშიაშვილი (1681 წ., Hd-1781); გვარში: დოლმაზასშვილი (1450–9/29; Hd-1777).

**დოღმაზ** < (doğmaz) 'ის, ვინც არ დაიბადება' (ღლ., I, 177); რადგან ეს ანთროპონიმი ქალის სახელია, ვფიქრობთ, რომ აქ მის (ქალის) მშვენიერებაზე იყო მინიშნება (ე.ი. ასეთი ლამაზი არ დაიბადება). მაგრამ სათანადო ლიტერატურის გაცნობაში დაგვარწმუნა, რომ თურქ ტომებში არცთუ დიდი კმაყოფილებით ხედებოდნენ ქალიშვილის შექმნას (ხშირად გოგონებს yeter-ს 'კმარა' არქმევდნენ). ამდენად, ამ მაგალითში მომავალში გოგოს არდაბადების სურვილია გამოხატული.

**ბერდია** < (berdi) 'მომცა' (მაკალ., თუშ., 163); ბერდა (მაკალ. ხევ. 87); ბერდო (ქსს, 87).

რელიგიურ წარმოდგენებთან ბერი საკუთარი სახელია დაკავშირებული, მაგალითად, ქართულში: ღვთისო, ღვთისავარი, უფლისა და სხვა. ადამიანი ღმერთს ანდობდა - სწირავდა - ავედრებდა ახალდაბადებულს. მშობლის თვალსაზრისით ამგვარი სახელდება ბავშვის სიცოცხლის დაცვის ერთგვარი საწინდარი იყო.

ნასესხებ ანთროპონიმებში გვხვდება თურქული თეოფორული სახელებიც:

**თანღრია** < (tanrı) 'ღმერთი' (1449–1556) სიტყვა ძველი ფორმითვეა შემოსული ქართულში, რაც მის დიალექტური გზით სესხებაზე მიუთითებს. ღვთაების აღმნიშვნელი უძველესი თურქული სიტყვა ქართული გვარის მაწარმოებელიც გახდა: თანღრიაშვილი ელიზბარ, გოგიტა (1685 წ., 1450–1/86).

**თანღრიყულა** < (tanrıku) 'ღვთის მონა' (A-1563.772, H-276).

**თარივერდი** < (tanrı verdi) 'ღმერთმა მოგვცა' (1448.226.1).

სხვა თეოფორულ სახელებში არაბულ-სპარსული კომპონენტებია. სინტაგმები 'ღმერთმა მომცა' და 'ღვთის მონა' ღვთაების აღმნიშვნელი არაბულ-სპარსულ-თურქული ლექსემებითაა წარმოდგენილი:

არ.-თ. ალავერდი	} 'ღმერთმა მომცა'	არ.-თ. ალაყული	} 'ღვთის მონა'
სპ.-თ. ხუდავერდი		სპ.-თ. ხურდაყული	
თ. თანრივერდი		თ. თანრიყული	

სულთაგრა < არ.-თ. (sulhtaury) 'მწიდილობა ღმერთი' (გვედ, 132).

ხოსროთანგი < სპ.-თ. (Hosro tary) 'კეთილი ღმერთი' (საეკ. საბ., 11). სხვა დანარჩენი სახელები ლექსემას ღმერთის მნიშვნელობით არ შეიცავენ. ორ ანთროპონიმში დადასტურდა წინასწარმეტყველის სახელი მუსა:

იოხმუსა (გვარში: იოხმუსაშვილი) < (jox musa) 'არა მუსა' (CKTT, 234).

მურსაყულა (გვარში: მურსაყულაშვილი) < (musa kulu) 'მუსას მონა' (1805 წ., დოკ. 11). ამ პატრონიმის ფუძეში ხურდაყულას მსგავსად (r) თანხმოვანი განეითარდა. სავარაუდებელია იესო ქრისტეს თურქული სახელი İsa გვარში ისაშვილი. შდრ. ქრისტესაშვილი. რამდენიმე ანთროპონიმის მნიშვნელობის განხილვისას მიზანშეწონილად ჩაეთვაღეთ მათი განხილვა რელიგიასთან მიმართებაში. ეს სახელებია:

დონმაზ < (dönmez) 'მტკიცე, თავისი გზით მავალი, თავისი რწმენის აღმსრულებელი' (საქ. სიძე., II, 124). დონმაზ გოგობაშვილი (1653 წ., Hd-14664), დონმაზა ბერიკაშვილი (1450-8181). საკითხის დასმის წესით: ხომ არ იგულისხმება აქ გამამაღლიანებული ქრისტიანი, რომელიც პირვანდელ რელიგიას არ დაუბრუნდა? შდრ. პატრონიმი დონმაზაშვილი (თბ., 11.10.1979).

დონდია < (döndü) 'მოიქცა, დაბრუნდა' (1448-2353).

დონდუა < (döndü) 'დაბრუნდა', თურქულ საკუთარ სახელთა ლექსიკონში Döndü ასეა განმარტებული: 1) (ჯერ კიდევ) გაუთხოვარი ქალიშვილი. 2) ის, ვინც სარწმუნოება გამოიცვალა. თურქეთში ეს სიტყვა ქალის სახელად გამოიყენება. შდრ. Döndühatun(გენჩოსმანი, 1975, 80). დონდია საკუთარი სახელია(დლონტი, 1967,114), დონდუა და დუნდუა კი - გვარები. ამ ნასესხობის ორი ვარიანტი გვარის ფუძეშია დაფიქსირებული: დონდიაშვილი(ე.ხ.,29), დონდუაშვილი (ი.ა., 1994, 701). შდრ. ქართული ეტიმოლოგიური პატრონიმი დაბრუნდაშვილი (ქსს, 114).

ყაითმაზ < (qajitmaz) 'არ დაბრუნდება' (გვედ, 23); ყაითმაზა ნარიმანაშვილი (1619 წ., 1450-26/5); ყაითმაზასძე (გვედ, 277). შდრ. გვარი ყაითმაზაშვილი (გეორგ. ტრაქტ., 63). ამ სახელთა მნიშვნელობების სარწმუნოებრივ კონ-

ტექსტში გააზრება შეიძლება არც იყოს სწორი. მხოლოდ ერთ დეტალს წარმოვანიწვინთ: შემოსულ ონიმიაში ბეერი და არაერთნაირია ზმნური (იორიელი) ფორმები, რომელთაც თითქმის ყოველ თურქულ ენაში ეძებნება პარალელები. მხოლოდ დონდუ, დონმას და ყაითმას (თუ არ გათანაბრდება სპ. ყაითამასთან) აღმოჩნდა ანალოგების გარეშე. და ან რატომ უნდა დაძებნილიყო თურქულ ონომასტიკაში ამ შინაარსის სახელი.

რიგ შემთხვევებში გაძნელდა ხარიზმატულისა და ისლამთან დაკავშირებული სახელების ზუსტი გამიჯვნა. მაგ., ანთროპონიმი თაღრივერდი (tanrı verdi) 'ღმერთმა მომცა', ერთი მხრივ, რელიგიასთან არის დაკავშირებული, მეორე მხრივ, შეიძლება ეივარაუდოთ, რომ ამ სახელსაც იყენებდნენ ბოროტ სულთაგან (იქნებოდა ეს შაითანი თუ ბავშვების მომტაცებელი სიკედილის ანგელოზი აზრაილი) თავის დასაცავად. იმანვერდი (iman verdi) 'სარწმუნოებამ მომცა' (ნ. ბერძ., 1, 378), ელბერდი < (el berdi) 'სხვამ მომცა' (ქსს, 117), ალაყული (allah kulu) 'ალაჰის მონა' (Sd-41) – იგულისხმება, რომ ბავშვები ღვთისა თუ რწმენის, ალაჰისა თუ სხვისი ნების გამოვლენაა, და ამიტომ ისინი ბოროტი ძალისაგან შეუუღალნი დარჩებიან. ამდენად, ამგვარი ანთროპონიმები ხარიზმატულადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ზოგიერთი სახელის სემანტიკური ნაირობის განსაზღვრა და ამა თუ იმ ჯგუფისათვის მიკუთვნება დამატებით შესწავლას მოითხოვს.

### ზოოფორული სახელები

ტოტემურ ცხოველთა და, საერთოდ, ცხოველთა სახელების გამოყენება ადამიანთა საკუთარ სახელად ანთროპონიმთა ისტორიის უძველეს ეტაპად წარმოგვიდგება, რომლის კვალი კარგადაა შემონახული უძველეს წერილობით ძეგლებსა და ხალხის წარმართული ყოფის ჩვენამდე მოღწეულ გადმონაშთებში. სწორედ საქართველოს მთაში, სადაც ბეერი ქრისტიანობამდელი წეს-ჩვეულება და რიტუალია დაცული, შემორჩენილია ცხოველთა სახელებისაგან მიღებული ანთროპონიმები: მგელიკა, ძაღლიკა, ვეფხია და სხვ. თურქული წარმომავლობის ანთროპონიმებშიც შეგვხვდა ზოოფორული სახელები, რომელთაგან რამდენიმე საკმაოდ გავრცელებულიც კი იყო ძველ საქართველოში.

არსლანი < ძვ. თ. (arslan) 'ლომი', უძველესი თურქული სახელია.



527 წელს სახაყანოს ტახტზე ავიდა თიბო-ხანი, რომლის ცხოველთა სამყაროსეული საკუთარი სახელი იყო არსლანი.<sup>1</sup> ეტიმოლოგიურად ამ სიტყვაში გამოყოფენ /arsyl/-ს (ინტენსივის ფორმა 'უელსართავისა ar 'წაბლისფერი') და /an/-ს 'მხეცი'.<sup>2</sup> სელჯუკები გამოიწველეს მამაცობისათვის ამ სახელით აჯილდოებდნენ სამხედრო პირებს, რის გამოც არსლანი ერთგვარ უელწოდებადაც იქცა. ამითაც აიხსნება მისი სიხშირე თხზულ ანთროპონიმებში. თამარ მეფის კარზე აქტიური მოღვაწე იყო მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი < (k'utlu arslan) 'ბედნიერი ლომი'. ძველ-თურქული ფორმით ეს სიტყვა 1493 წელს დაფიქსირებულია პატრონიმში არსლანიშეილი (A-1085), შდრ. რუსულ მატრიანებში, ლეგენდებსა და ზღაპრებში დამკვიდრებული Арслан, Еруслян, Руслян.<sup>3</sup> არსლანი დიდი ხნის წინაა ანთროპონიმიზებული თურქებშივე და გეხედება ქალის სახელად. ალფარსლან < ძვ. თ. (alp arslan) 'გმირი ლომი' (ქართლ. ცხ., I, 306). ამ ანთროპონიმის პირველი კომპონენტი alp გეხედება VII საუკუნის ორხონის ერთ-ერთ წარწერისეულ აგრეთვე თხზულ სახელში – (Alp eletmiş).<sup>4</sup> ეგარსლან < (eg arslan) (eg-ის მნიშვნელობა და წარმოშობა გაურკვეველია). ეგარსლან ბაკურციხელი (ნ. მარი, I, 65). მირარსლან < არ-თ. (mir arslan) 'მეთაური ლომი' (გვდდ, 55). ყარაარსლან < ძვ.თ. (qara arslan) 'ძლიერი ლომი' (გვდდ, 365). ვფიქრობთ. კომპოზიტისეული (qara) უნდა ნიშნავდეს არა 'შავს', არამედ 'ძლიერს'. შდრ.: კარახანი (qara+xan) 'ძლიერი ხანი' და არა 'შავი ხანი', ყარაიგითი < (qara iyıyt) 'ძლიერი ვაჟკაცი', ყარა ბეგი 'დიდი ბატონი' და სხვა. ამ სახელის ორი ფონეტიკური ვარიანტიც შეგვხვდა: ყარახლანი (ჟორდ. III, 727) და ყარსლანი (ორივე ჰ ქართულშია ამოვარდნილი) (გვდდ, 130). ყიზარსლანი < ძვ. თ. (qyzyl arslan) 'წითელი ლომი' (პირთა სახ. საქ., 1946). ასლანი < თ. (aslan) 'ლომი' ასლანბეგაანთ ასლანი (1787 წ. 1446. ასლან ვერმიშის ძე (გვდდ, 371), ასლან ყაფლანის ძე (ჟორდ. III, 689; 448.226.1); ასლანა, ასლო (ღლ., I, 49). ამ საკუთარი სახელიდან ნაწარმოები პატრონიმი XVI საუკუნის

<sup>1</sup> Л.Н. Гумилев, Древние тюрки, ... გვ. 281.

<sup>2</sup> А.М. Щербак, Названия домашних и диких животных – Историческое развитие лексики тюркских языков, М. 1961.

<sup>3</sup> Н.А. Баскаков, Русские фамилии тюркского происхождения, М. 1979, გვ. 281.

<sup>4</sup> Л.Н. Гумилев, Древние тюрки, ... გვ. 281.

დასაწეისშია ნახსენები: ასლანისშვილი (1528 წ. 1446, I, 49), ასლანაშვილი მელიქინა (1733 წ., 1451.230), ასლანისშვილი დათუნა (1736 წ. 1449, 111). დღეს ბევრი არიან ასლანისშვილები, ასლანაძეები, ასლანიაშვილები. შდრ. აზ. Асланов, პოლონური Аслановичев.

ასლანი გვხვდება არათურქულ კომპონენტებთან: შაპასლანი, ჯან-ასლანი, ამირასლანი.

ქართულში ამ შინაარსის ლექსემები გვხვდება ანთროპონიმებადაც და პატრონიმთა ფუძეებშიც: ლომა, ლომი, ლომია, ლომია, ლომინა, ლომუა (ქსს, 153–154); ლომია, ლომაშვილი, ლომაძე, ლომია, ლომინაძე, ლომიძე, ლომიტაშვილი, ლომოური. ლომუაშვილი დ სხვ. (მაის., 98).

ბულა < თ.–მონღ. (буя) 'ხარი'. ანთროპონიმად ფიქსირებულია ჯერ კიდევ უიღურთა ძველ იურიდიულ დოკუმენტებში, რაბლუმის „წინასწარმეტყველთა ისტორიაში“.<sup>1</sup> დიალექტებში გვაქვს ხoga (Сев., II, 231). ასევეა ბულგარულშიც. ბულა დღეს ანთროპონიმად აღარ იხმარება. თუმცა ერთი ბულა შეგვხვდა სოფ. ვედიდარში (მარტვილის რაიონი). ბულა დადასტურებული გვაქვს „ქართლის ცხოვრებაში“ (ქართ. ცხ., I, 256). ქართულ გვარს ეს ზოოფორული სახელიც დასდებია საფუძვლად: ბულაძე. ამ სიტყვის შემცველია იასიბულა (Sd–256). შდრ. ქართული სემანტიკური შესატყვისის ფუძე გვარისა ხარაძე. აღბულა < თ.–მონღ. (ay buya) 'თეთრი ხარი' (ჟორდ., III, 233, 293, 298, 302; ო. სოს. I, 119; ქრონიკ. II, 255. აღბულა ვარსამისძე, ნ. ბერძ., III, 391); „მონღოლთა მორჩილებაში მოვიდნენ შანშა ზაქარიას ძე მხარგრძელი, მთავარი ვარამ (გაგელი) და მისი ძენი აღბულა და პასან – მეტსახელით ჯალალ ერისთავი ხაჩენის მხარეთა და სხვანი მრავალნი (მთავარნი) და (მონღოლები)“, (ნ. ბერძ., I, 91). აღბულა ერისთავი რაჭის (ქსმ, II, №1607); აღბულა ფანიასშვილი (1448–63). ლაკუსას ძე აღბულა – შვილი ქავთარ ლაკუსასძისა (1399–1419 წწ., 1448). გვხვდება აბულაც: გურაზა აბულაძე (გედდ, 130). პ. ინგოროყვას მიერ სევანეთში დადასტურებულია ანთროპონიმები აბულვან (პ. ინგოროყვა, 144) და აბულვან (პ. ინგოროყვა, 143). დემურბულა (გვარში: დემურბულაშვილი) < (demur buya) 'რკინის ხარი' (Hd–789). ყარაბულა < თ.–მონღ. (qara buya) 'შავი ხარი' (ათაბ., 273), იხ.

<sup>1</sup> С.Е. Малов, Памятники древнетюркский письменности, М.–Л., 1951, გვ. 374.

პატრონიმი ყარაბულაშეილი (ბასილა), (1800; 1448, 226.III), ყარაბულაშეილები (XIII ს., 1448.226.III). გეარსახელი დასტურდება ამჟამადაც (მაის., 183). *კაბუღა* < (taj buya) ‘კეიცი ხარი’ (იერუსალ., 751), არის ტაიბულეაც (პ. ინგორ., 86).

გონბახი < (kəpek) ‘ძალი’ (პ. ინგორ., 133). გონბაქი ფორმით ეს სიტყვა გურულ დიალექტშიც გვხვდება, ოღონდ არა საკუთარ სახელად.<sup>1</sup>

დონგუზა < ძვ.თ. (donuz) ‘ღორი’ (ქსს, 114) მეტსახელია. ეს ლექსემა შეიდი სახელისა თუ გეარსახელის ძირში შეგვხვდა საღირ-ნუნის განსხვავებული რეფლექსებით: (ი)→(იუ) დონღუზა, გეარში დონღუზაშეილი (ქსს, 114); (ი)→(იგ) დოგუზა (გეარში: დოგუზაშეილი) (CKTT, 203); (ი)→(იგ) დონგუზა (მეტსახელია, ქსს, 114); დონგუზაშეილი (ქსს, 114); (ი)→(ი) დომუზა (გეარში: დომუზაშეილი) (CKTT, 206); (ი)→(ი) დოდუზია ქომიხერდა, ხიბულას მცხოვრები (ქსს, III, №91, 1621 წ.). არის გეარის ფუძეშიც: დოდუზაშეილი (თბსც, 229) და

ქართულში თურქული სიტყვების ინლაუტისეული საღირ-ნუნის შეიდანირად გადმოცემა ამ ლექსემის სხვადასხვა დიალექტებიდან შემოსვლაზე მეტყველებს.

თილქი (გეარში: თილქიაშეილი) < (tilki) ‘მელა’ (Sd-596). შდრ. ქართული გეარი მელაშეილი, მელაძე.

თილღურ < (toyl) ‘მტაცებელი ფრინველი’, ‘შევარდენი’ (მაკალ. 147), ეს სიტყვა საკუთარ სახელად მაჰმუდ ქაშდარელთანაც არის დადასტურებული. ფრადლოვი მას ასე განმარტავს:

1) *Какая-то охотничья птица*; 2) *Собственное имя.*<sup>2</sup> ქართულში გადმოსვლისას თურქული სიტყვის ანლაუტისეული (ti-to)-ს მონაცვლეობა უკვე ვახსენეთ.<sup>3</sup> ფორმაში თოდრულ (ქსს, 132) ინლაუტში მეტათეზისია წყაროების ფორმასთან მიმართებით. შდრ. ქართულში იდენტური შინაარსის ანთროპონიმი შევარდენი (ქსს, 219), და გეარის ფუძე შევარდნაძე.

კუდუზა < (გეარში: კუდუზაშეილი) < (kudux) ‘ჩოჩორი’, ‘კეიცი’ (თბ., 14.10.1983).

<sup>1</sup> ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ. 1973, გვ.

<sup>2</sup> Радлов В. В. Опыт словаря тюркских наречий, III, СПб, 1905, გვ. 1167.

<sup>3</sup> ს. ჯიქია, ერთი ფონეტიკური კანონზომიერების შესახებ ქართულში, – გვ. 6.

ოქუზა < (შკუზ) 'ხარი' (ღლ., I, 174, CKTT 305), მეტსახელია, ძველ საბუთებში არის გვარი ოქუზაშვილი (Hd - 9313). შდრ. ამავე შინაარსის ქართული პატრონიმი ხარაძე.

სონღურა // სონღულა // სონღულ // სუნღულ < songur 'შეგარდენი' (სტატ. ცნობარი, XVIII ს., 159); იაინა სუნღულის ძე (ქორდ. III, 711), სონღულა ბაინღურის ძე (გვდღ, 232), სომღულაც (ბერძ., I, 7) აქ უნდა მოთავსდეს. ამ ლექსემას რამდენიმე გვარის ფუძეში ვხედებით: სონღურაშვილი (თბ., 13.V.1979), სანღულია (ი.გ.), სონღულაშვილი (სოფ. დიდოში, თბ., 07.03.1980) და სონღულია (თბსც, 610).

კუზია (გვარში: კუზიაშვილი) < (kuzu) 'ბატკანი' (თბსც, 375).

ყაფლან < (kaplan) 'ვეფხვი' (ნ. ბერძ., I, 332) ყაფლან ორბელის ძე ბარათაშვილი- ორბელიანი (ქორდ., III, 727) (ქართლ. ცხ., II, 435), ბარათაშვილი პაუნბეგ ყაფლანის ძე (ქორდ., III, 690), ყაფლანა (ნ. ბერძ., I, 13), ნაგომარი, ზუგდიდი, გორი. ეს სახელი ძველ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ჩანს. მისგან გვარიცაა ნაწარმოები - ყაფლანიშვილი. დიდი სულხან-საბა ორბელიანთა საგვარეულოს ყაფლანიშვილთა შტოს წარმომადგენელი იყო.<sup>1</sup> თხზულ ანთროპონიმთაგან ეს ლექსემა ერთში პირველი კომპონენტი: ყაფლანბეგ < (kaplan beg) 'ვეფხვი ბატონი' (1450-15/132) და მეორეში - მეორე: ალიყაფლან ლაინაშვილი (Hd-2246). ქართულში ამ შინაარსის ანთროპონიმიც არის და პატრონიმის ფუძეც: ვეფხია და ვეფხეაძე. სარყაყაფლანი < (sary k'aplan) 'ყვითელი ვეფხვი' (Hd - 235).

ყოჩი (გვარში: ყოჩიშვილი) < (qoç) 'ყოჩი, ვერძი' (მაის., 186). იქვე იხ. ყოჩიაშვილი.

ჯურღა/ჯურხა < ყარაჩ.-ბალყ. (џиrџа) 'ჩორთმავალი ცხენი' (ქსს, 253; ხეეს, მაკალ., 192). ეს სახელი საქართველოს მთაშია გავრცელებული. მისი ფონეტიკური სახე (ე.ი. ჯურღა და არა იორღა) ცხადს ხდის ამ სახელის შეთვისებას ჩრდილოეთ კავკასიის თურქულ ენათაგან.

<sup>1</sup> ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, ნაწკ-4, ტფ., 1938, გვ.67; გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 33.

თურქულენოვანი ხალხების ანთროპონიმულ ფუძეთა აპელატიურ ინვენტარში კიდევ ორმოცდაათამდე სახელია (მხედველობაში გვაქვს ქართველური არეალი). ეს სახელები მნიშვნელობის მიხედვით დაჯგუფდა მიკროელებში.

ა) სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სახელთა ომონიმური ანთროპონიმებია: **ბაშია** < (baş) “(მისი) თავი” (ქსს, 84). შდრ. ქართული შესატყვისის თავა (ქსს, 127). **ბილა** < (biyye) “ულვაში” (ქსს, 90). სიტყვა ბილი ქველში ასეა განმარტებული: განსე გაბზეილი მსხეილი ულვაში (თუმცა მისი თურქული წარმოშობა მითითებული არაა). საკუთარ სახელად გვხვდება აგრეთვე ბილია (ქსს, 90). იხ. იგივე თურქული სიტყვა ქონების –II აფიქსის დართვით.

**გოზია** < (göz) “(მისი) თვალი” (მაკალ., ფშ., 147). შეგვხვდა პატრონიმი გოზაშვილი (1448.226.111). შდრ. ქართული ფარდი “თვალია” (ნ. ბერძ., 11, 205); თვალია (პ. ინგორ., 97). გვარები: “თვალაქე”, “თვალიაშვილი” (მაის., 74).

**გონგლია** < (göngü) “მისი გული” (ქრონიკ., 11, 246). იხ. პატრონიმები გონგლიაშვილი (თბილისი). ძველ საბუთებში გონგლიასშვილი, ნასყიდა (Hd-1636); გონგლიასშვილი-მეკულუხე (1449–1525). ეგვევ სიტყვაა პატრონიმში გონგლაქე (თბ., 7.V.1980); ცხვირისმიერი რთული თანხმოვანი (ე), საღირნუნი, რომელიც ისტორიულად ყველგან დაკარგულია,<sup>1</sup> აქა-იქ თუა შემორჩენილი თურქულის დიალექტებში. ჩვენს შემთხვევაში სწორედ იმ დიალექტთა თუ კილოკავთა გზით აღმოჩნდა ქართულ ანთროპონიმში. სახელთა საღირნუნიანი ფორმები ამ ბგერის ისტორიის არქაულ ეტაპს ასახავს.

**საღრი** (გვარში: საღრიშვილი) < (sağrı) “გავა” (CKTT, 412).

ბ) რამდენიმე სახელი გავეართიანეთ მცენარეულ მიკროელებში:

**ალმა** < (alma) “ვაშლი” (ქსს, 256).

<sup>1</sup> ნ. ჯანაშია, ზემო წალკის თურქული მეტყველების თავისებურებანი. ფილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომი, თბ., 1954, გვ. 40.

**ბუდახა** < (budak) “ტოტი” (გვდდ, 25). აზარა ბუდახასქე (გვდდ, 117); ბუდახა ზაეელის ძე, ბუდახა – დმანისს მცხოვრები, ერგო იოთამ ბარათაშვილს (1537 წ., 1450–11/112). ზურაბ ბუდახასქე (გვდდ, 55). ამ ლექსემის შემცველია გვარები: ბუდახასშვილი (Hd-149123), ბუდახაშვილი (Qd-7017); შდრ. რუსული პატრონიმი Будагов, Бутаков.<sup>1</sup> ბუდახა II კომპონენტია თხზული ანთროპონიმებისა: გულბუდახ < (gül budax) “ვარდის რტი”, ჩხეტისძე (სკ III, 51–52); ყარაბუდახი < (qara budax) “ქლიერი ტოტი” (6. ბერძ., I, 36); ეგვეე ლექსემა გვარში ყარაბუდახიშვილი (1448.226.111). არის ყაბუდალიშვილიც, რომელშიც ყარა სემანტია შეკვეცილი.

**სოგუთი** < (səğüt) “ტირიფი” (ქ. დიად., 719).

**ფუნდუკ** < (fyndyk) “თხილი” (ქსს, 303); გვაქეს ბოლოთანხმოვანმოკვეთილი ფუნდუ (ქსს, 303) და –ია აფიქსით გაქართულებული ფუნდუია (ქსს, 303) (ქალის სახელგებია).

**ქუჭუა** (მეტსახელი) < (kəkü) “ფესვი მისი”. ძველი თურქული სიტყვაა, გვხვდება მაჰმუდ ქაშღარელის ლექსიკონში “ძირის” მნიშვნელობით. ქართულში ნიშნავს გვარს, ჯილაგს. ვხვდება წყეელის ფორმულაში: “თქვენი ქოქი გაწყედეს...” შდრ. პატრონიმები ქოქიაშვილი, ქოქიშვილი, ქოქიაური, ქოქუაშვილი (მაის., 176).

**ჩიჩანა** < (çiçek) “ყვავილი” (ქსს, 309). ქალის სახელია. იხ. პატრონიმი ჩიჩახიშვილი (CKTT, 600). სომხ. Чичакян, რუს. Чичагов. ქართული შესატყვისია “ყვავილა” (ქსს, 306), შდრ. თანამედროვე პატრონიმი ყვავილაშვილი და ძველ საბუთებში დადასტურებული გვარი ყუავილაძე (Hd-14478).

გ) დედამიწის რელიეფის ამსახველი სიტყვებია:

**არღუთა** (გვარში: არღუთაშვილი) < (argyt) “ხეობა”, “ვიწრო გასასვლელი მთებს შორის” (Рад., I, 300). მთავარეპისკოპოსი იოსებ არღუთაშვილი (1797 წ., 1448.226.111, საქ. სიძე. I, 403); იქვე, არღუთაშვილი თაყა.

**დაღა** (გვარში: დაღაშვილი) < (day) “მთა” (თბ., 24.04.1980); დაღლარა < daylar “მთები” (ქსს, III). ეს სიტყვა ანთროპონიმად ორგზისაა დადასტურებული და ამათგან ერთ შემთხვევაში მეტსახელია, რომლის მოტივაცია-

<sup>1</sup> Н.А. Баскаков, Русские фамилии тюркского происхождения, გვ. 54.

მაც. შესაძლოა, არ დაადასტუროს ჩვენი ვარაუდი ანთროპონიმის თურქ. dağlar-იდან მომდინარეობის შესახებ. სიტყვა დალ – პირველი კომპონენტი ორი თხსული სახელისა, რომლის წვერებიც II იზაფეტით არიან დაკავშირებული.

დაღელ (გვარში: დაღელაშვილი) < (day eli) “მთის ხალხი”, “მთიელი” (თბ., 23.V.1980); დაღბაშ < (daybaşy) “მთის წვერი” (პირთა სახ. საძ. 2695).

თენგიზი < (teniz) “ზღვა” (გ. ლეონ.). ერთ ანლაუტი და საღირუნის შესატყვისი ნგ ბგერათკომპლექსი ამ ლექსემის დიდი ხნის წინ სესხებაზე მეტყველებს. ეგვიპე სიტყვა, ოღონდ თანამედროვე ჟღერადობით – “დენიზა” (კომ., 17.11.57) გვაქვს სახელადაც და გვარის ფუძედაც: დენისაშვილი (კომ., 30.XI.67). აღსანიშნავია, რომ *ძველად* შეთვისებული სიტყვა “თენგიზი” დღეს ერთ-ერთი გავრცელებული სახელია საქართველოში.

ტოპრაკ (გვარში: ტოპრაკაშვილი) < (toprak) “მიწა, ხმელეთი” (თბ., 18.XI.63). პატრონიმ ტოპრაკაშვილის ფუძეც ეს სიტყვა უნდა იყოს (მაის., 155).

ყაია < (qajaj) “კლდე” (საქ. სიძე., 11, 122, 269, 1448–2316; ჟორდ. 111, 464, 465, 727). მონღოლურში ეს სიტყვა თურქიზმია. ყაიას შემცველ კომპოზიტზე (ყაიაბეგ-ყაიაბეგაშვილი). იხ. აქვე, გვ.

დ) მასალიდან ამოკერიფთ გარკვეული დანიშნულების საგანთა ომონიმური 15 ანთროპონიმი

ალაჯუყი < (alajyk) “კარაყი” (პ. ინგორ., 125) : ალიჩაყ ბოცოსხე (S-1245, 213-218). (alajyk) საერთო თურქული სიტყვაა, რუსულში алачык სახითაა დამკვიდრებული. <sup>1</sup> ქართულში დასტურდება შუა საუკუნეებიდან. ქართულში ალაჩუყ/ალაჯუყის გარდა, ვხვდებით ალაჩოყსაც.

აღდუზ < (jaldyz) “ვარაყი” (ს. აჭ., 4.1, 1978).

არაბა (გვარში: არაბაშვილი) < (araba) “ურემი”, ოთხთვალა, საზიდარი (მაკალ., ხეგ., 18, 19). არაბა მოხსენიებულია ზარზმის ტაძრის წარწერაშიც. ი. მაისურაძე ამ ფუძეს ცნობილ ეთნონიმს უკავშირებს.<sup>2</sup> ჩვენი აზრით, არაბიდან უნდა მომდინარეობდეს გვარები: არაბიძე, არაბული. ეს ეთნონიმი არაბა ფორმით არ იხმარება. ამიტომაც დაუუკავშირეთ იგი

<sup>1</sup> А.Т. Преображенский, Этимологический словарь русского языка, М., 1959, გვ. 439.

<sup>2</sup> ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 22.

საყოფაცხოვრებო საზიდარს (თურქულში დღეს აეტომობილსაც არაბათი აღნიშნავენ). შ. გაბესკირია ამ ფუძეს ეთნონიმს უკავშირებს.

ბაირალა < (bajrak) “დროშა” (ქსს, 81).

ბალთა < (balta) “ნაჯახი” (პ. ინგორ., 72). ყაზახურ სახელთა უმეტესობა ნააქელატივარია; მათ შორისაა ბალთა.<sup>1</sup>

ბოია < (boja) “საღებავი”, მეღვინე, ფერი” (ქსს, 91). შდრ. ქართულში შესაბამისი სიტყვის შემცველი პატრონიმი ფერაძე.

ბურდუკი < (burduk) “ტიკი, თხის ან ხარის გადაბრუნებული ტყავი” (ქსს, 94); ბურდუკია (ქსს, 94). შდრ. რუსული პატრონიმები: Бурдуков, Бурдюков. ამავე ძირიდანაა სვანეთში დადასტურებული სახელები: ბურდუხანი და ბურთუხანი (პ. ინგორ., 15), ქალის სახელია. შდრ. ქართული პატრონიმი ტიკაძე.

თოფ (გვარში: თოფაძე) < (top) “იარაღი” (CKTT. 526) თოფნი < (topña) მეიარაღე (ქსს, 132), მეზარბაზნე (ქსს, 239) ესეც საერთო თურქული სიტყვაა.

სადალა (გვარში: სადალაშვილი) < (sadayā) “საისრე” (მაის., 141).

ტაგანა (გვარში: ტაგანაშვილი) < (tagana) “ხის ჭურჭელი” (მაის., 152). საერთო თურქული სიტყვაა. ტაგანი ფშავში აღნიშნავს ფერის საწველულ ხის ვედროს. მისი კინობითია ტაგანა... ეს კი მთიულეთსა და ხევში ზურგზე წამოსაკიდებლად წყლის საზიდ კასრს აღნიშნავს. მთიულის ახსნით: „ბატარას ტაგანას ვეძახდით და დიდს – ტაგანს“.

ყაზან < (k'azan) “ქვაბი” (ქართლ. ცხ., 11, 293), ყაზანა (ქსს, 213).

ყანდურ < (k'andyr) დასათრიმლად გამზადებული ტყავი, ნედლი ტყავი. შდრ. ეგვეე ანთროპონიმი ბურიატულში (qandyr), რაც თურქიზმადაა კვალიფიცირებული. <sup>2</sup> გვხვდება თხზული სახელის I წვერად. ყანდურალი თ.–არ. თეოდორე ყანდურალის ძე, ყანდურალის შვილიშვილი, ყანდურალი ყუბადის ძე, ყანდურალი შაჰინ შაჰის ძე, ყანდურალი გოგინასძე (გვდდ, 260, 23, 178, 117, 691). ძველ საბუთებში შეგვხვდა გვარსახელი ყანდურალისშვილი.

ყილიჯი < (k'ylyč) “ხმალი” (ქორდ., 111, 715) : ორდულაშვილი ყილიჯი არსლანის ძე. ეგვეე აქელატივს ასახელებს ნ. ბასკაკოვიც რუსული პატრონიმის

<sup>1</sup> Т. Жанизаков, Казахи, – Системы личных имен у народов мира, М., 1986, გვ. 146.

<sup>2</sup> А.Г. Митрофанова, Бурятская антропонимия, Новосибирск, 1987, გვ. 91.



Коллчв - ის ფუქედ. <sup>1</sup> მამაკაცის ეს საკუთარი სახელი დღესაც ფართოდაა გავრცელებული თურქულენოვან მოსახლეობაში სვანურში დადასტურებულია ყილუჩუქ < (k'ylyč bej) “ხმალი ბატონი” (ქსს, 217). შდრ. ქართული გვარსახელი ხმალაძე.

**ჩიბუხი** (გვარში: ჩიბუხაშვილი) < (čybuχ) “ჩიბუხი” (მაის., 199). საერთო თურქული სიტყვაა, მამულ ქაშღარულთან ნიშნავს წერილ ჯოხს. ი. მაისურაძე ასეთ ცნობას გვაწვდის ამ ფუძის მქონე გვარის შესახებ: „შერქმეული გვარი უნდა იყოს, აღნიშნავდა მკეთებელს (მეჩიბუხეს), ანდა როგორც გადმოცემა გვაუწყებს, მიუთითებდა ყმა გლეხზე, რომელიც ბატონს ჩიბუხს უკიდებდა“.<sup>2</sup> ეს ლექსემა ანლაუტის გამჟღერებელი თანხმონით შუა სეგმენტში გვაქვს ქართულ გვარში ჯანჯიბუხაშვილი (მაის., 241).

**ჩომახი** (გვარში: ჩომახიძე) < (čomak) “ჯოხი, კომბალი” (მაის., 202). ქართული ეტიმოლოგიური პატრონიზია ჯოხაძე.

**ჩახმახა** (გვარში: ჩახმახაშვილი) < (čakmak) “ტალ-კეესი” (CKTT, 586). ც. აბულაძის თვალსაზრისით, ჩახმახი čak-ზმნის საწყისია: „დარტყმისაგან ხმის გამოცემა, ორი საგნის მიხლა“. აქედან უნდა მომდინარეობდეს სუბსტანტური მნიშვნელობა – კეესი.<sup>3</sup> ადამიანთა საკუთარ სახელებად არსად არ გვხვდება თურქული საწყისი, -mak სუფიქსდართული ფორმა. გამონაკლისია ჩახმახი. მაგრამ ამ ფორმის ომონიმია არსებითი სახელი ტალ-კეესის მნიშვნელობით. ეფიქრობთ, ჩახმახი გაეიზაროთ არა როგორც საწყისი თუ მოკმედეგის სხვა სახელი, არამედ როგორც არსებითი სახელი. მითუმეტეს, რომ თავად საბა მას ასე განმარტავს: „ჩახმახი თურქული ენაა, ქართულად მოკეესილი ჰქვიან“.<sup>4</sup>

#### ე) ციურ სხეულთა სახელები

ასტრონომებს ანთროპონიმებად ბევრი ერი იყენებს. მათ შორის ქართველებიც და თურქებიც. შდრ. ქართ. მზევაბუკი, მთვარისა, მზისა.

<sup>1</sup> Н.А. Баскаков, Русские фамилии тюркского... გვ. 91.

<sup>2</sup> ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები... გვ. 199.

<sup>3</sup> ც. აბულაძე, თურქული ლექსიკური მასალა ს.-ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონში, – ვილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1964, გვ. 27.

<sup>4</sup> იხ. იქვე.

თურქულში მნათობთა ომონიმური სახელები უპირატესად მელიორატულია. მზე და მთვარე ფიგურირებს თხზული სახელების სხვადასხვა კვეტიკებში.

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ მნათობთა სახელების შემცველი ანთროპონიმები თურქულენოვან არეალში აღნიშნავენ ბრწყინვალეობას, ძლიერ სინათლეს, შუქმფინარობა-ღიდებას და არა გაღმერთებულ ციურ სხეულებს.

აიგუნა < (aj gün) “მთვარე, მზე” (1448–2319). აიდემური < (aj demur) “მთვარე რკინა” (1449, 11, 1797). აიდემურ ვანაჰე (1448, 226, 111).

აიგული თ.-სპ. < (aj gül) “მთვარე ვარდი” (ბათუმი, თბილისი, შუახხევი).

აიღინ < (ajdyn) “შუქი”, ნათელი (ს. აჭ. 20.1.1978; 20.11.1977). ყირგ. აღთ. თეე. უიდ. айдын “მთვარის ნათელი, სინათლე, მთვარის შუქით განათებული ადგილი” (Сез., 1, 109, Рад., 1, 51).

აიდოღმიში < (ai doymış) “მთვარე შობილა” (1450–10/12, 1608). დადასტურდა ეს სახელი პატრონიმის ფუძედაც : აიდოღმიშისშეილი (Sd–795).

დოღუნგი < ძვ. თ. (tolun) “სავესე მთვარე” (დღ., 1, 74). ძვ. თურქულში (tolun) საკუთარ სახელად დასტურდება (იხ. DC, 573).

ვილდუზი < (jyldyz) “ვარსკვლავი”; არბაქისძე ვილდუზი (ქრონიკ., 11, 457). ანლაუტიხეულ (j)-ს ქართულში ჩაენაცვლა (v) თანხმოვანი.

თულა < თ. - მონღ. (tula) “თანავარსკვლავედი სასწორი” (გედდ, 261; ქსს, 132). თულა ( ) ჩინგის ხანის შვილს ერქვა (Буд., 1, 403). იხ. პატრონიმი თულაშეილი (1448. 126, 1707; 1448. 226. 111, 1630; კომ., 26. 111, 1980; თბ., 14.4.1980).

ე) ახალშობილთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაბედების სურვილი უნდა იყოს გამოხატული ლექსმეგობის – რკინა, ოქრო, ვერცხლი – ომონიმურ ანთროპონიმებში. თურქებში სახელდების ეს სახეობაც – სახელი-სურვილი (დესიდერატივი) დიდადაა გაერცვლებული.

აღთუნა < (altun) “ოქრო” (პ. ინგორ., 118; ნ. ბერპ., 1, 296). ჩვენში ეს სიტყვა ანატოლიური თურქულის დიალექტიბიდან უნდა იყოს შემოსული, რომლებშიც იგი ძველი გახმოვანებითაა შენარჩუნებული. ე.ი. ხმოვანთა პარმონია მხოლოდ რიგისმიერობის მიხედვითაა გატარებული. ეგვე სიტყვა ქალის სახელად დასტურდება ოსურში: „აღთუნი – ოვისის

ქალი, მეფე დავით VI-ის მეუღლე. <sup>1</sup>ოსურში ამავე შინაარსისაა Zxrina “ოქრო”, და ისიც ქალის სახელად გამოიყენება. ქართულში ამ ქრემატიონისა და დაეძახება სემანტიკური შესატყვისი: ოქრო, ოქრუა, არიან ალთუნაშვილები (თბ., I.VII.1980 : 14.III.1980), რომლებიც კოჯორსა და მანგლისში სახლობენ. ოქრუაშვილები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში არიან.

**დემურ** < (demur) “რკინა” (ქრონიკ., 11, 208; ნ. ბერძ., 1, 55; გვდდ., 259). ეს ლექსემაც ანთროპონიმად თანამედროვე თურქული სალიტერატურო ფორმითაც შეგვხვდა: დემირ (თბ., 6.IV.1982). თუმცა ქართულ პატრონიმთა ფუძეებს ეს სახელი ძველი ფორმით შემორჩათ: დემურაშვილი, დემურია, დემურიშვილი; დაეიგულა დემურიშვილი (1448.1-2418.1821 წ.).

**დემურტაში** < (demur taš) “რკინა ქვა” (ტბეთის მატთანე, 11). სიმაგრის აღსანიშნავად ქართულში ეგვეე შესიტყვება შებრუნებული რიგით გვაქვს, ქვა და რკინა – ასე ვამბობთ.

**ვალადემურ** < არ.–თ. (vala demur) “ამაღლებული რკინა” (ჟორდ., 111, 702; ო. სოს., 11, 43; დღ., 1, 78). ვალადემურ წულუკიძე (ქრონიკ., 11, 268).

**თემურ** < (temür) “რკინა” (ნ. ბერძ., 11, 204). დრომ წაშალა თემურ ლენგის უსასტიკესი ლაშქრობების კვალი და პირსისხლიანი მხედართმთავრის სეხნიები საქართველოში დღეს მრავლადაა. აღსანიშნავია, რომ დიდი უმრავლესობა თემურებისა პასპორტით თემურაზები არიან, რაც მათ სახელმდებელთა თურქული თემურის სპარსული თემურაზიდან მომდინარეობაში დარწმუნებულობის შედეგი უნდა იყოს; ამიტომ საგარეოდ „წყარონისეული ფორმაა მიღებული, ხოლო საშინაო, მოსაფერებელ სახელად კი უფრო მოკლე – თემური, რომელმაც –იკო სუფიქსიც უკეთ იგუა – თემურიკო, თემიკო, და ეანო–კაკოლადოს ანალოგი ფორმაც დაიმკვიდრა ქართულში: თემო (ქსს, 130). იხ. აგრეთვე თემოა (ნ. ბერძ., 1, 349), თემუ, თემუია (ქსს, 130), ვფიქრობთ, არკადი გაიდარის მოთხრობის გმირის პოპულარობამაც უთუოდ შეუწყო ხელი ამ ანთროპონიმის გავრცელებას.

<sup>1</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან... გვ. 132.

თემურბეგ < (temur beg) (ქსს, 130). საუკუნეთა მიღმა ფუნქციობს თემური თურქულენოვან ხალხებში ანთროპონიმად. ამიტომ ამ შემთხვევაში თემურბეგის თარგმანი “რკინის ბატონი” კი არ უნდა იყოს, არამედ “თემურ ბატონი”. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ბეგის გამოყენების სიხშირეს მიმართვის შემთხვევებში.

თემირყან < (temür xan) “თემურ ხანი”. ზემოთქმული ამ სახელის თარგმანზეც ვერცელდება.

ჯუმუშა (გვარში: ჯუმუშაძე) < (ჯამაშ || ჯამაშ) ‘ვერცხლი’.

არ მოხერხდა ყველა ანთროპონიმის ამა თუ იმ სემანტიკური ნიშნით გაერთიანება.

### ზ) „ცალეული“ სახელებია:

ბაირამა < (bajram) ‘დღესასწაული, ბაირამ’ (საქ. სიძე, 11, 390); ბაირამა (საქ. სიძე, 11, 147). უ. დენი, ჯ. კლოსონი, ა. კანისტო, ი. გაფაროვი საეტიკოდ არ მიიჩნევენ სიტყვის თურქულ წარმომავლობას. მართლაც, სიტყვის ფიქსაცია მ. ქაშღარელის ლექსიკონში ასუსტებს მისი სპარსული წარმომავლობის ვერსიასა. ე.ვ. სევიორთიანი ბაირამს თურქულად თვლის და გამოყოფს –am/–ым მაწარმოებელ ელემენტებს, ხოლო ფუძე ნაწი-ზმნის ძირიდან მომდინარედ მიაჩნია, რომელიც, თავის მხრივ, ნაწარმოებია ზმნათა მაწარმოებელი –ыр აფიქსის მიერთებით ნაწ-სთან, რაც ხაკასურში ზეიმსა და ქეიფს ნიშნავს (Сев., 1, 35). ქართულში გვაქვს ბაირამიდან ნაწარმოები პატრონიმიც – ბაირამაშვილი (ჩ თთ 52).

ბორჯა (გვარში: ბორჯაშვილი) < (borç) “ვალი” (თბ. 11.XI.1988). თურქულში ამ ლექსემის ბოლოკიდური თანხმოვანი ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვისას ქდერდება → (borç) ბორჯი. ბორჯალი ს.-ს. ორბელიანთან პაემნის ჟამს აღნიშნავს, ხოლო ქართულის დიალექტებში ეს სიტყვა ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. (გურ., იმერ.) მორიგეობის დრო, ჯერი, ვადა; 2. (კახ.) ვალი (ქვბლ), ეგვევ სიტყვაა გვარში ბორჯაძე (თბ., 7.V.1988).

ბუზუკი (გვარში: ბუზუკური) < (buzuk) “ნახევარი”.

ბუჯახი (გვარში: ბუჯახიშვილი) < (buçak) “ადმინისტრაციული დარაიონების ერთეული”.

- დილიმა** (გვარში: დილიმაშვილი) < (dilim) “ნატეხი, ნაგლეჯი” (თბ., 17.XI.1983).  
 ზაქარია დილიმაშვილის ბატონ ერეკლესგან ნასყიდი ნავენახები  
 წყაროსთან (1637 წწ. – ს.ს. №280).
- თუმანა** < (tuman) 1. ათი ათასი, ძალიან ბევრი; 2. 10000-კაციანი ლაშქარი: *თბრძ  
 თყმან ყუ კალყ* “მოვიდა 40000-იანი ჯარი”; 3. “ძალიან დიდი თანხა”  
 (ბერძნული ტალანტის მსგავსი); 4. “მხარე, კუთხე, რომელსაც 40000  
 მეომრის გამოყვანა შეუძლია”; 5. (იაღ) “ქალაქი, რომელსაც 100 სოფელი  
 ექვემდებარებოდა” (PDAI., III, 1602), (6. ბერძ., 1, 70). შდრ. პატრონიმი  
 თუმანიშვილი, სომხ. Туманян.
- იანქო** < (janky) janku ← ქე. თ. (jany) (DC, 233). (Буд., 11, 343), “ექო, გამოძახილი”  
 (ქსს, 133). პატრონი იანქოსგან ღმერთი განრისხდა (ათაბ., 42, 61); ათაბა-  
 გი იანქო (ქრონიკ., 11, 293, 299, 322, 707); საგინაშვილი იანქო (1448, 1-  
 2415, 1619 წ.). იანქო და შერმაზან აბაშიძეები (ო. სოს., 1, 154). ეს ძველი  
 თურქული ნასესხობა შემოგვინახა გვარსახელ იანქოშვილის (თბ.,  
 5.VII.1967) ფუძეში.
- იასაკ** < (jasak) “აკრძალვა” (6. ბერძ., 11, 124; ღლ. 1, 87); თ.-მონღ. *яса, ясак, yasa,*  
*yasaq* ← *yasaq* ← *jasaq/qasaq* “აკრძალვა, კანონი”, “მეფის ბრძანება”, “სას-  
 ჯელი”, “მთავრობა” (Doerf., IV, 75); უაზახ. *qasaq*, მონღ. *qasahu*.<sup>1</sup> აქედანვეა  
 ნაწარმოები პატრონიმი იასალაშვილი (გლდანი, თბ., 1, 3, 1980; თბ., 8, 1,  
 1980)
- იასამა** < (jasam) “კანონმდებლობა, კანონების გამოცემა” (ღლ., 1, 87); (Doerf., IV,  
 92).
- იადი** < (jary) “მტერი, მოწინააღმდეგე” (საქ. სიძე., 11, 518; ღლ., 1, 87)-
- საიჯი** < (sajcy) “პატივისცემა” (მაკალ., თუშ., 16 153. ღლ. 1, 184). თურქულში იხმა-  
 რება პატრონიმად.
- ტოკლიკი** (მეტსახელი) < (tokluk) “სიმაძღრე” (მაის., ღლ. 1, 184) იხ. გვარში  
 ტოკლიკაშვილი (მაის., 54).
- ყორღანა** < (k'urgan) “ყორღანი”; “ციხე-სიმაღრე, ციხე” (საისტორიო მასალები,  
 103). გვარის ფუძეცაა: ყორღანაშვილი (ი.ა., 737).

<sup>1</sup> Н.К. Дмитриев, Глоссарий тюркизмов в русских арг., – Строй тюркских языков... გვ.501.

ქართველურ ანთროპონიმთაგან თურქული ლექსემების შემცველია 525 გეარსახელი. ეს არამც და არამც არ ნიშნავს ამ პატრონიმებით პირველად სახელდებულთა თურქულ წარმომავლობას, რადგან ამ გეართა დიდი უმრავლესობის ეპონიმებს მეტსახელად ერქმეოდათ თურქული სიტყვები ამა თუ იმ ნიშანთვისების აღსანიშნავად. ასეა ჩოლაყა—ცალხელა, ქუჩუკა—პატარა, უსუნა—გრძელი და სხვ. და სხვ.

ოთხასზე მეტ ანთროპოლექსემაშია თურქიზმები (იხ. ქართველურ ანთროპონიმოკონში დამკვიდრებული თურქიზმების ლექსიკონი). თურქულ ელემენტის შემცველ ქართველურ პირსახელთა და გეარსახელთა საძიებელში კი 1225 ერთეულია აღნუსხული. ანთროპონიმთა თავმოყრა განაპირობა ორმა ფაქტორმა. ერთი, ლექსიკონში არაბულ-თურქული და სპარსულ-თურქული თხზული სახელები არ შევიდა; ოდენ თურქიზმების შემცველი ანთროპონიმებია თარგმნილი. საძიებელში კი დაფიქსირდა გეარი ციხითათრიშვილიც. მეორე, რაოდენობა გაზრდილია ალონიმების არსებობის გამო. მაგ., თურქული პირის სახელი ააშარ ლექსიკონში ორგზის გვხვდება: თათარ და თათარხან; ხოლო თურქული ლექსემების შემცველ ანთროპონიმთა საძიებელში ამ ეთნონიმის შემცველი 22 ერთეულია: თათარა, თათარაი, თათარაიძე, თათარასშვილი, თათარაშვილი, თათარაძე, თათარგიორგიშვილი, თათარიშვილი, თათარიძე, თათარსაბაშვილი, თათარყანი, თათარხანი, თათარახანი, თათარაყანი, თათრიაშვილი, თათრიშვილი, თათრულაიძე, ნათათრალაშვილი, ნათათრეიშვილი, ნათათრიშვილი, ციხითათრიშვილი, ციხეთარიშვილი...

საკუთარი სახელის ეტიმოლოგია ტერმინალურად იმ აპელატივის განსაზღვრა გამოდის, რომლის ბაზაზეც წარმოიშვა ანთროპონიმი. ამ კუთხით თურქული აპელატივების ის კორპუსი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენში პირის სახელებს, მზა ანთროპონიმებია, რადგან ქართველისათვის თურქული სახელები არ სემანტიზირდება. უცხო, გაუგებარი ლექსემების შემცველი სახელები ეტიმოლოგიურ საწყისთან დაშორების გამო ფონეტიკურად მეტად კოროზირდება. თურქულ ლექსემათა ფონეტიკურ-ფონოლოგიური დახასიათება არ აღმოჩნდა ყველა მაგალითის მომცველი და ამის გამო ბგერითი მოვლენები გზადაგზაა მიმოხილული.

თურქიზმების ნაწილი გვხვდება როგორც პირის სახელად, ასევე პატრონიმის ფუძეშიც. ასეთია 105 ერთეული:

აბაღა-აბაღაშვილი  
ადიბეგა-ადიბეგაშვილი  
აეჯი-აეჯიშვილი  
ათა-ათაშვილი  
ათაბეგა-ათაბეგაშვილი  
აიგუნ-აიგუნაშვილი  
ალადაღ-ალადაღაშვილი  
ალთუნა-ალთუნაშვილი  
აიდოღმიშ-აიდოღმიშაშვილი  
ასლან-ასლანიძე  
არღუნ-არღუნაშვილი  
აღა-აღაშვილი  
აღასი-აღასიაშვილი  
აჯია-აჯიაშვილი  
ბაბა-ბაბაშვილი  
ბადურ-ბადურაშვილი  
ბეგი-ბეგიშვილი  
ბაუნდურ-ბაინდურაშვილი  
ბალაბანი-ბალაბანიშვილი  
ბაირამა-ბაირამაშვილი  
ბაისოღულ-ბაისოღულაშვილი  
ბაღა-ბაღაშვილი  
ბეგთაბეგი-ბეგთაბეგიშვილი  
ბეგვერდა-ბეგვერდიშვილი  
ბეგლარ-ბეგლარიშვილი  
ბეგლიკ-ბეგლიკიშვილი  
ბეგუნ-ბეგუნიშვილი  
ბერდია-ბერდიაშვილი  
ბიღია-ბიღიაშვილი  
ბიჯია-ბიჯიაშვილი  
ბუდახა-ბუდახაშვილი  
ბუზუქა-ბუზუქაშვილი

ბულა-ბულაძე  
ბუჩუქა-ბუჩუქური  
გოსაღა-გოსაღიშვილი  
გონგლია-გონგლიაშვილი  
დანგა-დანგაძე  
დემური-დემურიშვილი  
დემური-დემურიშვილი  
დენიზა-დენიზაშვილი  
დოღენჯი-დოღენჯიშვილი  
დონღუზა-დონღუზაშვილი  
დურმიშ-დურმიშიძე  
დურმიშხან-დურმიშხანაშვილი  
ელბეგი-ელბეგიშვილი  
ელღუქა-ელღუჯაური  
თათარა-თათარაიძე  
თანღრია-თანღრიაშვილი  
თანრიყულა-თანრიტულაშვილი  
თარხან-თარხანიშვილი  
თექა-თექაძე  
თოფნია-თოფნიაშვილი  
თულა-თულაშვილი  
თუმანი-თუმანიშვილი  
იაღღუზ-იაღღუზისძე  
იანქო-იანქოშვილი  
იარაღი-იარაღიშვილი  
იასაღ-იასაღაშვილი  
ინაღი-ინაღიშვილი  
კორკმაზა-კორკმაზაშვილი  
ოზა-ოზაშვილი  
ოზბეგა-ოზბეგაშვილი  
ოზგება-ოზგებაშვილი  
ოთარი-ოთარაშვილი

ოქუსა-ოქუსაშვილი  
 სარიბეგა-სარიბეგაშვილი  
 საღირა-საღირაშვილი  
 სოღალა-სოღალაშვილი  
 სონღულ-სონღულია  
 უზბაში-უზბაშიშვილი  
 უსუნა-უსუნაშვილი  
 უთურგურ-უთურგაური  
 ულუბეგა-ულუბეგაშვილი  
 ურდობეგა-ურდობეგაშვილი  
 ურუმა-ურუმაშვილი  
 ურუმბეგ-ურუმბეგაშვილი  
 ურქმაზა-ურქმაზაშვილი  
 ქოროღლი-ქოროღლიშვილი  
 ქოქია-ქოქიაშვილი  
 ქუსუბაბა-ქუსუბაბაშვილი  
 ქუნიუკი-ქუნიუკიშვილი  
 ყაზახა-ყაზახაშვილი  
 ყაიბეგა-ყაიბეგაშვილი  
 ყარა-ყარაშვილი

ყარაბუღდალ-ყარაბუღდალშვილი  
 ყარაბულა-ყარაბულაშვილი  
 ყარაგოსა-ყარაგოსაშვილი  
 ყარაულა-ყარაულაშვილი  
 ყარახანა-ყარახანაშვილი  
 ყარაჯა-ყარაჯაშვილი  
 ყაფღან-ყაფღანიშვილი  
 ყიზილა-ყიზილაშვილი  
 ყიზლარა-ყიზლარაშვილი  
 ყირმიზა-ყირმიზაშვილი  
 ყორღანა-ყორღანაშვილი  
 ყორინიზა-ყორინიზაშვილი  
 ყონია-ყონიაშვილი  
 ყულა-ყულაშვილი  
 შიშმანა-შიშმანაშვილი  
 ჩოლაყა-ჩოლაყაშვილი  
 ხაზარა-ხაზარაძე  
 ჯიბლა-ჯიბლაშვილი  
 ჯილა-ჯილაური

მხოლოდ პირის სახელად ფუნქციობს 115 სიტყვა:

ადიდემურ	აღბულა	ბაშია
ადიმხან	ბაბახანა	ბაშკირა
ათამა	ბათირმაზი	ბაშქა
ათჯი	ბაითამი	ბეგსოღლთან
აიდემურ	ბაირაღა	ბურდუხან
აიღინ	აღთინბეშა	ბესლან
აიდოღმიშ	აღთუმეშარ	ბითემირ
აღაჯა	ბაისაღურ	ბიღმიშ
აღაჯუყ	ბაღთა	ბირახა
ანაყიზ	ბაღნი	ბირდუ
აღავერდა	ბაიბი	ბოია



ბურღუკი	თუქლამ	ქერეკემეზ
გაფნი	იალა	ქერექ
ბევესა	იელბერღუყ	ქესკინა
ბენჯელა	იუზევერდი	ქიშია
გირგელდი	კოსუნ	ყაზანა
გირდია	ლაჩინა	ყაია
გირმიშა	ორღული	ყარადალა
გოსია	ოღლანი	ყარაიგით
გურჯიბეგ	ოღულ	ყარაოღლან
ღელია	სათილმიშა	ყარაარსლან
ღელიყარდაშ	საიგი	ყარაყუმ
ღელიყული	სარიყაფულან	ყარდაშ
ღერმიზა	სოგუთ	ყაფლანბეგ
ღოლუბეგი	სოუხა	ყაჩალა
ღოლუნგი	სუბაი	ყიზარსლან
ებე	ტაიბულა	ყიზილბაქ
ელაღმაზ	ტაშევერდა	ყიზია
ელბერდი	ტაშლიგოღლა	ყილიჯი
ელჯი	უთანმაზ	ყირიმ
ვერდი	ულუ	ყუთღუარსლანი
თათლიხან	ულუხან	ყულარაღასი
თაღრივერდი	ურუმია	ყულუხინი
თემირბეგ	ულუზა	შუქია
თენგიზ	ულურღუ	ხაკან
თექთურმაზ	ფუნღუკი	ხანვერდი
თოღღურ	ქელეშბეი	ხანუმი

110 სახელი რეკონსტრუირებულია შემდეგი გვარებიდან:

აიდარაშვილი	არხინაშვილი	ბორჩაშვილი
აივაზაშვილი	აღმურაშვილი	ბოლაქე
აღულიშვილი	აღნაუშასშვილი	ბუიღლიშვილი
არაბაჯი	აჯიბეგაშვილი	ბურნუსუსაშვილი
არღუთაშვილი	ბიკაშვილი	ბურღაშვილი

ბურღულიშვილი	კომპურჯიშვილი	ქონაკია
გიურჯაშვილი	კულუხაშვილი	ქურქინიშვილი
დარაბეგაშვილი	კულალაშვილი	ყაზანჯიშვილი
დალაშვილი	კულუხაძე	ყაუხინიშვილი
დალბაშიშვილი	ლაბაძე	ყაჯრიშვილი
დაღელიშვილი	ოღლიშვილი	ყეინია
დემირბულაშვილი	პარმახისიაშვილი	ყიეაყიძე
დილიმაშვილი	სადღიშვილი	ყირიმლიშვილი
დოგრაშვილი	სარიშვილი	ყირქესალიშვილი
დოლუაშვილი	სარუხანაშვილი	ყუთლუაშვილი
დოღმაშაშვილი	საღრიშვილი	ყოლბაია
ელდემურაშვილი	სურმაეა	ყუთლუაშვილი
ელნიბეგაშვილი	ტაგანაშვილი	ყულეიჯიშვილი
ერკენაშვილი	ტოკლიკიშვილი	ყუმახაშვილი
ეფენდიშვილი	ტოპლიაშვილი	ჩახმახაძე
თილქიაშვილი	ტოპრაკაშვილი	ჩიბუხაშვილი
თოფაძე	ულარჯიშვილი	ჩირქინაშვილი
თოქმაჯიშვილი	ურდოელაშვილი	ჩომახია
თუმანბეგიშვილი	ფაფაზაშვილი	ხაზარბეგიშვილი
იგიტხანაშვილი	ფაფახინიშვილი	ხუთლუბელაშვილი
იგიტა	ქერქეზლიშვილი	ჯარიაშვილი
იურუკიძე	ქილარჯიშვილი	ჯარჯიშვილი
კალაიჯიშვილი	ქოქრაშვილი	ჯაღათაშვილი

**ბაქართულებული ნასესხობანი**

ქართულში თურქული ანთროპონიმების დამკვიდრების თვალსაზრისით უნდა გაირჩეს ორი დონე: I. როცა შემოდის საზოგადო სახელი და ქართველი მისგან აწარმოებს მეტსახელს: ჩიბუხ-ა, უზუნ-ა, თურქ-ა და სხვ. ნასესხებ სახელთა დიდი უმრავლესობა ქართულში ამ მაანთროპონიმებელი -ა სუფიქსითაა ადაპტირებული.

II. ნასესხები საკუთარი სახელის შინაარსი ქართველმა უპირატესად არ იცის. სავარაუდოა, რომ ასეთ შემთხვევებში იგი არ იყენებს

მანთროპონიშებულ ა-სუფიქსს, ანუ არ ითავისებს ნასესხებ სიტყვას. შდრ. აეჯი, ბალთა, დაღბაში, ვერდი და სხე.

ქართულ გვარსახელებს ერთეის სადერივაციო ფუნქციით აღჭურვილი ფუძე-ფორმანტები: -შილი, -ძე, საგვაროენო აფიქსები -ური, -ანი, და -(ი)ა.

პატრონიშები უკეე ათეულ თაობათა განმავლობაში დამკვიდრებულ ალოფორ-მათაგან წარმოადგენენ დღევანდელ სიტუაციას. ხოლო ქეელი დოკუმენტებიდან ამოკრებილი მასალა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გეინვენებს ქართული გვარების ჯერ სანიან ვარიანტებს, ე.ი. როცა მსაზღვრელ წვერთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენახულია, რაც მამაშიელობას გამოხატაეს და გვარსახელის წარმოშობის პირველი საფეხურია, და მერე – უსანო ვარიანტებს. შდრ: ასლანის-შიელი და ასლანიშიელი და სხვა მრავალი. განხილული მასალა გვართა წარმოქმნის პროცესზე უშუალო დაკვირვების საშუალებას იძლევა და ისტორიული ანთროპონიმიკონის შესასწავლად აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ბან- ლექსემის შემცველ ქალთა სახელებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ქართველი ქალის სახელად მხოლოდ ორიოდ თურქული ანთროპონიმი დადასტურ-და. თუმცა მხედველობაშია მისაღები შემდეგი ფაქტი: დაეთრის ტიპის დოკუმენტში ქალი არ ფიქსირდებოდა.

თურქული წარმომავლობის ანთროპონიშთაგან ქართულ ონიმიას გვარებში სამუდამოდ დამკვიდრებული თურქული ლექსემების გვერდით სახელთაგან დღეს თითქმის მხოლოდ თემური, თენგიზი, ასლანი და ხათუნა შერჩა. ათასზე მეტი სახელისა და გვარის ფუძე წარსული ეითარების უშუალო მაცნედ წარმოინდა, რადგან მათ ქართულ ყოფაში არსებობას რეალური ისტორიული ეითარება განსაზღვრავდა.

ნასესხებ ანთროპონიშთა მატარებლების სოციალური მდგომარეობა ვერ აისახა. მხოლოდ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დესემანტიზირებული თურქული სახელები ერქმეოდათ როგორც დაბალი (იგულისხმება ნასყიდობის საბუთების მონაწილენი), ასევე მაღალი ფენის (მხედველობაშია თავად-აზნაურთა აღწერის მასალები) წარმომადგენლებს.

შესაძლებლობის ფარგლებში მხოლოდ ის თურქულძირიანი სახელები იქნა მოიქებული, რომლებიც ქართველებს ერქვათ. ასე, მაგალითად, აღამირა და აღაჯანა ხმარების ყველა შემთხვევაში სომხების სახელებად დადასტურდა. ამიტომ ეს სახელები არ განხილულა. მაგრამ გეხედება პატრონიშები: აღამირასშიელი და აღაჯანასშიელი. ქართულ გვართათვის დამახასიათებელი -შიელი და -ძე ამ

საქმეში ყოველთვის საიმედო დასაყრდენი არ გამოდგა: ისინი ფუნქციობდნენ არაერთი ასატურას თუ ოსეფას თანმხლებ პატრონიმში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სომხურ ანთროპონიმიკონში, განსაკუთრებით პატრონიმებში, უამრავი თურქული ლექსემაა.

რამდენიმე სიტყვის თურქული წარმომავლობის მტკიცება გაჭირდა ქართული გეარის არსებობის ხანგრძლივობის დაუდგენლად ან ეპონიმის ცხოვრების წლების არცოდნის გამო. მაგ.: პატრონიმი მამაიაშვილი შეიძლება შეიცავდეს თურქულსა და მონღოლურენოვან მოსახლეობაში უაღრესად გავრცელებულ პირის სახელს მამაის (შდრ. ტოპონიმი მამაის ყორღანი). ამავე დროს სავარაუდოა ამ გეარის ფუძის ქართველური ძირიდან მომდინარეობაც.

ნასესხობის ბადალი პირის სახელი ქართულში უმრავლეს შემთხვევაში ფუნქციობს (ნაშრომში მითითებულია სემანტიკური შესატყვისები). არამონათესავე ორი ხალხის სახელდებით ხატებში ანთროპონიმული აზროვნების ერთგვარი პარალელიზმია – ეთნოანთროპონიმები ენათა ორივე ჯგუფშია; თეოფორულია Tannkulu და უფლისა; გეხედება ოქრუა და Altin, Çiçek და ყვავილა; ზოოფორული სახელები ქართველურ ენებშიც არის (მგელიკა, ჯოლორია, ვეფხია) და თურქულშიც (Aslan, Kaplan, Tolgur) და სხვ. და სხვ. ამის საფუძველზე ინდუცირდა უნივერსალური ტენდენციების ვარაუდი. კონტაქტის მქონე ქართველური და თურქული ენებისათვის საერთო თვისებრიობის თანაკვეთა არეალურადაც გამართლებულია და საკმაოცაა. მაგრამ შედარებისას ფაქტები მაინც ორ ობიექტზე დაიყვანება. უნივერსალიის ფორმულირებისათვის კი მხოლოდ ორი ჯგუფის ენათა მასალის შედარება არ არის საკმარისი. ამიტომ პირის სახელებისა და გვართა ფუძეებში დაფიქსირებული სემები შემოწმდა ასამდე ეთნოსის პირის სახელებზე. შედარებისას დავეყრდენით იმ ანთროპონიმულ მოდელებს, რომლებიც მოცემულია მსოფლიოს ხალხების საკუთარ სახელთა სისტემების ამსახველ ნაშრომში – Системы личных имен народов мира. М., 1989.

ენებში განვითარების ამა თუ იმ ისტორიული ეტაპის გაგლისას აღმოჩნდა ადამიანის სახელთა თითქმის იდენტური ელემები. სახელდების ტიპოლოგიურობა აიხსნება ექსტრალინგვისტური ფაქტების აღქმის სტერეოტიპურობით, რაც ონომასტიკური ტენდენციების ანალოგიურობის ფონზე საფუძვლად დაედო უნივერსალიების ფორმულირებას.

საენათმეცნიერო დისციპლინების დესკრიფციული, შედარებით-ისტორიული, შედარებით-ტიპოლოგიური და არეალური კვლევის მეთოდები ონომასტიკაშიც გამოიყენება. ამათგან საკუთარ სახელთა ტიპოლოგიურ შესწავლას თეორიულ ონომასტიკაში მნიშვნელოვანი ნაშრომები მიეძღვნა<sup>1</sup>.

სამეცნიერო-კვლევითი მეთოდი გულისხმობს თეორიისა და კვლევის ხერხების კომპლექსს, რაც განსაზღვრულია ამ მეთოდის ლინგვისტური საფუძველითა და ტექნიკურ პროცედურათა წყებით.

<sup>1</sup> Теория и методика ономастических исследований. М., 1989; А.В. Супранская. Общая теория имени собственного. М., 1969; В.А. Никонов, Имя и общество, М., 1974.

ანალოგიური მოვლენების კლასიფიკაციისას როგორც მონათესავე, ისე არა-მონათესავე ენების ანთროპონიმთა ჩამონათვალს ერთმანეთს უდარებენ. ის კრიტერიუმები, რომლებიც ენათა ტიპოლოგიური შესწავლისას ტრადიციულ ენათმეცნიერებაშია შემუშავებული, ერთმანეთს სრულად არ თანხვდება. ანთროპონიმული უნივერსალიები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ზოგად-ენობრივს, ენაიდან ონიმები სპეციფიკურ ლექსიკას განეკუთვნება.

ანალოგიური ველების არსებობას ადასტურებს სხვადასხვა ჯგუფების ენათა მონაცემები. აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ანთროპონიმთა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთი და იმავე უნივერსალური თემის სახეობები, ხოლო განსხვავებები ენათა ვარიანტებში ტიპოლოგიური ხასიათისაა. სწორედ ინდივიდების ნომინაციის პრინციპებისა და ევოლუციის გზის ერთიანობის გამო შესაძლებელი გახდა ანთროპონიმული უნივერსალიების პოსტულირება.

საკუთარ სახელთა შინაარსობრივი სტრუქტურირების განზოგადებისა და პროპრიალური მოდელების მიყენებით გამოიკვეთა ხუთი ექსტრალინგვისტური და სამი ლინგვისტური უნივერსალია. ჩაწერის არასიმბოლური ფორმის მიუხედავად მარტივი, ტრივიალური, დიაქრონიული უნივერსალიებით წარმონდება როგორც ანთროპონიმთა სპეციფიკა – ინდივიდის აღნიშვნა (ეს, ფაქტობრივად, ონიმთა გნოსეოლოგიური საწყისია), ასევე საკუთარ სახელთა ლინგვისტური თვისებები.

*უნივერსალია 1. ყველა ხალხის ანთროპონიმთა დესკრიპტივები – აღწერითი სახელები.*

ადამიანის სახელდება ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ანთროპონიმზაციის ადრეული ეტაპია. ფიზიკური აღნაგობის, სიმაღლის, თმის ფერის, ადამიანის ქაბიტუალური ნაკლისა თუ ღირსების აღმნიშვნელი არაერთი სიტყვა ქცეულა მეტსახელად, შემდგომ – სახელად და ამ გზით გვარის ფუძეში მოხვედრილა.

ამგვარი ნომინაცია ახასიათებს ყველა ანთროპონიმულ სისტემას გამონაკლისის გარეშე. შდრ. ქართული გრძელი(ძე), თურქული Kızıl 'წითელი', გერმანული Schwarz 'შავი', რუსული Белый, ივრითისეული Admoni 'წითური' და სხვ. აღწერითი ანთროპონიმული სახელდება გვხვდება: ადიღეელების, ავღანელების, აზერბაიჯანელების, აკანების (დასავლეთ აფრიკა), ალთაელების, არაბების, ბალყარების, ბაშკირების, ბირმელების, ბულგარელების, ბურიატების, დუნგანების, ებრაელების, ევენკების, ესკიმოსების, ესპანელების, თათრების, თუვეელების, თურქების, თურქმენების, იაკუტების, იაპონელების, ინგლისელების, ინდოელების, ირლანდიელების, კამპუჩიელების, კარელების, კაჩინების, კომოპერმიაკების,

კორეელების, კორიაეების, ლუიციების, მანდინგოების (დასავლეთ სუდანი), მანსიელების, მარიელების, მორდინების, მოლდოელების, მონღოლების, ნანაელების, ნგანასნელების, ნიგების, ოსების, რუსების, სელკუპების, სომხების, სპარსელების, სუახილელების, ტაჯიკების, უზბეკების, უკრაინელების, უნგრელების, ფრანგების, ფულბელების (სამხრეთ აფრიკა), ქართველების, ყალმუხების, ყარაყალფაქების, შორების, ჩინელების, ჩუქჩების ხაკასების, ხანტიების, ხორვატების ანთროპონიმიში.

*კვაზიუნეერსალია 2. ეთნოსთა უმეტესობაში განსხვავებულია ქალისა და მამაკაცის სახელები.*

იმ ენებში, რომელთაც არ გააჩნიათ სქესის გრამატიკული კატეგორია, უმეტეს შემთხვევებში ქალთა და მამაკაცთა სახელები არ სხვავდება. მაგ. აზერბაიჯანულში İzzet, Şövkət, Şirin კქვიათ როგორც კაცებს, ისე ქალებს. XI - XV საუკუნეებში საფრანგეთში ვაჟიშვილის სახელს გვაროვნული კავშირის აღსანიშნავად ხშირად უმატებდნენ მამის სახელს. მაგ., Jean, fils de Pierre 'ჟანი, პიერის ძე'. ფრანგი ქალი უპირატესად მამის სახელს ატარებდა, რომელიც მდებარეობითობის ფორმას იღებდა რომაული წესით: Alda Engilberta – fille d'Engilbert 'აღდა ანჟილბერტა, ანჟილბერტის ქალიშვილი'. ტაჯიკთა ანთროპონიმულ სახელდებებში ქალისა და მამაკაცის სახელები მკვეთრად არ იმიჯნება. სქესის აღსანიშნავად მამაკაცთა სახელებს უმატებენ -bek, -boj, -xon კომპონენტებს – Istadbek, Monadboj, Mukaddaxon, ქალთა სახელებს – -oj, -gul: Istadoj, Monadgul. ხოლო არაბული წარმომავლობის სახელებს -a ემატება: Karim, Nodir, Said მამაკაცთა სახელებია, Karima, Nodira, Saïda – ქალის. ესკიმოსებში საუკუნეთა განმავლობაში სახელთა ნაწილი დაუმკვიდრდა მამაკაცებს, ნაწილი – ქალებს, რაც ძირითადად სახელთა სემანტიკას უკავშირდება. არც უგრო-ფინურ ენებში არ არის სქესის გრამატიკული კატეგორია, იაკუტებს არა აქვთ ქალისა და მამაკაცის სახელების სპეციალური მორფოლოგიური მანიფესტაციები და სხვ. და სხვ.

*კვაზიუნეერსალია 3. ეთნოსთა დიდი უმრავლესობის ანთროპონიმიში ირაციონალური სახელდებობა.*

ძველად ადამიანებს სჯეროდათ, რომ საკუთარ სახელს აქვს კეთილი სულების მოზიდვის, მათი შემწეობის მოპოვების და ბოროტი ძალების შემოქმედებისაგან დაცვის უნარი. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახელები უპირატესად ხარიზმატული ან დაცვითი შინაარსის არის. მათ მიმართედნენ მაშინ, როცა ოჯახს რაიმე უბედურება დაატყდებოდა თავს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია სახელთა

არჩევნისას იმ ოჯახებში, სადაც ბავშვები ზედიზედ იხოცებოდნენ. მაგ. თურქული Satılmış გულისხმობდა ახალშობილის ფიქტიურ გაყიდვას. ე.ი. ბავშვი სხვისი საკუთრება და ბოროტ სულს მასზე ძალა ეკარგება. რელიგიურ წარმოდგენებს მრავალი სახელი უკავშირდება. ადამიანი ენდობოდა და უძღვნიდა ღმერთს ახალშობილს და შესთხოვდა. მშობელთა შეხედულებით ასეთი სახელი ერთგვარი წინაპირობა იყო ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად.

*უნივერსალია 4. ყველა ენაში ისეთი პიროვნული სახელები, რომელთა არსებობა დროით არის შემოსაზღვრული.*

